

ერაყელმა ტერორისტებმა რუსი დიპლომატები დასაჯეს
A3



"ერთად, წამების წინააღმდეგ"!
A4



ჯაზური ექსპერიმენტები
A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 27 ივნისი, 2006 წელი. №141 (1293) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი
C2

## სამართალი

საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მოსამართლეების დაპირება
A4

## ბიზნესი

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიმართვა მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერებისადმი

დოჰას რაუნდი დასასრულს უახლოვდება
B4

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:
**"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"**
(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).
**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 27/06 | 28/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 37 |
| ბათუმი | 29 | 31 |
| სოხუმი | 32 | 31 |
| ქუთაისი | 35 | 35 |
| გორი | 31 | 31 |
| თელავი | 36 | 36 |
| ზუგდიდი | 34 | 34 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7750 |
| ევრო | 2.2321 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2376 |
| რუბლი | 0.0655 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
ტენდერი A 6
რევიუ A 7
რევიუ A 8

# "თქვენ განწირული ხართ დემოკრატიისთვის!"

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა - "ცხვრებისა" და "მგლებისათვის"

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად "24 საათისთვის" სტრასბურგიდან*

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საზაფხულო სესიის დღის წესრიგში საქართველოსთან პირდაპირ დაკავშირებული, ერთი შეხედვით, არაფერია. მაგრამ ამჟამინდელ მსჯელობას მაინც აქვს ჩვენთვის საყურადღებო ინტრიგა: არადემოკრატიული არჩევნებისთვის აზერბაიჯანის დელეგაციისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხის დაყენება და რუსეთის, როგორც ევროსაბჭოს უმთავრესი დონორის, მძაფრი კრიტიკა, სერიოზული სიგნალია ყველა ქვეყნისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი ავანსი აქვს გასანაღდებელი.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*რენე ვან დერ ლინდენი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში არჩევნები უფრო დემოკრატიულად ჩატარდება.*

# ევროპა მომავალი "გაზის კრიზისის" მოლოდინში

*უკრაინას ახალი "გაზის კრიზისი" ემუქრება. კიევს "გაზპრომთან" დადებული ხელშეკრულების გადახედვა სურს, თურქმენეთმა კი, საიდანაც უკრაინას ბუნებრივი აირის ძირითადი ნაწილი მიეწოდება, მისი ფასის გაზრდა გადაწყვიტა.*

დიმიტრი ავალიანი

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings დარწმუნებულია, რომ თურქმენეთისა და "გაზპრომის" ბოლო განცხადებები, უკრაინისათვის ფასების მომავალი მომატების შესახებ, გაზის მორიგ კრიზისს გამოიწვევს, რომლისგანაც ევროპელი მომხმარებლები დაზარალდებიან. **"ჩვენ მოახლოებული ქარიშხლის ნიშნებს ვხედავთ. შესაძლოა, მას ევროპაში გაზის მიწოდების შეფერხება მოჰყვეს. და ეს ყველაფერი "დიდი რვიანის" სამიტის წინ ხდება, სადაც ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები განიხილება,"** - აცხადებს სააგენტოს ექსპერტი ჯეფრი ვუდრაფი.

გაზის თემა რუსულ-უკრაინულ ურთიერთობაში ხელახლა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც უკრაინის ყოფილმა (და მომავალმა) პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ **"ყველა შეთანხმება უკრაინაში გაზის მოწოდების შესახებ დღეს დამატებით რევიზიას, გადახედვას და რუსეთსა და თურქმენეთან ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებას საჭიროებს"**. ამის საპასუხოდ "გაზპრომმა" განაცხადა, რომ უკვე მიღწეული შეთანხმებების გადახედვის ნებისმიერ მცდელობას შესაძლოა მოჰყვეს პრობლემები ევროპისათვის.

**"ძველი ფასებით გაზის მიწოდება უკრაინისათვის გამორიცხულია. ის დრო, როდესაც ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საზღაურს რუსეთი იხდიდა იაფი გაზის მიწოდებით, დასრულდა"**, - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერი იაზევმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ტელეკომპანიების შემოსავლები იზრდება

სარეკლამო კომპანიები უპირატესობას საეთერო მაუწყებლებს ანიჭებენ

**B**

*ელექტრონული კომუნიკაციების სექტორი მთელ მსოფლიოში ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მოგებიანი სფეროა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მაღალი არ არის, ამ სეგმენტით ბიზნესმენები ინტერესდებიან და სოლიდურ კაპიტალდაბანდებებსაც ახორციელებენ.*




# "ინერციით" რიგგარეშე სესიისკენ

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის პლენარული სხდომები გასულ კვირას დასრულდა, თუმცა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო "ინერციით" მაინც განაგრძობს მუშაობას: გუშინ ბიუროს სხდომა ჩატარდა, უახლოეს დღეებში რამდენიმე საკომიტეტო მოსმენა მოეწყობა, საგაზაფხულო სესია კი, ოფიციალურად, პარასკევს დაიხურება.

როგორც ირკვევა, კანონმდებლები სასესიო დროში ვერ ჩაეტიენ და უამრავი საკითხი დარჩათ განსახილველი. ამიტომ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პრეზიდენტ სააკაშვილთან კონსულტაციები გამართა და შესთავაზა მას, 13 ივლისს მოწვეული იქნეს რიგგარეშე სესია, რომელიც, სავარაუდოდ, 25 ივლისამდე გაგრძელდება.

რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში დაახლოებით 40-მდე კანონპროექტი და თითქმის ამდენივე კენჭსაყრელი საკითხია. მათგან საზოგადოების ყველაზე მეტ ინტერესს, ცხადია, აფხაზეთში განთავსებული რუსი სამშვიდობოების საკითხი იწვევს. ამასთან დაკავშირებით თავის შეხედულებებს მთავრობა 1 ივლისამდე წარუდგენს პარლამენტს.

პოლემიკის გარეშე არც ისეთი თემების განხილვა ჩაივლის, როგორიც არის, მაგალითად, მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების კანდიდატურების შერჩევა და დამტკიცება, საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანა და სხვა.

ამ უკანასკნელმა საკითხმა ზოგიერთი დეპუტატი ბიუროს გუშინდელ სხდომაზევე აანერვიულა. ვიცე-სპიკერები მიხეილ მაჭავარიანი და ჯემალ ინაიშვილი ღიად აცხადებენ, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული ვარიანტი მათთვის მიუღებელია. განსხვავებული შეხედულება აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი კოვზანაძეს, რომელიც შეახსენებს კოლეგებს, რომ მთავრობამ პარლამენტარების შენიშვნების საკმაოდ დიდი ნაწილი გაითვალისწინა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# იტალია მეოთხედფინალში



**C**

# სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვა დღეს იწყება

*"გაერთიანებული ქართული ბანკის" ყოფილი თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი ჩემია დღეს დაიწყებს.*

თუმცა, დაზარალებულთა ადვოკატები სასამართლო პროცესის ასე სწრაფად დანიშვნას აპროტესტებენ, რადგან, მათი განცხადებით, გამოძიებამ საქმის მასალები მათ რამდენიმე დღის წინათ გადასცა; ასევე, რამდენიმე დღის წინ გადაეცა საქმე სასამართლოსაც და დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ვერც ერთი მხარე ვერ მოასწრებდა მის საფუძვლიანად გაცნობას. ადვოკატთა აზრით, არსებითი განხილვა სასწრაფოდ იმიტომ დაინიშნა, რომ **"დღევანდელი ხელისუფლების მიზანია, პირველივე სხდომაზე დაიკითხონ ის მოწმეები - შსს ყოფილი მაღალჩინოსნები - რომლებსაც გირგვლიანების ოჯახი მკვლელობის შემკვეთებად მიიჩნევს"**, - აცხადებენ სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატები, რომელთა ვარაუდითაც, **"საქმის მასალები 5 ტომშია თავმოყრილი და ადვოკატები 2-3 დღეში ამხელა საქმის საფუძვლიანად შესწავლას ვერ მოახერხებდნენ. ამ შემთხვევაში, ხელისუფლების მიზანი ნათელია - როგორმე ჩვენ მწვავე შეკითხვების დასასმელად სათანადოდ მომზადება ვერ მოვასწროთ"**, - აცხადებენ ადვოკატები.

სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები სასამართლო პროცესების პირდაპირ ტრანსლაციას მოითხოვენ, ადვოკატები კი მოსამართლეს მოსთხოვენ, მასმედიის წარმომადგენლებს საშუალება მიეცეთ სასამართლოზე მიმდინარე მოვლენები ჩაწერონ.

უზენაესი სასამართლოს სპიკერის, მოსამართლის მაია ოშხერელის განცხადებით, კანონით, სისხლის სამართლის საქმის განხილვის ჩაწერას, მის წესს და შეზღუდვის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საქმის განმხილველი მოსამართლე. მისივე თქმით, პროცესის ვიდეო-აუდიო ჩაწერის განხორციელების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, რის თაობაზეც მოსამართლემ მოტივირებული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "მაყურებლის" ინსტიტუტი სკოლაში

## საიდან უნდა დაიწყოს ბრძოლა კრიმინალურ მენტალიტეტთან

ია ანთაძე

საქართველოს სახელმწიფომ ბრძოლა გამოუცხადა არა მხოლოდ კონკრეტულ კრიმინალურ ავტორიტეტებს, არამედ, კრიმინალურ მენტალიტეტს ზოგადად. ერთ მხარეს არის სახელმწიფო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროთი და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტით, მეორე მხარეს - ე.წ. კანონიერი ქურდები და მათი თანამოაზრეები. მაგრამ კრიმინალურ მენტალიტეტთან ბრძოლა გაცილებით ეფექტურია არა ციხეში, სადაც შედეგებია თავმოყრილი, არამედ იქ, სადაც ეს მენტალიტეტი ისახება და მკვიდრდება.

ასეთი ადგილი კი, რაგინდ უცნაურად ჟღერდეს, საშუალო სკოლაა.

ორიოდე ათწლეულის წინ, როდესაც თითოეული სკოლა ჩაკეტილი ერთეული იყო, იერარქია კლასის ფარგლებს არ სცილდებოდა. თითქმის ყველა კლასის ცხოვრებას წარმართავდა ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი, რომელთა მთავარი ფუნქცია ინიციატივების წამოყენებით განისაზღვრებოდა. ურჩებს სხვადასხვა სასჯელი ემუქრებოდა, თუმცა, თავად ინიციატივები უფრო ხშირად სახალისო და საინტერესო იყო, ვიდრე - მავნე. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: კლასის ლიდერები, როგორც წესი, კარგად სწავლობდნენ და ნორმალურ ოჯახებში იზრდებოდნენ. ისინი დანარჩენებისგან "პლუს ნიშნით" გამოირჩეოდნენ.

იმის შემდეგ, რაც სკოლებში მეტი თავისუფლება შევიდა, სკოლის ცხოვრება თვისებრივად შეიცვალა: ერთიანი დისციპლინა მოიშალა, კლასებს შორის ზღუდეები მოიხსნა, შიდა სასკოლო სივრცე ურთიერთობებისთვის გაიხსნა და იერარქიამაც საერთო-სასკოლო ხასიათი შეიძინა. უკვე ათიოდე წელია, გაჩნდნენ მოსწავლეები, რომლებიც საკუთარ წესებს მთელი სკოლის მასშტაბით აწესებენ და მათ დაცვას მკაცრად აკონტროლებენ. თუ კლასის ლიდერები ხშირად გოგონები იყვნენ, სასკოლო ლიდერებად მხოლოდ ვაჟები გვევლინებიან. ბევრ სკოლაში - განსაკუთრებით, თბილისში - ასეთი ლიდერი ერთია და სკოლის დამთავრების შემდეგ მემკვიდრეობას თავისსავე თანამოაზრეს გადასცემს.

სასკოლო ლიდერებს საერთო სახელი აქვთ: "სკოლის მაყურებელი". ისინი ერთმანეთს ბევრი ნიშნით ჰგვანან: კარგად გამოიყურებიან; ცუდად სწავლობენ; ლამაზ გოგონებს ხაზგასმულად ზრდილობიანად ექცევიან; შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ იმ მასწავლებლებთან, რომლებიც ხელს არ უშლიან საკუთარი ფუნქციის განხორციელებაში; დაუნდობლები არიან ყველას მიმართ, ვინც მათ მიერ დაწესებულ ნორმებს არ აღიარებს და არ ასრულებს.

როგორ ხორციელდება "მაყურებლის" ფუნქცია სკოლაში? ერთი ბავშვის ჩაგვრა მეორის მიერ, ფულის ან ნივთების წართმევა, ღირსების შელახვა სხვადასხვა ფორმით, სისხლიანი კონფლიქტები, მასწავლებლებისთვის ადგილის მიჩენა - ეს ყველაფერი, როგორც წესი, "მაყურებლის" საქმიანობის სფეროა. ვინ არის მტყუანი და მართალი, ამასაც, ცხადია, სკოლის ლიდერი განსაზღვრავს და სასჯელსაც თავად აწესებს.

ძალზე მნიშვნელოვანია დირექტორისა და "მაყურებლის" ურთიერთობა. აქ სულ ორი მოდელი არსებობს: პირველი მოდელის მიხედვით, დირექტორი ებრძვის "მაყურებელს" და დამარცხებული მხარე სკოლას ტოვებს. მეორე მოდელის მიხედვით, დირექტორი კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს "მაყურებელთან" და ცდილობს, მისი გავლენა სკოლაში წესრიგის დასამყარებლად გამოიყენოს.

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღწერილი სისტემა თითქმის ზუსტად ემთხვევა იმას, რაც ციხეში არსებულ ვითარებაზე იცის საზოგადოებამ. ჩანს, კრიმინალური მენტალიტეტი სათავეს სწორედ სკოლაში იღებს და მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით, ვაჟებისთვის, ძალზე ძნელია, ამ სისტემას თავი დანაკარგის გარეშე დააღწიონ. მოსწავლეების უმრავლესობა იძულებულია, ან მჩაგვრელების ბანაკში ეძებოს თავშესაფარი, ან ჩაგრულის როლში ჩადგეს და სხვისი ნებით იცხოვროს.

სასკოლო რეფორმის უმთავრესი ფუნქცია სწორედ ამ მახინჯი რეჟიმის ნგრევაა. სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე საუბარი ფუჭია მანამ, სანამ სკოლა ალტერნატიული წესრიგით ცხოვრობს და მშობლები ფიქრობენ, რომ შვილის სკოლაში გაშვება შარის მეტი არაფერია.

სკოლის პრობლემები, ცხადია, სკოლაში არ მთავრდება. როგორ შევამციროთ ძალადობა? როგორ დავანგრიოთ "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი? როგორ დავნერგოთ ჰორიზონტალური ურთიერთობები და ადამიანის უფლებების პატივისცემა? როგორ დავამკვიდროთ სამოქალაქო ცნობიერება? - ეს რთული და მეტად აქტუალური კითხვებია. ეჭვს არ იწვევს, რომ ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პირველი და მთავარი პასუხი სკოლებში ჩანერგილი კრიმინალური მენტალიტეტის აღმოფხვრას უკავშირდება. რაგინდარა სხვა დასაწყისი - აქცენტის გადატანა ციხეზე ან კონკრეტულ კრიმინალურ ავტორიტეტებზე, როცა სკოლების უმრავლესობას "მაყურებელი" მართავს - ამ ბრძოლაში ქართული სახელმწიფოს დამარცხების ტოლფასი შეიძლება აღმოჩნდეს.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

# "ინერციით" რიგგარეშე სესიისკენ

პირველი გვერდიდან



**"მთავრობამ მართლაც გაიზიარა ჩემი შენიშვნების 80 პროცენტი, მაგრამ დანარჩენ 20 პროცენტზეც ვიმსჯელოთ",** - თავისი მოთხოვნების ბოლომდე გატანას აპირებს მიხეილ მაჭავარიანი.

რიგგარეშე სესიაზე ხელისუფლება შეეცდება, თავი მოიწონოს იმით, რომ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 77 მილიონი ლარით იზრდება. სფეროების მიხედვით, ეს თანხა შემდეგნაირად გადანაწილდება: თავდაცვის სამინისტროსთვის დამატებით გამოყოფილია 17 მილიონი ლარი, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ტრანსფერისთვის, - 14,5 მილიონი, საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებისთვის, - 5,4 მილიონი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის, - 9 მილიონი, ცესკოსთვის, - 2 მილიონი, სარეზერვო ფონდებისთვის, - 11,5 მილიონი ლარი და ა.შ.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტისთვის გამოყოფილ ორკაციან კვოტას, მის "ათვისებას" დეპუტატები უკვე შეუდგნენ: ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარეს ბესო ჯუღელს ერთი ადგილი თავისი ფრაქციისთვის უნდა...

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტ სააკაშვილის იმ ინიციატივასაც გამოეხმაურა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადატანას ითვალისწინებს.

**"ასეთი ნაბიჯი სერიოზულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამიტომ, მთავრობამ ჯერ ფინანსური გათვლები უნდა წარმოადგინოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება",** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი, რომელიც იქვე იმასაც განმარტავს, რომ დეცენტრალიზაციის მომხრეა და ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუტის რეგიონებში გადატანა მიზანშეწონილად მიაჩნია.

# მალარია ლაგოდეხში

*ლაგოდეხის რაიონში, ბოლო მონაცემებით, მალარიით დაავადებული 10 ადამიანია ოფიციალურად რეგისტრირებული. თუმცა, მოსახლეობის განცხადებით, ინფიცირებულთა რიცხვი გაცილებით დიდია. საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ ცენტრში საგანგაშო პროგნოზი კეთდება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ლაგოდეხის რაიონში გაზაფხულზე მოსული წვიმებისა და წყალდიდობების შემდეგ, მდინარე ალაზნის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას ცხოვრება გაუსაძლის პირობებში უწევს. ჰერეთისკარელი არჩილ აბაშიძე ამბობს, რომ სოფელში მალარიით დაავადებულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. **"ამჟამად უკვე 45 ადამიანია დაავადებული. ყოველ მეორე ოჯახში ავადმყოფია. იმ ადამიანების ნაწილი, ვინც შარშან ავად იყო, წელს ისევ ცუდადაა. პროფილაქტიკისთვის მედიკამენტებს კი გვირიგებენ ხანდახან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დღისით კიდევ შეიძლება გარეთ გაჩერება, მაგრამ როგორც მოსაღამოვდება ცხოვრება აუტანელი ხდება, კოღოებისგან ბადეებით ვცდილობთ თავის დაცვას, თუმცა, უშედეგოდ,"** - ამბობს ჰერეთისკარის მკვიდრი აჭარელი არჩილ აბაშიძე.

მალარიის პრობლემა ლაგოდეხის რაიონში წლების მანძილზე აქტუალობას არ კარგავს. ბოლო ათი წლის განმავლობაში, ამ სენით ასობით ადამიანი დაინფიცირდა. დაავადება ადვილად განკურნებადია, თუ დროულად მოხდება მისი დაფიქსირება. თუმცა, გაჭირვებული მოსახლეობა, რომელსაც ექიმთან მისვლის საშუალება არა აქვს, თვითმკურნალობას არჩევს და შედეგი ბოლოს არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია. ლაგოდეხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის დირექტორის მოადგილე ანასტასია რჩეულიშვილი აცხადებს, რომ დაავადებულ ადამიანთა რიცხვი წელს საგრძნობლად გაიზარდა. **"მიმდინარე წელს უკვე 10 მოქალაქეა ინფიცირებული, რომელთა მკურნალობა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხით ფინანსდება. კოღო ანოფელესის ასეთი მასიური გამრავლება რაიონში გაზაფხულზე უხვმა ნალექმა გამოიწვია. გარდა ამისა, არსებობს მეორე მიზეზიც - ფედერალური პროგრამით აღარ ვფინანსდებით, ანუ თანხები გაგვინახევრდა და ამიტომ, იძულებული გავხდით, ბონიფიკატორების რიცხვი შეგვემცირებინა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ოჯახებში დადიოდნენ და ადგილზე ატარებდნენ როგორც ლაბორატორიულ შემოწმებას, ასევე დეზინფექციას. გასულ წელს ჩვენი ფინანსები 37 ათას ლარს შეადგენდა. ეს საკმარისი იყო, რომ მთელი დატვირთვით გვემუშავა, მაგრამ წელს აღნიშნული სამუშაოებისთვის მხოლოდ 16 ათას 500 ლარი გამოიყო, რის გამოც სათანადო მომსახურება ვეღარ ხერხდება. შესაბამისად, გაიზარდა მალარიით დაავადებულთა რიცხვიც,"** - ამბობს ანასტასია რჩეულიშვილი.

ჰერეთისკარელები ამბობენ, რომ ლაგოდეხში არც პრემიერ-მინისტრის - ზურაბ ნოღაიდელის ბრძანებულება სრულდება, რის საფუძველზეც რაიონზე გამოყოფილი 1 მილიონ 500 ათასი ლარიდან 450 ათასი ლარი ჭიაურის ტყის გამწმენდ სამუშაოებს უნდა მოხმარებოდა. ამდენივე თანხა თავის დროზე გარემოს დაცვის სამინისტრომაც გამოყო, თუმცა ჭიაურის ტყის გაწმენდითი სამუშაოები დღემდე არ დაწყებულა. არადა, დაჭაობებული ტყე მალარიის კერადაა ქცეული. მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლებისგან დროულ დახმარებას ითხოვს. ლაგოდეხის რაიონის გამგებელი თამაზ გოძიაშვილი კი აცხადებს, რომ სამუშაოები მალე დაიწყება. **"ჭიათურის ტყის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მაისში გამოცხადებული იყო ტენდერი, რომელშიც ერთ-ერთმა კომპანიამ გაიმარჯვა. დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები და ივლისის თვიდან კონკრეტულად ტყის ამოშრობას დაიწყებენ,"** - აცხადებს გოძიაშვილი და აქვე აღნიშნავს, რომ ლაგოდეხში მალარიის წინააღმდეგ სხვა ღონისძიებებიც მაღალ დონეზე ტარდება. **"ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ ცენტრს, მოსახლეობა შესაბამისი მედიკამენტებით საკმარისად მარაგდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ამ მხრივ ხალხს პრობლემები არ ჰქონდეს,"** - აცხადებს თამაზ გოძიაშვილი. თუმცა, როგორც ლაგოდეხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის დირექტორის მოადგილე ანასტასია რჩეულიშვილი ამბობს, ალაზნისპირა სოფლებში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ, მათ მოხსენებითი ბარათი ადგილობრივ ხელისუფლებას არაერთხელ წარუდგინეს, მაგრამ დახმარება დღემდე არ მიუღიათ. **"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ადგილობრივ ხელისუფლებას წერილობით არაერთხელ მივმართეთ, დახმარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პასუხიც კი არ მიგვიღია. არადა, იმ შემთხვევაში, თუ მალარიის პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ გაიზრდება, არ არის გამორიცხული, ინფიცირებულთა რიცხვმა წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწიოს,"** - ამბობს ანასტასია რჩეულიშვილი.

# თავისუფალი სიტყვა

უცნობი FM 92.0

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ მაია ჭალაგანიძეს, ხოლო სტუმრები არიან მუსიკოსი დავით ჯაფარიძე და ჟურნალისტი კახა თოლორდავა.*

**მაია ჭალაგანიძე:** ბ-ნო დავით, თქვენთვის რა არის ჯაზ-ფესტივალი. ჯაზის ქართველ შემსრულებლებს რამდენად აქვთ შესაძლებლობა და საშუალება, დაესწრონ ამ ფესტივალს?

**დავით ჯაფარიძე:** მე შემიძლია ჩამოვთვალო დიდი შემსრულებლები, რომლებიც საქართველოში ჩაკეტილობის პერიოდში იყვნენ ჩამოსულები. შემდეგ ჩავარდნის პერიოდი იყო და ახლა "ისთენ პრომოუშენმა" ისევ აღადგინა ძველი ტრადიცია. ახლანდელ ფესტივალსაც რომ გადავხედოთ, შესანიშნავი შემსრულებლები არიან მოწვეული. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თბილისში ჰენკოკი ჩამოვა. ასეთი ვარსკვლავის თავის სცენაზე ყოფნას ნებისმიერი ქვეყანა დაიკვეხნიდა.

**მაია ჭალაგანიძე:** ბ-ნო კახა კომერციულ მხარეს თუ შევხედავთ, წელს როგორ არის საქმე? ამბობდნენ, რომ შარშან უფრო პოპ-ჯაზი იყო წარმოდგენილი?

**კახა თოლორდავა:** ის განმასხვავებელი, რაც წლევანდელ ფესტივალს გააჩნია არის ის, რომ წლევანდელი ფესტივალის კონტექსტში წარმოდგენილი იყო არა მარტო მკაცრი გაგებით ჯაზის მუსიკოსები. ის, რომ ჯემირო ქვუაიმ გახსნა ფესტივალი, იმ ტენდენციაზე მიუთითებს, რომ კოკა-კოლას ჯაზ-ფესტივალი იღებს გეზს ჩაანაცვლოს და მოიწვიოს სხვა მუსიკალური მიმდინარეობის წარმომადგენლები. ჩემთვის ჯაზი არ არის არსებითი სახელი, ის არის ზმნა, ქმედება. ჯაზი არის ის, რაც ხდება ამ წუთში წარსულის და მომავლის გათვალისწინებით. ჯაზი არის ის, რაც ისრუტავს ყველაფერს. ახლა არსებობს ჯგუფი, რომელიც კოკა-კოლას ჯაზ-ფესტივალზე უშუალოდ მუშაობს.

**მაია ჭალაგანიძე:** ბ-ნო დავით, ყველაფერი, რაც შემდეგ კლასიკად ჩამოყალიბდა, თავდაპირველად იყო ექსპერიმენტი. ჯაზს რა დრო სჭირდება, რომ ექსპერიმენტი იქცეს კლასიკად?

**დავით ჯაფარიძე:** ამის დაკონკრეტება ძნელია. დავიწყოთ იქიდან, რომ მსმენელიც, ვინც უსმენს ჯაზს უნდა იყოს მომზადებული. ამითაც განსხვავდება ჯაზი სხვა პოპ-კულტურისგან. თუ გადავხედავთ იმ პერიოდს, საიდანაც მოდის ჯაზი, ჯერ ერთი საუკუნეც არ არის გასული. ამ პერიოდში რამდენიმე მიმდინარეობა ჩამოყალიბდა.

ჯაზი მართლაც ამერიკელებისაა, ისევე როგორც ფეხბურთი არის ინგლისელების.

დამატებითი
წუთები
დამატებითი სიამოვნება...



მიიღეთ საჩუქარი
მთელი ზაფხულის განმავლობაში.
მონო-ბარათის ყოველი გააქტიურებისას

გააქტიურეთ მონო-ბარათი და საჩუქრად მიიღეთ წუთები მაგთის ქსელის შიდა ზარებისათვის, ანუ მაგთი - მაგთი და მაგთი - ბალი მიმართულებით.

| გააქტიურებული მონო-ბარათი | საჩუქარი |
|---|---|
| 10 - ლარიანი | 3 წუთი |
| 15 - ლარიანი | 5 წუთი |
| 30 - ლარიანი | 12 წუთი |
| 60 - ლარიანი | 30 წუთი |

- ნაჩუქარი წუთების გამოყენება შეგიძლიათ მონო-ბარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში.
- აქცია ვრცელდება მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებზე.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

## მოკლედ

### ქართულმა მხარემ საქართველო-სომხეთის სასაზღვრო მონაკვეთის დაცვა გააძლიერა

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ადასტურებს რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ქართულმა მხარემ საქართველო-სომხეთის სასაზღვრო მანაკვეთის დაცვა გააძლიერა. თუმცა, როგორც "მედიანიუსს" საზღვრის დაცვის დეპარტამენტში უთხრეს, სასაზღვრო მონაკვეთის დაცვის გაძლიერება რაიმე განსაკუთრებული მოვლენის გამო არ ხდება და ეს ჩვეულებრივი პროცედურაა.

კერძოდ, სამხრეთ საზღვარი, მთაში თოვლის დნობასთან დაკავშირებით, ზაფხულობით განსაკუთრებით გამჭვირვალე ხდება და ამიტომაც, სასაზღვრო დეპარტამენტი ყოველ ზაფხულს აღნიშნული მონაკვეთის დაცვას აძლიერებს. **მედიანიუსი**

### ნატო-ს ღია კარი და "მოუმზადებელი" გაწევრიანების მსურველები

უკრაინას ნატო-ში ჯერჯერობით არ მიიწვევენ. ამის შესახებ განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა იან დე ჰოოპ სხეფერმა პოლონურ გაზეთ "Dziennik"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, უკრაინა, ისევე როგორც საქართველო და ბალკანეთის ქვეყნები, ჯერ არ არიან მზად ალიანსში გასაწევრიანებლად. ამასთანავე, ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ რიგის სამიტზე ეს ქვეყნები "პოზიტიურ სიგნალს მიიღებენ".

ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, ნატოს კარი ღიაა უკრაინისთვის, მაგრამ ალიანსში შესვლის შესახებ გადაწყვეტილება უკრაინელმა ხალხმა უნდა მიიღოს. **ინტერპრესნიუსი**

### აფეთქება კოლომბოში

შრი-ლანკის დედაქალაქ კოლომბოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამხედრო ბაზის მახლობლად აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად შრი-ლანკის სამხედრო მაღალჩინოსანი, გენერალი კულატუნგა და კიდევ ორი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. შრი-ლანკის სამხედრო ხელმძღვანელობამ მომხდარზე პასუხისმგებლობა მოძრაობა "თამილ ილამის გათავისუფლების ვეფხვების" ბოევიკთა დაჯგუფებას დააკისრა.

მიმდინარე წელს შრი-ლანკაში მომხდარ აფეთქებებს 700-მდე მოქალაქე ემსხვერპლა. **ინტერპრესნიუსი**

### დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში ვაკანსია შეივსო

გუშინ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომზე N24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრის არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე გიორგი ზურაბიშვილი აირჩიეს.

12 ივნისს ცესკო-მ N24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ალექსი ტატუაშვილს პირადი განცხადების საფუძველზე ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება. აღნიშნულ თანამდებობაზე კი გამოცხადდა კონკურსი. დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებულ ვაკანსიაზე ცესკო-ში ორი განცხადება იყო შესული. **მედიანიუსი**

### კრემლი საზღვარგარეთ მცხოვრებ რუსებს სამშობლოში დაბრუნებაში დაეხმარება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მათ დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობის კრიტიკული შემცირების შეჩერებას, რუსეთის ფედერაციის სამიგრაციო პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდასა და ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზებას.

პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, უცხოეთიდან თანამემამულეთა რეპატრიაციის პროცესს სპეციალური უწყებათაშორისი კომისია გააკონტროლებს. **მედიანიუსი**

### ტიმოშენკოს გუნდის წევრს თავს დაესხნენ

კიევში უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატზე თავდასხმა განხორციელდა. იულია ტიმოშენკოს ბლოკის წევრზე, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელზე, დეპუტატ ანდრეი პორტნოვზე თავდასხმა კიევში დღეს, მუზეუმის შესახვევში განხორცილდა.

"ეხო მოსკვის" ინფორმაციით, თავდასხმის შემდეგ დეპუტატი ტვინის შერყევით ჰოსპიტალიზებულია. აქვს თუ არა დეპუტად ანდრეი პორტნოიზე თავდასხმას პოლიტიკური მოტივი, ჯერჯერობით უცნობი რჩება. **ინტერპრესნიუსი**

### საერთაშორისო კონფერენცია მოსკოვში

2006 წლის 26 ივნისს მოსკოვში დაიწყო და 28 ივნისამდე გაგრძელდება საერთაშორისო კონფერენცია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე "ავღანეთიდან ნარკოტიკების გატანის გზების შესახებ" ("პარიზი-2 - მოსკოვი-1"), რომელშიც მონაწილეობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. ვიზიტის ფარგლებში აგრეთვე დაგეგმილია ორმხრივი კონსულტაციების გამართვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. **24 საათი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# "თქვენ განწირული ხართ დემოკრატიისთვის!"

პირველი გვერდიდან



აზერბაიჯანის დელეგაციამ საპარლამენტო ასამბლეის პირველი დღის ბოლოს შვებით ამოისუნთქა. ანდრეას გროსმა (შვეიცარიიდან) და ანდრეს ხერკელმა(ესტონეთი) "ჩვენება" შეცვალეს და საპარლამენტო ასამბლეას შესთავაზეს შედარებით რბილი რეკომენდაცია, რომელიც აზერბაიჯანის დელეგაციისათვის უფლებამოსილების შენარჩუნებას მომავალი წლის ივნისამდე ითვალისწინებს. მაგრამ რა უნდა მოხდეს ისეთი მომავალი წლის ივნისში, რაც აზერბაიჯანს რეაბილიტაციის საშუალებას მისცემს, იმ მრავალრიცხოვანი დარღვევების შემდეგ, რაც გასული წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს ევროსაბჭოს ექსპერტებმა დააფიქსირეს? ამ შეკითხვაზე საპარლამენტო ასამბლეის პრესცენტრში ჩემს გვერდით მჯდომმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ რუკაზე ხელი დაადო და ნავთობსადენის მარშრუტი შემოხაზა. ჩემი აზერბაიჯანელი კოლეგა სულაც არ ხუმრობდა - ნავთობი, გაზი და ენერგომატარებლები სერიოზული არგუმენტია და, რიგ შემთხვევაში, განსაზღვრავს კიდეც ევროპული ქვეყნების ბოლოდროინდელ პოლიტიკურ ურთიერთობებს. ამიტომაც არის, რომ ევროსაბჭოს ასამბლეის პირველი დღის მუშაობამდე გამართულ პრესკონფერენციაზე, თავმჯდომარე რენე ვან დერ ლინდენიც და გენერალური მდივანი ტერი დევისიც დიპლომატიურად უვლიდნენ გვერდს შეკითხვას - ხომ არ ხდება "მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება?"

რუსეთის ლიბერალების ლიდერის გრიგორი იავლინსკის არგუმენტი, რომ ენერგომატარებლებით რუსეთი (საბჭოთა კავშირი) მაშინაც ამარაგებდა ევროპას, როდესაც ორ ბანაკს შორის "ცივი ომის" მდგომარეობა იყო, მხოლოდ მსუბუქი შვებაა ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც, ენერგეტიკული თვალსაზრისით, სულ უფრო დამოკიდებულნი ხდებიან რუსეთზე.

### გრიგორი იავლინსკის პოლიტიკური მეტაფორა

შესაბამისად რბილი კრიტიკით შემოიფარგლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა აზერბაიჯანის მიმართ, რუსეთს კი მხოლოდ დაუცხრომელი მათიას იორში აკრიტიკებდა. ასამბლეის ლიბერალობით გულმოცემული რუსი დეპუტატები შეტევაზეც გადავიდნენ და ორმაგ ბუღალტერიაში დაადანაშაულეს ევროპა, რომელიც ერთი და იგივე დანაშაულისათვის სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვანაირად სჯის. დეპუტატმა მარკედონოვმა კი განაცხადა, რომ უკრაინის სათავეში კორუმპირებული ელიტა მოვიდა და მოუწოდა კოლეგებს, გაილაშქრონ "ძალაუფლების ფულითა და მოსყიდვით ხელში ჩაგდების უკრაინული პრეცედენტის წინააღმდეგ."

ერთადერთი რუსი დეპუტატი, ვინც საკუთარ ქვეყანაში სერიოზულ პრობლემებს ხედავს და საბჭოურ გადმონაშთზე ხმამაღლა საუბრობდა, "იაბლოკოს" ლიდერი გრიგორი იავლინსკი გახლდათ. ჩემთან საუბარში, სწორედ მართვის "საბჭოური გადმონაშთი" უწოდა მან რუსეთის საქციელს, აეკრძალა ღვინისა და მინერალური წყლის იმპორტი საქართველოდან. "რუსეთში ახლა ისეთი ვითარებაა, რომ სულაც არ გამიკვირდება, სტრასბურგიდან ჩასულს, ამბავი დამახვედრონ, რომ ჩემი ოფისი დახურეს, რადგან იქ ქათმის გრიპის ვირუსი აღმოაჩინესო."

### რას ელოდება საქართველოსაგან ევროსაბჭო?

საქართველოს, ცხადია, არც ნავთობი აქვს და არც გაზი. ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ან გაყალბებას ევროსაბჭო ძალიან მკაცრად შეაფასებს. ამ ეტაპზე საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელობა არ საუბრობს ჰიპოთეტურ სანქციებზე; არ პასუხობს შეკითხვაზე - "რა იქნება, თუ...?". ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე რენე ვან დერ ლინდენი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უფრო სამართლიანად ჩატარდება, ხოლო "ევროსაბჭოს წინასაარჩევნო და საარჩევნო მონიტორინგის მისიები აქტიურ როლს შეასრულებენ პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების თვალსაზრისით." ოპტიმისტურად არის განწყობილი მათიას იორშიც, რომელიც არჩევნებამდე აპირებს საქართველოში ჩამოსვლას. **"საქართველოს სადაზღვევო პოლისი ევროპაში და მსოფლიოში თქვენი დემოკრატიაა. თქვენ განწირულები ხართ დემოკრატიისათვის,"** - განაცხადა მათიას იორშმა.

# ბაგაფშს სააკაშვილთან შეხვედრა სურს

სააკაშვილთან შესახვედრად და მასთან ერთად ნებისმიერი საკითხის განსახილველად მზად ვარ, - აცხადებს აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში და დასძენს, რომ ამ შეხვედრის საფუძველი სერიოზული დოკუმენტი უნდა გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, "შეხვედრა შეხვედრად დარჩება".

სერგეი ბაგაფშის თქმით, აფხაზეთს უსაფრთხოების გარანტიებისა და სამხედრო ქმედებების განუახლებლობის შესახებ დოკუმენტი მომზადებული ჰქონდა, მაგრამ თბილისმა მასში ოფიციალური სოხუმისთვის მიუღებელი კორექტივები შეიტანა, რის გამოც აფხაზურმა მხარემ დოკუმენტის ხელი აღარ მოაწერა.

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ განსახილველია ბევრი საკითხი: სამხედრო ქმედებების განუახლებლობა, საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარება, ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლის ამოქმედება.

"ყველა საკითხის განსახილველად მზად ვართ და შეხვედრაზეც უარს არ ვამბობთ - მთავარია, რომ შეხვედრა პროდუქტიული აღმოჩნდეს," - განაცხადა ბაგაფშმა.

*მედიანიუსი*

# ისრაელი გატაცებული ჯარისკაცის გათავისუფლებას ითხოვს

პალესტინელი ტერორისტების მიერ ისრაელის შეიარაღებული ძალების ბაზაზე თავდასხმისა და ებრაელი ჯარისკაცის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

როგორც საქართველოში ისრაელის საელჩო იტყობინება, 25 ივნისს, კერემ შალომის გზაჯვარედინზე ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი ებრაელი ჯარისკაცი, 4 - დაიჭრა, მათ შორის ერთი - მძიმედ, ხოლო ერთი ჯარისკაცი ტერორისტებმა მძევლად აიყვანეს.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება "ჰამასმა" თავის თავზე აიღო. აქედან გამომდინარე, როგორც ისრაელის საგარეო პოლიტიკური უწყება აცხადებს, "ჰამასმა" ამ ქმედების შედეგებზეც პასუხი უნდა აგოს. გარდა ამისა, ისრალეის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ გუშინდელი ფაქტით "ჰამასმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტერორისტული ორგანიზაციაა.

ისრაელმა, ისევე როგორც ნებისმიერმა ქვეყანამ, ყველაფერი უნდა იღონოს თავისი მოსახლეობის დასაცავად საზღვრის მეორე მხრიდან თავდასხმებისგან. "ისრაელი ყველაფერს გააკეთებს თავისი მოქალაქეების საზღვრის მეორე მხრიდან თავდასხმისაგან დასაცავად. პრეზიდენტმა აბასმა ახლა უნდა დაამტკიცოს, რომ ტერორიზმის დასამარცხებლად მას ძალა შესწევს", - ნათქვამია განცხადებაში.

ისრაელი გატაცებული ჯარისკაცის უპირობოდ და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. ისრაელის ხელისუფლება იტოვებს უფლებას ყველა შესაბამისი ზომა გაატაროს ჯარისკაცის უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

ისრაელის საგარეო პოლიტიკური უწყება მოუწოდებს მსოფლიო თანამეგობრობას დაგმოს პალესტინაში გაბატონებული ტერორიზმი, უარყოს "ჰამასის" ხელმძღვანელობის ლეგიტიმურობა და მოითხოვოს გატაცებული ჯარისკაცის დაბრუნება.

გუშინვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც მკაცრად გმობს ტერორისტული დაჯგუფების მიერ ისრაელის თავდაცვის ძალების საგუშაგოზე განხორციელებულ თავდასხმას. საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება მიიჩნევს, რომ ამგვარი ქმედება მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის ხელის შეშლას, რაც ზიანს აყენებს ისრაელელი და პალესტინელი ხალხების ინტერესებს.

საქართველოს დიპლომატიური სამსახური მოუწოდებს პალესტინის ხელისუფლებას მიიღოს ყველა საჭირო ზომა თავდასხმის შედეგად გატაცებული ჯარისკაცის დაუყოვნებელი, უსაფრთხო და უპირობო გათავისუფლებისათვის, რაც პალესტინის მხრიდან სამშვიდობო პროცესის კონსტრუქციული განვითარებისადმი მხარდაჭერის დადასტურება გახდება.

*24 საათი*

# "დიდი რვიანის" ქვეყნების სამიტზე საქართველოს თემის წამოჭრამ რუსეთი შესაძლოა კიდევ უფრო გააღიზიანოს

პოლიტოლოგ თემურ იაკობაშვილის აზრით, "დიდი რვიანის" ქვეყნების სამიტზე აუცილებლად იქნება განხილული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონებში შექმნილი მდგომარეობა.

იაკობაშვილის შეფასებით, ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ სამიტამდე, 5 ივლისს ვაშინგტონში ერთმანეთს საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტები შეხვდებიან.

"ვფიქრობ, ბუში პუტინის წინაშე აუცილებლად დასვამს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხს. თუმცა, იქნება თუ არა საკითხი რადიკალურად დასმული, ამის თქმა მიჭირს," - ამბობს იაკობაშვილი.

პოლიტოლოგის განმარტებით, შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ აშშ-ს მიერ საქართველოს თემის წამოჭრამ რუსეთი კიდევ უფრო გააღიზიანოს, რადგან "რუსეთი საკუთარ პოლიტიკას უფრო ემოციებით საზღვრავს, ვიდრე რაციონალიზმით." აქედან გამომდინარე, სამიტის შემდეგ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი ძვრები მოსალოდნელი არ არის.

*მედიანიუსი*

# მორიგი ნოტა რუსეთს

2006 წლის 26 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა ნოტა, სადაც გამოთქმულია აღშფოთება ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის მხარის ცალმხრივ, ქართულ მხარესთან შეუთანხმებელი ქმედებებსა და სეპარატისტულ ხელისუფლებასთან პირდაპირ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

ამას ადასტურებს როგორც ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიისა და ე.წ "სამხრეთ ოსეთის" მთავრობების ერთობლივი სხდომები, ისე რუსეთის ფედერაციის მიერ ბრიუსელში დონორთა კონფერენციაზე გაკეთებული განცხადება ეკონომიკური პროექტების ეუთოს გვერდის ავლით დაფინანსების განზრახვის შესახებ.

რუსეთის მხარის მიერ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ნებისმიერი სახის ღონისძიების განხორციელებას, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფასებს როგორც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპებისა და ნორმების, მათ შორის, სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დარღვევას და რუსეთის მხარისგან მოითხოვს მომავალში არ დაუშვას მსგავსი სახის ქმედებები.

*24 საათი*

# ევროპა მომავალი "გაზის კრიზისის" მოლოდინში

პირველი გვერდიდან



რუსეთი უკრაინას "ნარევ" გაზს აწვდის, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირია. დღეისთვის უკრაინა გაზს ათას კუბურ მეტრში 95 დოლარად იღებს. რუსეთი კი მას თურქმენეთიდან 65 დოლარად ყიდულობს. თუმცა, თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, მომავალი წლიდან რუსეთისთვის გაზის 100 დოლარად მიწოდების შესახებ.

"გაზპრომს" ისღა დარჩება, უკრაინას გაზის ფასი გაუზარდოს. თუმცა, რუსი მიმომხილველის ლეონიდ რადზიხოვსკის აზრით, რუსეთი ვერ მოახერხებს უკრაინას 135-150 დოლარზე მაღალი ფასი დაუწესოს, ვინაიდან, თუ უკრაინისთვის არარეალურად მაღალი ფასი დაწესდა, ის უზრალოდ ევროპისათვის განკუთვნილი ტრანზიტული გაზის გამოყენებას დაიწყებს. ზუსტად ისე, როგორც ეს წლის დასაწყისში მოხდა, როდესაც რუსეთი ათას კუბურ მეტრში უკრაინისგან 230 დოლარს ითხოვდა. ზარალმა, რომელიც ევროპელმა მომხმარებლებმა განიცადეს, რუსეთი აიძულა პირობებისთვის სასწრაფოდ გადაეხედა.

თუმცა, რუსი ექსპერტების ნაწილი ევროპელთა შიშს არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ კრიზისი მხოლოდ უკრაინას შეეხება.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ევროპელებს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკუთარ გეგმას სთავაზობს, რომლის წარდგენასაც რუსეთი "დიდი რვიანის" სამიტზე გეგმავს. ერთ-ერთი პუნქტი ამ გეგმაში ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოვლითი გაზსადენების მშენებლობაა. შესაძლოა, მოსალოდნელი თურქმენულ-რუსულ-უკრაინული გაზის კრიზისი ამ კონფეფციის სასარგებლოდ ერთ-ერთი არგუმენტი გახდეს, მით უმეტეს, რომ "გაზპრომი" უკრაინის მიერ შეთანხმების გადახედვით სწორედ ევროპელების შეშინებას ცდილობს.

# ერაყელმა ტერორისტებმა რუსი დიპლომატები დასაჯეს

*ერაყში მკვლელობების სერია გრძელდება. ამჯერად, ტერორისტებმა სასიკვდილო განაჩენი რუს დიპლომატებს გამოუტანეს, ხოლო სასტიკად დასჯის ამსახველი კადრების დამადასტურებელი ვიდეომასალა ინტერნეტის საშუალებით გაავრცელეს.*

როგორც რუსული სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას, ალ-ქაიდას მიერ ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანს, თუ როგორ მოკვეთეს გამტაცებლებმა ორ რუს დიპლომატს თავი, მესამე კი დახვრიტეს. დაჯგუფების მიერ გავრცელებულ მასალაში ნათქვამია მეოთხე დიპლომატის დაღუპვის შესახებ.

ვიდეოჩანაწერი შავ ეკრანზე თეთრი ასოებით დაწერილი ციტატით იწყება. კადრს მიღმა ხმა კითხულობს ტექსტს: **"როცა ვინმე შენ თავს გესხმის, შენც ესხმი მათ თავს".** ამის შემდეგ, ჩნდება კადრი, როდესაც რუსი დიპლომატები რუსულად საუბრობენ. მერე, ორი ნიღბიანი მამაკაცი შეძახილით - "დიდება ალაჰს!" - დიპლომატებს კლავს.

უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატების მკვლელობაზე პასუხისმგებლობა აიღო დაჯგუფება "შურის ახალგაზრდა მოჯახედებმა", რომლებიც "ალ-ქაიდასთან" კავშირს ადასტურებენ. ექსტრემისტებისგან დაკომპლექტებული დაჯგუფება ერაყის ტერიტორიაზე მოქმედებს.

**"რუსი დიპლომატების წინააღმდეგ ღმერთის გადაწყვეტილება რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩვენი ძმებისა და დების მკვლელობების, წამებისა და დევნისთვის განხორციელდა"**, - ნათქვამია "შურას ახალგაზრდა მოჯაჰედების" ბოევიკების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსი დიპლომატების დაღუპვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გუშინვე დაადასტურა. " ულრმესი მწუხარებით ვიუწყებით, რომ ერაყში რუსეთის საელჩოს მძევლად აყვანილი დიპლომატებს, როგორც ჩანს უკვე არაფერი ეშველაბთ, მიუხედავად ჩვენი ხალხის მიერ მიღებული ყველა ზომისა," - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ რუსი დიპლომატები - ფიოდორ ზაიცევი, რინატ აგლიულინი, ანატოლი სმირნოვი და ოლეგ ფედოსეევი - ბოევიკებმა ბაღდადში 3 ივნისს, მანსურის რაიონში გაიტაცეს. მეხუთე - საელჩოს მძღოლი ვიტალი ტიტოვი გატაცების დროს, მანქანის გაჩერებისას მოკლეს.

რუსი დიპლომატების გამტაცებლებმა, რუსეთის ხელისუფლებისგან 48 საათის განმავლობაში ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და დაკავებული ჩეჩნების გათავისუფლება მოითხოვეს. დაჯგუფებამ ასევე, გაავრცელა განცხადება ორი ამერიკელი ჯარისკაცის მკვლელობის შესახებაც.

*24 საათი*

Georgian National airlines

CLUB Class - ნიღვა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

- შ. რუსთაველის გამ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# ყოფილი დეპუტატის ანგარიში საოლქო პროკურატურას

*გასულ კვირას საქართველოს პარლამენტის მიერ ვადამდე სადეპუტატო უფლებამოსილებაშეწყვეტილი ბადრი ნანეტაშვილ, გუშინ უკვე ანგარიშს სამართალდამცველებს აბარებდა. ყოფილი პარლამენტარი, რომლის კოლეგებმა რეგიონული ტელეკომპანია "თრიალეთისა" და შპს "თრიალეთ+"-ის მართვაში დაადანაშაულეს, მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად ხსნის და არ გამორიცხავს, რომ იგი საბოლოოდ საბრალდებო სკამზეც აღმოჩნდეს.*

თუმცა, ყოფილი დეპუტატი და ტელეკომპანია "თრიალეთის" დამფუძნებლი ბადრი ნანეტაშვილი შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ ამ ეტაპზე მოწმის სტატუსით დაიბარა და დაკითხა. ნანეტაშვილს გამომძიებელი ღონღაძე კითხავდა, თუმცა თავდაპირველად რა საკითხთან დაკავშირებით დაიბარეს ყოფილი დეპუტატი, ოფიციალურად არ ცხადდებოდა. თავად ბადრი ნანეტაშვილმა პროკურატურის შენობაში შესვლამდე განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, რა საკითხთან დაკავშირებით იყო დაბარებული და არ გამორიცხა, რომ, შესაძლოა, იგი დაეკავებინათ კიდეც. იგივეს აცხადებს ბადრი ნანეტაშვილის ძმა ჯონი ნანეტაშვილი, რომელიც ტელეკომპანია "თრიალეთის" გენერალური დირექტორია. მისი განცხადებით, როდესაც ბადრი ნანეტაშვილს ბოლო შეხვედრა ჰქონდა პარლამენტარ გიგა ბოკერიასთან, იგი მას დაემუქრა, რომ დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ " ციხეში უკრავდა თავს ". აქედან გამომდინარე, არ გამორიცხავენ მის დაკავებას, რადგან პროკურატურა ნებისმიერი ბრალდების მოფიქრებას შეძლებს.

დეპუტატის დაკითხვა საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. პროკურატურის შენობასთან შეკრებილები იყვნენ ტელეკომპანია "თრიალეთის" თანამშრომელები და ნანეტაშვილის ახლობლები, რომლებიც ყოფილი დეპუტატის დაკითხვას აპროტესტებდნენ და პროკურატურაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს "შეთითხნილს" უწოდებდნენ.

რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ კი, რომელიც ნანეტაშვილის ორი ადვოკატის თანდასწრებით მიმდინარეობდა, ცნობილი გახდა, რომ მოწმეს გორის რაიონის გამგეობიდან ტელეკომპანია "თრიალეთის" ანგარიშზე გადარიცხულ თანხებზე უწევდა პასუხის გაცემა. გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ გამგეობიდან თანხების გადარიცხვა უკანონოდ, ნანეტაშვილის ზეწოლის საფუძველზე ხდებოდა. დაკითხვიდან გამოსულმა ყოფილმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ ტელეკომპანიას ყველა დოკუმენტი წესრიგში აქვს, თუმცა, მიმდინარე პოლიტიკურ ანგარიშსწორების გამო, იგი არ გამორიცხავს, რომ, სიმართლის დამტკიცების მიუხედავად, მაინც ციხეში აღმოჩნდეს. ბადრი ნანეტაშვილის განცხადებით, პროკურატურა მის მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი და გამომძიებელი კითხვებს საკმაოდ უხეშად უსვამდა. თუმცა, ყოფილი დეპუტატისგან განსხვავებით, მისმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ პროკურატურის მხრიდან დაკითხვისას ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ნანეტაშვილი არ გამორიცხავს, რომ უახლოეს დღეებში სამართალდამცველები ტელეკომპანია "თრიალეთის" შემოწმებას დაიწყებენ. "ეს ყველაფერი კი ჩემი დაპატიმრებით დასრულდება", - აცხადებს ყოფილი პარლამენტარი.

ტელეკომპანია "თრიალეთის" გენერალური დირექტორი, ბადრი ნანეტაშვილის ძმა ჯონი ნანეტაშვილი კი ამბობს, რომ "თუ დაინტერესებული ძალა მისი ძმის დაკავების შემდეგაც ვერ მოახდენს ზეწოლას და ტელევიზიის მთავრობისთვის გადაცემას, მაშინ მასაც დააპატიმრებენ".

თუმცა, ნანეტაშვილების შიში არ გამართლდა - გუშინ პროკურატურას ბადრი ნანეტაშვილი არ დაუპატიმრებია. გამოძიებამ იგი დასაკითხად მომავალშიც დაიბარა. თუმცა, როდის შედგება საგამოძიებო მოქმედება, ყოფილი დეპუტატისთვის ჯერჯერობით უცნობია.

*24 საათი*

# "ერთად, წამების წინააღმდეგ"!

*წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღე - 26 ივნისი, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გუშინ სქართველოშიც აღინიშნა. წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ვერის პარკში წამების იარაღების: ხელკეტების, ბორკილების, ნიღბების მოძრავი გამოფენა და თეატრალიზებული წარმოდგენა მოეწყო. შემდეგ აქციის მონაწილეებმა დედაქალაქის ცენტრში მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყვეს.*



*აქცია ყოფილ უშიშროების სამინისტროსთან.*

"ერთად, წამების წინააღმდეგ"! "შეწყდეს ადამიანთა წამება"! "არავინ უნდა იყოს წამების ან სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სუბიექტი"! - ამ ლოზუნგებით აქციის მონაწილეები - არასამთავრობო ორგანიზაციების "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის", "წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრისა" და "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები უშიშროების სამინისტროსაც მიადგნენ და წამების იარაღები შენობის შესასვლელთან დაყარეს.

"მიეცით წამების მსხვერპლთა მხარდამჭერი სიგნალი", - ასეთი დევიზით გაიმართა საქართველოს რეგიონებში აქციები.

გაერო-ს წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული კონფერენციაც მოეწყო.

კონფერენციის მონაწილეების განმარტებებით, 1987 წლის 26 ივნისს ძალაში შევიდა გაერო-ს კონვენცია "წამებისა და სხვა არაჰუმანური, ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ". საქართველო ამ კონვენციას 1994 წლიდან შეუერთდა. კონფერენციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში თავი იჩინა ადამიანის უფლებათა დაცვის, განსაკუთრებით - წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მხრივ, სულ უფრო მეტმა ხარვეზმა და საქართველოს მხრიდან აღნიშნული საერთაშორისო ნორმები იგნორირებულია.

კონფერენციაზე კონკრეტულ ფაქტებზეც ისაუბრეს და მიიღეს დეკლარაცია, რომელიც წამების აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება და მოიცავს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

დეკლარაცია ხელმოწერის შემდეგ გადაეგზავნებათ - საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს და პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს.

*24 საათი*

# საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მოსამართლეების დაპირება

*საკონსტიტუციო სასამართლოს ორი ახალი მოსამართლე ჰყავს. სასამართლოს ორი ახალი წევრი თანამშრომლებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ წარუდგინა. კოტე კუბლაშვილის განცხადებით, 31 წლის ბესიკ ლოლაძე და 34 წლის ოთარ სიჭინავა პრინციპულობით, კვალიფიციურობით და პატიოსნებით გამოირჩევიან და ისინი საუკეთესოდ წარუძღვებიან დაკისრებულ ვალდებულებას. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ირწმუნება, რომ ახალი მოსამართლეები საკონსტიტუციო წესრიგს საქართველოში კიდევ უფრო განამტკიცებენ.*

კანონის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო საკონსტიტუციო სასამართლოში სამ კანდიდატს წარადგენს. ამჯერად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორ წევრს - ლამარა ჩორგოლაშვილსა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს შეუწყდათ სამოსამართლო ვადა. სწორედ მათი ადგილები დაიკავეს ბესიკ ლოლაძემ და ოთარ სიჭინავამ. ისინი ამ თანამდებობებზე ათი თვის ვადით დაინიშნენ. საკონსტიტუციო სასამართლოში უზენაესი სასამართლოს მიერ წარდგენილი კიდევ ერთი წევრია - ბესიკ ზოიძე, რომელსაც სამოსამართლო ვადა ჯერ არ ამოეწურა.

"ის, რომ ჩვენ საქართველოს იუსტიციის საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები ვართ, არ იმოქმედებს ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ჩვენი პოზიცია პრინციპული იქნება", - ასეთი პირობა დადო გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს ორმა ახალმა მოსამართლემ.

ბესიკ ლოლაძე სხვადასხვა წელს იყო იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის დეპარტამენტის ადილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან მუშაობის დეპარტამენტის ნორმატიული აქტების ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი; 2001 წელს მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში თავმჯდომარის თანაშემწედ; 2003-2004 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის უფროსი გახლდათ, ხოლო 2004-2005 წლებში - იუსტიციის მინისტრის მოადგილე; 2005 წლიდან დღემდე იუსტიციის საბჭოს წევრია.

ოთარ სიჭინავა 2001-2002 წლებში მუშაობდა პარიზის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; 1993-1998 წლებში მუშაობდა თბილისის პროკურატურის კანცელარიაში მდივნად, შემდეგ კი საბურთალოს რაიონის პროკურატურაში სტაჟიორად; 2000-2005 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ისტორიის კათედრაზე ლექტორად. 2005 წლიდან დღემდე არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

სხვათა შორის, ცოტა ხანში უფლებამოსილების ვადა ამოეწურება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესაც. ჯონი ხეცურიანის შემცვლელ სავარაუდო კანდიდატებზე კულუარული საუბარი კარგა ხნის წინ დაიწყო. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, საბოლოოდ ვინ შეცვლის საკონსტიტუციო სასამართლოს ახლანდელ თავმჯდომარეს.

*24 საათი*

## მოკლედ

### კონკურსი სააპელაციო სასამართლოში

თბილისის სააპელაციო სასამართლოში სტაჟირების მსურველთა შესარჩევი კონკურსი დაიწყო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, სტაჟიორთა ფუნქციების გადანაწილება სასამართლო სისტემაში განახლებული და თანამედროვე მეთოდით განხორციელდება. სპეციალური კომისია გასაუბრების გზით შეარჩევს სტაჟირების კანდიდატს, რომელიც თანაშემწესთან ერთად მოსამართლეს დაეხმარება განსახილველი საქმისა და გადაწყვეტილების პროექტების მომზადებაში. სააპელაციო სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეს მეთოდი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, მათ პროფესიულ განვითარებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სრულყოფას ისახავს მიზნად. კონკურსში მონაწილე 177 კანდიდატიდან შერჩეულ სტაჟიორთა საბოლოო რაოდენობა მოსამართლეთა დატვირთვის მიხედვით განისაზღვრება. სტაჟიორები თბილისის სააპელაციო სასამართლოში პრაქტიკას ნახევარი წლის განმავლობაში გაივლიან.

*24 საათი*

### მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპი

საკონსტიტუციო სასამართლოში ყოფილი პარლამენტარის ვალერი გელაშვილის საქმის განხილვა მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე გადავიდა. ვალერი გელაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესს ვერ ესწრება, რადგან ის საქართველოში არ იმყოფება. გუშინდელ პროცესზე გამოქვეყნდა ის ტელესიუჟეტები, რომლებიც თბილისის N84-ე სკოლის დაწვის პერიოდში სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებით გადაიცა და რომელშიც ვალერი გელაშვილთან დაკავშირებით სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შეფასებებია დაფიქსირებული.

უკვე წარმოდგენილი ერთ-ერთი სიუჟეტი თბილისის მერის გიგი უგულავას და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების კომენტარებს მოიცავდა. ამ კომენტარების მიხედვით, 84-ე სკოლის შენობის დაწვა "ამ ტერიტორიით დაინტერესებული პარლამენტარის ვალერი გელაშვილის ინტერესებს უკავშირდებოდა". თბილისის მერის განცხადებით, გელაშვილმა 84-ე სკოლასთან სავაჭრო ცენტრის აშენება დაიწყო და სკოლის ტერიტორიითაც დაინტერესდა. ამისთვის კი სკოლის პედაგოგებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

**"როგორც ხანძარი, ასევე, მოწმეების წარმოდგენა ხელისუფლების მიერ მოწყობილი სპექტაკლი იყო. ცრუ მოწმეა 84-ე სკოლის პედაგოგი გულნარა ფრანგიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ სკოლის გადაწვამდე მას ვალერი გელაშვილი დაუკავშირდა და სკოლის სხვა შენობაში გადასვლის შესაძლებლობაზე ესაუბრა. ჩემთვის ცნობილია, რომ ფრანგიშვილს წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული, რა ჩვენება უნდა მიეცა პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის სხდომისთვის",** - ირწმუნებოდა გუშინდელ პროცესზე გელაშვილის ინტერესების დამცველი კახა კუკავა. ერთი სიტყვით, მოსარჩელე მხარეს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში ვალერი გელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას აპროტესტებს, ეჭვი აქვს, რომ მასწავლებელი ცრუ ჩვენებას იძლევა. **"სიუჟეტებში გიგი უგულავამ მანამდე გააკეთა ინციდენტის შეფასება, ვიდრე გულნარა ფრანგიშვილი ტელეკომპანიით გაახმაურებდა ვალერი გელაშვილთან შეხვედრის დეტალებს. ამდენად, ეს ყველაფერი წინასწარ იყო მოფიქრებული და დაგეგმილი",** - ასეთი გახლავთ ყოფილი დეპუტატის დამცველების არგუმენტი.

*24 საათი*

### ყველანაირი საბუთი - ერთი სარკმლის პრინციპით

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თბილისის ვაკის რაიონის ტერიტორიული ოფისი ოფიციალურად გაიხსნა. გახსნის ცერემონიას იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე და თბილისის მერი გიგი უგულავა, ასევე, საქართველოში საბერძნეთის ელჩი ელეფტერიოს ანგელოპულოსი ესწრებოდნენ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის ირაკლი ფორჩხიძის ინფორმაციით, შენობა, რომელიც აბაშიძის N68-ში მდებარეობს, საბერძნეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა და აღიჭურვა. მისივე თქმით, თანამედროვე სტანდარტების ოფისების გახსნა მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეფორმის ნაწილია.

ამგვარი ოფისები უკვე მოქმედებს რუსთავში, ბათუმში, ქუთაისში, მარნეულში, ბოლნისსა და თბილისის საბურთალოს რაიონში. წლის ბოლომდე იგეგმება ოცამდე ოფისის გარემონტება და აღჭურვა. აღარ იარსებებს რიგები ოფიციალური დოკუმენტის ასაღებად და იმოქმედებს ერთი სარკმლის პრინციპი. იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის თქმით, საქართველოში ინერგება ახალი მომსახურება - საქართველოს მოქალაქეებს შეეძლება, ჰქონდეს იმდენი პასპორტი, რამდენიც დასჭირდება. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში კიდევ ერთ სიახლეზე მუშაობენ. საქართველოს მოქალაქის 32-გვერდიან პასპორტთან ერთად გამოვა 48-გვერდიანი პასპორტიც. მათ შორის არჩევანს თავად მოქალაქე გააკეთებს.

*24 საათი*

# სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვა დღეს იწყება

პირველი გვერდიდან

თბილისის საქალაქო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის დაკავებული ოთხი პირი: კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი გია ალანია, ამავე დეპარტამენტის ოფიცრები ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილური უნდა გაასამართლოს.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გირგვლიანის სასამართლო გამოძიების დამოუკიდებელ მონიტორინგს "ახალგაზრდა იურიტთა ასოციაცია" განახორციელებს.

ასოციაციის იურისტები სასამართლო პროცესებს აქტიურად დაესწრებიან და შესაბამის სამართლებრივ დასკვნასაც მოამზადებენ. როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" აცხადებენ, პროცესზე დამსწრე იურისტები საზოგადოებას საქმის სასამართლო გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ობიექტურ სურათს გააცნობენ.

*24 საათი*



## მოკლედ მედია საბჭოს შესახებ

თავისუფალი მედია დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია და მას გაფრთხილება უნდა. თავისუფლების რეალურ უზრუნველყოფას კი, ხელისუფლების ნებისა და სათანადო ფინანსების გარდა, პროფესიონალიზმი და შესაბამისი ეთიკა სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი მედიის არსებობის ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოში არაერთი ტრეინინგი და სხვა საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდა, ჟურნალისტთა პროფესიული დონე არა თუ გაუმჯობესდა, შეიძლება ითქვას, გაუარესდა კიდეც. პრობლემა თავისუფლების და პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულების გააზრებაა. ყოველივე კი, პირველ რიგში, ქვეყანაში მედიის ანგარიშვალდებულების სისტემის არარსებობით არის განპირობებული.

2002 წლის 14-15 მაისს ხელი მოეწერა "მედიის პროფესიულ სტანდარტს". მართალია, ამ დოკუმენტს ოცდაორი მედია ორგანიზაცია და ოთხი ჟურნალისტი შეუერთდა, მაგრამ მედიის პროფესიული დონე არც ეთიკური ნორმების დეკლარირების გზით გაუმჯობესებულა. ბუნებრივია, ეს განპირობებული იყო თავად თვითრეგულირების ინსტიტუტის არარსებობით.

ევროსაბჭოს ექსპერტის, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის კლოდ-ჟან ბერტრანის რეკომენდაციით, საქართველომ აირჩია პრესის საბჭოს მოდელი, რომელიც კანადის ონტარიოს პრესის საბჭოს გამოცდილებას ეყრდნობა. ამ მიზნით, მედიასაშულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, მომზადდა მედია საბჭოს რეგლამენტი და წესდება, რომლითაც განისაზღვრა ამ ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და იურიდიული სტატუსი. თუმცა საბჭოს ჩამოყალიბების პროცესი გარკვეულწილად შეაფერხეს ჟურნალისტური ასოციაციების წარმომადგენლებმა, რომელთაც განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ საბჭოს სუბიექტების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ბოლო პერიოდში, მედიის პროფესიული ხარისხის გაუარესების ფონზე, საგრძნობლად შემცირდა მედიის თავისუფლების ხარისხიც. ამ ვითარებაში მედია საბჭოს არსებობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რადგან შესაძლოა, ის იქცეს მნიშვნელოვან წარმომადგენლობით ინსტიტუტად (მესაკუთრეები, ჟურნალისტები, საზოგადოების წარმომადგენლები), რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, საზოგადოების დაცვას მედიის არაპროფესიონალიზმისაგან, მეორე მხრივ, ჟურნალისტების დაცვას როგორც მედიის მესაკუთრეების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთა ზეწოლისაგან.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ხელისუფლება, გარკვეულწილად, დისკრედიტებულია, მედიასაბჭო, შესაძლოა, იქცეს სასამართლოს ერთგვარ ალტერნატივად, მით უფრო, რომ სასამართლოსგან განსხვავებით, მისი საქმიანობა არ არის დაკავშირებული ფინანსურ დანახარჯებთან, არც საინფორმაციო საშუალებებისათვის, არც მოქალაქეებისათვის, და გამარტივებული, შემჭიდროვებული პროცედურების წყალობით, გაცილებით მოქნილი და ეფექტურია.

## მედია საბჭოს მიზნები, ფუნქციები და მოქმედების არეალი

მედია საბჭოს მიზანია, ერთი მხრივ, სიტყვის თავისუფლების დაცვა და პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება ჟურნალისტიკაში. მეორე მრივ კი, თავად ჟურნალისტიკის დაცვა არაპროფესიონალიზმისაგან.

საბჭოს მთავარი ამოცანაა მედიის პროფესიული სტანდარტით დეკლარილებული ნორმების დაცვა.

ამ მიზნის მისაღწევად საბჭო

- განიხილავს პროფესიული სტანდარტის დარღვევასთან დაკავშირებით შემოსულ საჩივრებს;
- ახორციელებს საინფორმაციო საშუალებების მუდმივ მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგებს რეგულარულად აქვეყნებს საბჭოს ვებ-გვერდზე;
- აქვეყნებს შეფასებითი ხასიათის განცხადებას იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა;
- ატარებს საგანმანათლებლო კამპანიას;

მედია საბჭო ეყრდნობა დამოუკიდებლობის, კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

მედია საბჭოს, როგორც თვითრეგულირებად ორგანოს, სამი ძირითადი სუბიექტი - მესაკუთრე, ჟურნალისტი და საზოგადოება ქმნის. მედია საბჭო ღიაა ყველა მედიაორგ

**პრეამბულა**

ადამიანის უფლებაა ფლობდეს დროულ, ზუსტ და დაუმახინჯებელ ინფორმაციას. ჟურნალისტის მოვალეობაა, საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია. საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, ჟურნალისტი მოვალეა, დაიცვას პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები.

ძირითადი დებულებები

ინფორმაციის, თვალსაზრისის და კომენტარის გამიჯვნა ინფორმაციის მიწოდებისას ფაქტი, ჟურნალისტის თვალსაზრისი და მესამე პირის კომენტარი ერთმანეთისაგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს.

ინფორმაციის წყარო

თუ წყარო ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, რომ ჟურნალისტი არ გაამჟღავნებს მის ვინაობას, თავის მხრივ, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება მაშინაც კი, თუ ასეთი პოზიცია პრობლემას შეუქმნის მას. შემოთავაზებული დათქმა: თუ დადასტურდა, რომ წყარომ შეგნებულად და ბოროტი განზრახვით შეიყვანა ჟურნალისტი შეცდომაში, მაშინ ეს პირობა შესაძლოა დაირღვეს. ინფორმაციის ამა თუ იმ წყაროს შესაძლოა, პირადი ინტერესი ამოძრავებდეს, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი კრიტიკულად მოეკიდოს თავის წყაროს. პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას სხვა დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე. თუ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია, მისი გავრცელებისას უნდა გაკეთდეს შესაბამისი დათქმა. წყაროს დასახელება დამაჯერებლობას მატებს ინფორმაციას, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ინფორმაციის წყაროს დაცვის აუცილებლობას.

პასუხის უფლება და შესწორება

კრიტიკის ობიექტს უფლება აქვს, საზოგადოებას ამცნოს საკუთარი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. არასწორი ინფორმაცია უნდა გასწორდეს, როგორც კი ცნობილი გახდება გამოქვეყნებულ ინფორმაციაში არსებული შეცდომის შესახებ. შესწორება უნდა მოხდეს თანაზომადი ფორმით, რათა მკითხველმა/აუდიტორიამ იოლად შეამჩნიოს იგი.

დისკრიმინაცია

ჟურნალისტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუთითებს ამა თუ იმ პირის ეთნიკურ და რასობრივ კუთვნილებას, პოლიტიკურ და რელიგიურ მრწამსს, სოციალურ მდგომარეობას, კანის ფერს თუ სექსუალურ ორიენტაციას, თუ ეს ინფორმაცია პირდაპირ კავშირშია საქმის არსთან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მედიამ პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას.

ადამიანის პირადი ცხოვრება, ამ პირის თანხმობის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაშუქდეს მედიის საშუალებაში, თუ ეს შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს. ჟურნალისტი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ბავშვების და იმ პირების პირად ცხოვრებას, რომლებიც ვერ აცნობიერებენ მათი განცხადებებით ან ქმედებებით გამოწვეულ შედეგს. ჟურნალისტმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მითითებისას. შემოთავაზებული დათქმა: თუ ეს პირი არის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები ან ასეთ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივ ინტერესებს შეესაბამება). ჟურნალისტმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულთა და მათი ახლობლების ინტერესები, როცა საქმე უბედური შემთხვევების ან დანაშაულის გაშუქებას ეხება: არ დაასახელოს დაზარალებული პირის ვინაობა, ამ პირთა ოჯახის წევრებისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე. (შემოთავაზებული დათქმა: თუ ეს პირი არ არის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები ან ასეთ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია)

არასრულწლოვანები

ინფორმაციამ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ არ უნდა შეაფერხოს და გაართულოს მისი საზოგადოებრივი რეაბილიტაცია. ასეთ შემთხვევებში არ უნდა იყოს შესაძლებელი ვინაობის იდენტიფიცირება (თუ საქმე რეციდივს არ ეხება).

ინფორმაციის მოპოვება

ჟურნალისტი ინფორმაციას მოიპოვებს ღია საშუალებებით. ფარული საშუალებებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვება სხვა გზებით შეუძლებელია.

სასამართლო პროცესები, კრიმინალური ამბები

სასამართლო პროცესის გაშუქებისას ჟურნალისტი ვალდებულია, მიუკერძოებლად, ხარისხობრივად თანაბრად წარმოადგინოს მხარეთა პოზიციები. ჟურნალისტმა მკვეთრად უნდა გამიჯნოს ეჭვი და დამტკიცებული ბრალეულობა. ეჭვმიტანილი პირი არ უნდა გამოცხადდეს დამნაშავედ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. პროფესიული სტანდარტი მოითხოვს იმ სასამართლო პროცესის შედეგის გამოქვეყნებას, რომლის მიმდინარეობის შესახებ საინფორმაციო საშუალება მანამდე იუწყებოდა. ჟურნალისტმა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის თანხმობის გარეშე არ უნდა მოახდინოს მისი იდენტიფიცირება.

პირადი გამორჩენა/ანგარება

პროფესიულ სტანდარტებთან შეუთავსებელია, რომ ინფორმაციის გავრცელების ან გაუვრცელებლობის საზღაურად ჟურნალისტმა ან მისი ოჯახის წევრმა გარეშე პირებისგან მიიღოს რაიმე სარგებელი.

ინტერესთა კონფლიქტი

ჟურნალისტის პროფესია შეუთავსებელია აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, სარეკლამო თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის და სპეციალურ სამსახურებში თანამშრომლობასთან, აგრეთვე სხვა საქმიანობასთან, რომელმაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს ჟურნალისტისა და ჟურნალისტის პროფესიის სანდოობა.

საავტორო უფლებები

იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე საავტორო უფლებების დაცვას არ ეხება და ჟურნალისტი სარგებლობს უკვე გამოქვეყნებული/გავრცელებული ინფორმაციით, პროფესიული სტანდარტი მოითხოვს ავტორის ვინაობის მითითებას.

რეკლამა

ჟურნალისტური ინფორმაცია და სარეკლამო მასალა მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქებისას საჭიროა მიეთითოს კვლევის მეთოდი, გამოკითხულთა რაოდენობა, დასმული შეკითხვის ზუსტი ტექსტი, სავარაუდო ცდომილება, კვლევის ჩატარების დრო, დამკვეთი და შემსრულებელი.

ფოტოილუსტრაცია

კონკრეტული ინფორმაციის ილუსტრაცია მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული საარქივო, სიმბოლური და დამონტაჟებული გამოსახულებებისაგან.

ორგანიზაციები

1. ოზურგეთის პრეს-კლუბი, ლადო მენაბდე 2. გაზეთი „P.S.", ნინო ლაჭავა, თინიკო დვალიშვილი 3. გაზეთი „ლანჩხუთი Plus", ზაზა ნაკაშიძე 4. „დილის გაზეთი", მანანა კარტოზია 5. „ხვალინდელი დღე", გელა გურგენიძე 6. „რეზონანსი", ზურაბ მაჭარაძე 7. „ახალი გაზეთი", ია ბობოხიძე, მაია მეცხვარიშვილი 8. თავისუფალ ჟურნალისტთა ასოციაცია „მეოთხე", ია ბობოხიძე, მაია მეცხვარიშვილი 9. საგარეჯოს ტელეკომპანია „თვალი", გიორგი კევლიშვილი 10. ტელერადიოკომპანია „თრიალეთი", ბადრი ნანეტაშვილი 11. გაზეთი „24 საათი", ნოდარ ლადარია 12. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2", ნოდარ ლადარია 13. გაზეთი „The Messenger", ზაზა გაჩეჩილაძე 14. საქართველოს ტელერადიომაუწებლობა, ზაზა შენგელია 15. გაზეთი „ალია", ქეთი ხატიაშვილი 16. საგამომცემლო სახლი „გურია News", გურიის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია, ია მამალაძე 17. ტელეკომპანია „იმედი", გიორგი თარგამაძე 18. გაზეთი „ახალი ვერსია", ალეკო ცქიტიშვილი 19. სამაუწყებლო კომპანია „I სტერეო", დავით ზილფიმიანი 20. ჟურნალი „თავისუფლება", თამარ კინწურაშვილი 21. ასოციაცია „თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბი", სოზარ სუბარი 22. რადიო „ძველი ქალაქი" ჟურნალისტები 1. დათო პაიჭაძე, რადიო „თავისუფლება" 2. ვახტანგ კომახიძე, გადაცემა „60 წუთი" 3. ირმა ჭოლაძე, ტელეკომპანია „ქუთაისი" 4. თათა კაჭკაჭიშვილი, გაზეთი „მთავარი იმერეთში"

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:





## უორენ ბაფეტი თავის ქონებას გეითსს ქველმოქმედებისათვის აძლევს

მსოფლიოს მეორე უმდიდრესმა ადამიანმა უორენ ბაფეტმა განაცხადა, რომ თავისი 44 მილიარდ დოლარად შეფასებული ქონების 85 პროცენტს საქველმოქმედო მიზნებისათვის გასცემს. ამ თანხის უდიდესი ნაწილი, 83 პროცენტი, აქციების სახით ჰოლდინგ Berkshire Hathaway-ს, ბილ და მელინდა გეითსების საქველმოქმედო ფონდს გადაეცემა. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ბილ გეითსი ბაფეტის ძველი და კარგი მეგობარია. დანარჩენი 17 პროცენტი კი ოთხ სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდში გადანაწილდება.

უმალ გაჩნდა ეჭვი, რომ ბაფეტის ამგვარი ნაბიჯი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებითაა გამოწვეული. მაგრამ 75 წლის მილიარდერმა განაცხადა, რომ ხარივით ჯანმრთელია და როცა ექიმთან კონსულტაცია გაიარა, თავისი სამედიცინო ბარათი, ფაქტობრივად, ჩანაწერის გარეშე დარჩა.

ბაფეტმა აღნიშნა, რომ მისი ნაბიჯი არანაირ გავლენას არ მოახდენს Berkshire Hathaway-ს კეთილდღეობაზე და არ დამალა, რომ ფულის საქველმოქმედო მიზნებისათვის მოხმარება ორი წლის წინ მისი ცოლის, სიუზანის გარდაცვალებას უკავშირდება. "მე და სიუზანს გადაწყვეტილი გვქონდა, რომ, როცა ჩემი სიკვდილის შემდეგ იგი Berkshire Hathaway-ის წილს მემკვიდრეობით მიიღებდა, მას საზოგადოებას გადასცემდა. სიუზანს ყოველთვის სურდა, რომ ჩვენი კაპიტალიდან საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რაც შეიძლება, მეტი ფული მიეღოთ."

## Phelps Dodge ორ კანადურ კომპანიას ყიდულობს

მსოფლიოს სიდიდით მესამე სპილენძის მწარმოებელი ამერიკული კომპანია Phelps Dodge ორ კანადურ კომპანიას, მსოფლიოს სიდიდით მეორე ნიკელის მწარმოებელ Inco-ს და სპილენძისა და ნიკელის მსოფლიოში მეოთხე მწარმოებელ Falconbring-ს ყიდულობს. სავარაუდოდ, გარიგებათა საერთო ღირებულება 56 მილიარდი დოლარი იქნება.

გარიგებათა განხორციელებას უკვე მწვანე შუქი აუნთო აშშ-ს და ევროკავშირის მაკონტროლებელმა ორგანოებმა. ამგვარად, ფერადი ლითონების მწარმოებელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კონცერნი შეიქმნება.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3000 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9810 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4833 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7750 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8285 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1406 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2991 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3086 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2299 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4255 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3413 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,0453 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1529 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2427 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1939 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2362 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3978 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5857 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1982 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5104 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3316 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2809 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5429 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5963 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0656 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1126 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4236 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5414 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4504 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5465 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7983 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1391 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1484 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4405 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2419 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4264 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0783 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2219 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2285 |




# ტელეკომპანიების შემოსავლები იზრდება

### სარეკლამო კომპანიები უპირატესობას საეთერო მაუწყებლებს ანიჭებენ

ნინო ნატროშვილი

*ელექტრონული კომუნიკაციების სექტორი მთელ მსოფლიოში ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მოგებიანი სფეროა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მაღალი არ არის, ამ სეგმენტით ბიზნესმენები ინტერესდებიან და სოლიდურ კაპიტალდაბანდებებსაც ახორციელებენ.*







B2

# საბაჟო კოდექსის განხილვაში ნინო ბურჯანაძეც ჩაერთო

### პარლამენტი ბიუჯეტის პროგრამულ დაფინანსებაზე უარს ამბობს

თინა შავაძე

*ეკონომიკის ლიბერალიზაცია, უპირველესად, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ბიზნესსექტორების მცირე დოზით რეგულირებას ნიშნავს. ეს, პრაქტიკულად, გამოიხატება იმაში, რომ ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან გამარტივებული პროცედურებით იმართება, ანუ დაწესებული ნორმის შესრულებისთვის მეწარმეს, ვთქვათ, 50 დოკუმენტის ნაცვლად, 15-ის გაფორმება უნდა მოუხდეს. ამ პროცესის წარმართვას ახლა ერთი ფანჯრის პრინციპი ჰქვია, რომელიც ბიზნესს ხელისუფლებასთან ურთიერთობისას თამაშის მარტივ წესებს სთავაზობს. ასეთი წესების დამკვიდრება დაიწყო ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, მშენებლობისა და სხვა სფეროებში.*

**კანონპროექტის ავტორთა მიზანია, ბიუჯეტს მიეცეს პროგრამული ხასიათი და იგი შედეგებზე ორიენტირებული გახდეს, ანუ ბიუჯეტი მხოლოდ შემოსავლების, ხარჯების და დაფინანსების წყაროების ბალანსი არ უნდა იყოს.**



B4

# მოსკოვი მსოფლიოს უძვირესი ქალაქია

კომპანიამ Mercer Human Resource Consulting გამოაქვეყნა მსოფლიოს უმსხვილეს ქალაქებში ცხოვრების ღირებულების ახალი რეიტინგი, რომელშიც შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რეიტინგის ახალი ლიდერი და პლანეტის მეგაპოლისებიდან უძვირესი მოსკოვი გახდა, რომელიც ცხრილში სამი საფეხურით დაწინაურდა.

Mercer Human Resource Consulting-მა რეიტინგის შედგენისას ორასზე მეტი მაჩვენებელი (საკვები, ჩასაცმელი, მგზავრობა, გართობა, საყოფაცხორებო გადასახადები და ა.შ.) გაითვალისწინა და თითოეული ქალაქისათვის ინდექსი გამოითვალა. ექსპერტთა აზრით, რუსეთის დედაქალაქის ლიდერობას ხელი განსაკუთრებით საცხოვრებელი ფართის გაძვირებამ შეუწყო.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ქალაქებს შორის სიძვირის მიხედვით მეორე ადგილზე სანკტ პეტერბურგია, რომელიც საერთო რეიტინგში მე-12 ადგილზეა. განსაკუთრებით გაძვირდა კიევი, რომელმაც 54-დან 21-ე ადგილზე აინაცვლა. მსოფლიოს უიაფეს მეგაპოლისად კი კვლავ პარაგვაის დედაქალაქი ასუნსიონი რჩება.

გთავაზობთ Mercer Human Resource Consulting-ის რეიტინგის პირველ ათეულს:

**1. (2005 წელს მე-4) მოსკოვი - ინდექსი 123,9.**
**2. (5) სეული - 121,7.**
**3. (1) ტოკიო - 119,1.**
**4. (9) ჰონკონგი - 116,3.**
**5. (3) ლონდონი - 110,6.**
**6. (2) ოსაკა - 108,3.**
**7. (6) ჟენევა - 103.**
**8. (8) კოპენჰაგენი - 101,1.**
**9. (7) ციურიხი - 100,8.**
**10. (10) ოსლო - 100.**



## კვების პროდუქტებზე ფასი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის ხუთი თვის განმავლობაში სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების ზრდის საერთო დონის მაჩვენებელმა 5,8 პროცენტი შეადგინა. 2006 წლის მაისში სამომხმარებლო ფასები სურსათზე 9,4 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის გაძვირდა კვერცხი 53,9 პროცენტით, ბოსტნეული - 17,4 პროცენტით, ხორც-პროდუქტები - 11,8 პროცენტით.

გაიაფდა ყველი 22,5 პროცენტით, მწვანილი - 20,0 პროცენტით, კიტრი - 42,6 პროცენტით, პომიდორი - 11,4 პროცენტით და ბადრიჯანი - 20,2 პროცენტით. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მალე კვების პროდუქტებზე სამომხმარებლო ფასები კიდევ გაიზარდოს.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 21 ივნისს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ადგილობრივ ბაზარზე ფქვილზე, მაკარონსა და შაქარზე გაზრდილი ფასები ფიქსირდება.

დეპარტამენტის ცნობით, 1 კილოგრამი ხორბლის ფქვილის ღირებულებამ 1,05 ლარი, მაკარონის 1,60, ხოლო შაქრის ფასმა 1,57 ლარი შეადგინა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წელს, შესაძლებელია, ფქვილზე და შაქარზე ფასი კიდევ გაიზარდოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მელიორაციის დეპარტამენტმა ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოავლინა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ - სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტმა სამელიორაციო სისტემების მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციის ღონიძიებების განსახორციელებლად, საჭირო საწვავ-საცხები მასალების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოავლინა. ტენდერში კომპანია "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" გაიმარჯვა. აღნიშნული ტენდერი მელიორაციის მართვის დეპარტამენტმა მეორედ ჩაატარა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "Visa International"-ი საქართველოს ბაზარზე მუშაობას გააქტიურებს

საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა "Visa International" საქართველოს ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვას გეგმავს. "Visa International"-ის წარმომადგენლობის ინფორმაციით, კომპანიის რეგიონული მენეჯერი დსთ-ს ქვეყნებში სვეტლანა გეორბელიძე ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით 30 ივნისს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ანგარიშს წარმოადგენს. პარალელურად, გაიმართება უახლესი ტექნოლოგიების სფეროში "Visa International"-ის მიღწევების გამოფენა "ავენიუ 2010".

"Visa International"-ის ქართულმა წევრმა-ბანკებმა ამ დრომდე Visa-ს 300 ათასი პლასტიკური ბარათი გამოუშვეს. გეორბელიძე შეაჯამებს უკანასკნელ მონაცემებს საქართველოში Visa-ს საგადამხდელო ბარათების ბაზრის განვითარების ტემპებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება Visa-ს პლასტიკური ბარათების ისეთი შესაძლებლობები, როგორებიცაა - საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდა, უკონტაქტო და მობილური გადახდები, ლოიალობის პროგრამები, ბიზნეს-ბარათები, სამედიცინო დაზღვევა და სხვა. **ინტერპრესნიუსი**

## ლატვიაში ქართული პროდუქციის გამოფენა გაიმართება

საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმი და ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენტაცია 28-29 ივნისს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართება, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან.

მათი ინფორმაციით, ბიზნესფორუმი ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გაიმართება, რომელსაც ლატვიის სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი გახსნის. ფორუმს სიტყვით მიმართავს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი. საქართველოში ბიზნესგარემოზე საქართველოს სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი გიორგი კაკაბაძე ისაუბრებს.

დაგეგმილია "თბილღვინოს" პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის, "ქართული მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გამგეობის თავმჯდომარის ზაზა კიკვაძის და სს "მადნეულის" გენერალური დირექტორის კობა ნაყოფიას პრეზენტაციები.

ბიზნესფორუმის შემდეგ გაიმართება ქართული პროდუქციის გამოფენა და ქართული ღვინოების დეგუსტაცია. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობით, ლატვიაში ქართულ ღვინოს წარადგენენ შემდეგი კომპანიები: "თბილღვინო", "ვაზიანი", "თელიანი ველი", "თელავის ღვინის მარანი", "ტიფლისის მარანი" და "კახური ტრადიციული მეღვინეობა".

ღვინის მწარმოებელი კომპანიების გარდა, ფორუმში და გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ექვსი ქართული კომპანია: "უშბა დისტილერი", "ქართული მინისა და მინერალური წლების კომპანია", "დენდრო", "PSP", "LUX 2004", "მადნეული".

როგორც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო-პალატაში აცხადებენ, ქართველ და ლატვიელ ბიზნესმენებს შორის ორმხრივ შეხვედრებს, რომელიც გამოფენის ბოლოს გაიმართება, ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა უზრუნველყოფს. ლატვიის მხრიდან წარმოდგენილნი იქნებიან: დისტრიბუტორები, იმპორტიორები, მსხვილი სავაჭრო ქსელების და სხვა სფეროების წარმომადგენლები. ორმხრივი შეხვედრები ორ დღეს გაგრძელდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## 1997-2003 წლებში დაგროვილი დავალიანების გასტუმრების განხილვას უახლოეს დღეებში დაიწყებენ

ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებით, 1997-2003 წლებში დაგროვილი დავალიანების გასტუმრების განხილვას პარლამენტი უახლოეს დღეებში დაიწყებს. დავალიანება მთლიანობაში 4 მილიონ ლარს შეადგენს.

ხაზინადართა საბჭოს მეთაურის, ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ამ ეტაპზე მთავრობისგან გამოყოფილი 1 800 000 ლარის განკარგვა მოხდება. პარლამენტის ბიუროს დავალიანება, ასევე დეპუტატების ბინის ქირა და სხვა წვრილი დავალიანებები.

გარდა ამისა, იმ დეპუტატებისთვის, რომლებიც მინსკის ცნობილი მოვლენების დროს დააპატიმრეს და, გაუთვალისწინებელი დაპატიმრების გამო, მათი შენახვის ხარჯები გაიზარდა. ამ ხარჯებსაც ხაზინადართა საბჭო აანაზღაურებს. ეს გადაწყვეტილება დღეს ბიუროზე მიიღეს.

თავის დროზე, ამ დეპუტატებს ზედმეტად გადახდილი თანხები პარლამენტმა საკუთარი ხელფასიდან ჩამოაჭრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ტელეკომპანიების შემოსავლები იზრდება

პირველი გვერდიდან

შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი

| ბაზრის სეგმენტები | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | CAGR |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტელემაუწყებლობა | 71.21% | -13.20% | 138.81% | 56.82% | 30.84% | 48.75% |
| საკაბელო ტელემაუწყებლობა | 2.35% | 24.68% | 3.86% | 15.79% | 5.98% | 10.20% |
| რადიომაუწყებლობა | -33.76% | 21.73% | 30.34% | 13.42% | 30.90% | 9.31% |

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, ლიცენზია ტელე და რადიომაუწყებლობაზე 200 კომპანიას აქვს აღებული. ამ ეტაპზე საქართველოში 43 სატელევიზიო არხი მაუწყებლობს, აქედან შვიდის სათაო ოფისი თბილისშია. ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშეები არიან: "რუსთავი 2", "საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველი არხი", "იმედი" და "მზე". ტელესივრცეში შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებებით მაუწყებლობს ტელეკომპანია "202", "პირველი სტერეო", "კავკასია" და "ევრიკა".

ქვეყანაში 22 რადიოარხი ფუნქციონირებს, აქედან ცამეტის ოფისი თბილისშია. ამ სეგმენტში, დაფარვის ზონის მიხედვით, სახელმწიფო რადიო, რადიო "იმედი" და რადიო "ფორტუნა" ლიდერობენ. რაც შეეხება სარეკლამო ბადეს, რეკლამის 63,9 პროცენტი საეთერო მაუწყებლობაზე მოდის, 28,6 პროცენტი - საკაბელო ტელევიზიებზე, 7,4 პროცენტი - რადიოზე. შესაბამისად, იმ ტელეკომპანიების შემოსავლები უფრო მაღალია, რომლებიც უპირატესობას საეთერო მაუწყებლობას ანიჭებენ. ყველაზე მსხვილი კაპიტალდაბანდება ელექტრონულ მედიასივრცეში 2002-2003 წლებში განხორციელდა. სწორედ მაშინ დაიწყო მაუწყებლობა ტელეკომპანია "მზემ" და "იმედმა".

ექსპერტების შეფასებით, ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის სეგმენტზე ჩამოყალიბებული ტენდენციები ელექტრონული მედიასივრცის განვითარებაში დასახული პრიორიტეტების პრაქტიკული ანარეკლია. "ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის გახსნა ლიბერალიზაციის თანმდევი პროცესია და გაწვლილ პერიოდში აღნიშნული სეგმენტი ჩამოყალიბდა, როგორც სარეკლამო ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად მომგებიანი სექტორი.

მიუხედავად იმისა, რომ 2000-2005 წლებში, დარგის მთლიან შემოსავლებში ტელემაუწყებლობის წილი შედარებით ვიწრო დიაპაზონში მერყეობდა და საშუალოდ მისი წილი 4,25 პროცენტს შეადგენდა, მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების ოდენობა ამ ხუთი წლის განმავლობაში 9,89 მილიონი ლარით, თითქმის 3,2 ჯერ გაიზარდა. ამ მაჩვენებელმა 2005 წლის მონაცემებით 31,7 მლნ ლარი შეადგინა," - განუცხადეს "24 საათს" კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

2005 წელს ტელერადიომაუწყებლობის სფეროში კომპანიების მიერ მიღებულმა საერთო შემოსავლებმა 31, 7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ელექტროკომუნიკაციების ბაზრის მთლიანი შემოსავლების 4,43 პროცენტს გაუტოლდა. ასეთ სწრაფ ზრდას ექსპერტები სარეკლამო ბაზრის განვითარებას უკავშირებენ.

თუ გასულ წლებში ამ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს გადავხედავთ, 2002 წლის ჩათვლით, ეს სეგმენტი ეკონომიკური მოგებიანობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მიმზიდველობით არ გამოირჩეოდა, რაც იმ პერიოდში სარეკლამო ბაზრის მცირე მოცულობით და განვითარების დონით იყო განპირობებული.

2003 წლიდან დაიწყო ბაზრის ამ სეგმენტის მკვეთრი გაფართოება. საერთო შემოსავლების ზრდა, ძირითადად, განაპირობა საერთო ტელემაუწყებლობის სექტორის გაფართოებამ, რომლის წილიც სამაუწყებლო სექტორის მთლიან შემოსავლებში ხუთი წლის განმავლობაში 28,2 პროცენტიდან 64 პროცენტამდე გაიზარდა. ამ პერიოდში ტელემაუწყებლობის შემოსავლების წლიური ზრდის ტემპის ინდექსმა 48,8 პროცენტი შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელია საკაბელო სეგმენტზე - 10,2, რადიომაუწყებლობის სეგმენტზე - 9,3 პროცენტი იყო.

აღნიშნული განსხვავება, გარკვეულწილად, იმანაც განაპირობა, რომ სარეკლამო პროდუქციის განმათავსებელი სააგენტოები ელექტრონული მედიატექნოლოგიებიდან უპირატესობას ჯერ-ჯერობით ისევ საეთერო ტელემაუწყებლობას ანიჭებენ.

# ინვესტორები საქართველოში ახალი ჰესების მშენებლობით დაინტერესდნენ

საქართველოს მთავრობამ მცირე და საშუალო ზომის 32 ჰესის მშენებლობაზე ინტერესის გამოხატვის შესახებ კონკურსი თებერვალში გამოაცხადა. სამინისტროში განაცხადები, ძირითადად, თურქულმა და ქართულ-ჩინურმა კომპანიებმა წარმოადგინეს. დაინტერესებულმა კომპანიებმა დაახლოებით ორი თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ სამშენებლო პროექტები. საბოლოოდ, ერთ-ერთ გამარჯვებულს ბახვი-ჰესის, ხოლო მეორეს ფარავანი-ჰესის კასკადის მშენებლობის ექსკლუზიური უფლება მიენიჭება.

"სამი კომპანია გამოთქვამს სურვილს, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფარავანი-ჰესის კასკადი ააშენოს, რომლის სიმძლავრე, სავარაუდოდ, 170 მეგავატი იქნება. ორი კომპანია კი გურიაში 16-მეგავატიანი მცირე ჰესის "ბახვის" მშენებლობის სურვილს გამოხატავს," - განაცხადა არჩილ მამათელაშვილმა.

### ამ დროს ენგურჰესის სადერივაციო გვირაბში

კვირას მომხდარი ავარიის მიუხედავად, ობიექტის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები გეგმის მიხედვით დასრულდება, - აცხადებენ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

ავარია სადერივაციო გვირაბში ბეტონის ბურღვისას მილის გახეთქვამ გამოიწვია. ამ დროს გვირაბში 8 მუშა იმყოფებოდა. ძლიერი წნევის შედეგად რამდენიმე მათგანი დაშავდა. მუშების ევაკუაცია დროულად მოხერხდა. ერთ-ერთი მათგანი საავადმყოფოშია გადაყვანილი, თუმცა მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარის მიუხედავად, სარეაბილიტაციო სამუშაოები და წყალსაცავის წყლით შევსება გრძელდება. როგორც პრაიმ-ნიუსს ბიზნესს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განუცხადა, ჰესის ექსპლუატაციაში გაშვება 15 ივლისისთვის არის ნავარაუდევი.

### თბილისი ელექტროენერგიის გათიშვას გადაურჩა

გუშინ დედაქალაქის მოსახლეობა ელექტროენერგიის გათიშვას გადაურჩა. როგორც "ინტერპრესნიუსს" "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განუცხადეს, კომპანია "თელასმა" დავალიანების ნაწილი გადაიხადა და გამოთქვა მზადყოფნა, დროულად დაფაროს ვალის დარჩენილი თანხა. ამის შედეგად, კომპანიას დენის მიწოდება აღარ შეეზღუდა.

გუშინ, 17.00 საათიდან, თბილისს ენერგომომარაგება იმ 4-მილიონლარიანი დავალიანების გამო უნდა შეწყვეტოდა, რომელიც "თელასს" "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიმართ აპრილიდან დაუგროვდა. კერძოდ, "თელასი" თითქმის 3 თვის განმავლობაში არ იხდიდა გადაცემა-დისპეტჩერული მომსახურების საფასურს, რაც გარკვეულწილად ართულებდა შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის სისტემის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას.

### გილაურმა "ენერგო პრო"-ს ინტერესის შესახებ დიდი ხნის წინ შეიტყო

"საქართველოს ენერგოობიექტებით ჩეხური კომპანია "ენერგო პრო"-ს ინტერესების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრისათვის დაახლოებით ერთი წლის წინ გახდა ცნობილი," - განაცხადა გილაურმა პრაიმ-ნიუს ბიზნესთან საუბარში. მისი თქმით, კომპანიამ საქართველოს ენერგოობიექტები წინასწარ დეტალურად შეისწავლა.

ჩეხური "Export bank"-ის წერილში ენერგეტიკის სამინისტროსადმი ნათქვამია, რომ "ერენგო პრო", ჩეხეთისა და ევროპის მასშტაბებით, არცთუ დიდ კომპანიად ითვლება, რომელიც მთლიანად ჩეხურ კაპიტალზეა დაფუძნებული. გილაურის განცხადებით, წინაა საკმაოდ მძიმე 6 თვე, რა პერიოდშიც დეტალურად უნდა შეთანხმდეს "ერენგო პრო"-სთან ყველა დეტალი და კომპანიის ვალდებულებები ენერგოობიექტებთან მიმართებაში.

### კავკასია სახიფათო რეგიონი არ არის

ევროკომისიის კომისარი ენერგეტიკულ საკითხებში ანდრის პიბალგსი "ნეზავისამია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში ენერგობაზარზე არსებულ ვითარებას მიმოიხილავს. კერძოდ, ექსპერტმა ენერგორესურსების დივერსიფიკაციასა და ევროსაბჭოსთვის კასპიის რეგიონიდან ცენტრალურ აზიაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების მნიშვნელობასა და ყაზახეთში ვიზიტზე ისაუბრა.

"ყაზახეთის გარდა, აზერბაიჯანშიც ვიყავი. ევროპელთა ინტერესი იმითაა განპირობებული, რომ ეს რეგიონი ძალიან მდიდარია. ცენტრალურ აზიას ბევრი ბუნებრივი აირი აქვს. ჩვენ კი ამ ბუნებრივი აირის მიღება გვსურს," - ამბობს კომისარი და იქვე იმასაც ხსნის, თუ რატომ ეძებს ევროკავშირი რუსეთის გვერდის ავლით გაზის ტრანსპორტირების საშუალებას:

"საქმე ის არის, რომ რუსეთს არ ვენდობით და "გაზპრომის" კონკურენტუნარიანობის შესუსტება გვსურს. ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, გაზს სხვადასხვა წერტილიდან იღებდე. თუკი გაზის რომელიმე მომწოდებელს პრობლემები შეექმნება, ალტერნატიული საშუალება უნდა გვქონდეს. "გაზპრომი", რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ სხვა პოტენციური მომწოდებლებიც ხომ არსებობენ?!"

რაც შეეხება ევროკავშირის მიერ სამხრეთ კავკასიიდან მიღებულ ბუნებრივ აირს: "ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს ბევრად მეტი ფული, საშუალება და ბერკეტი გაგვაჩნია იმისათვის, რომ ამ ქვეყნებს მივუთითოთ, როგორი გზით წაიყვანონ საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა," - ამბობს ექსპერტი და აზუსტებს, რომ ზემოქმედების ბერკეტებში იგი მარტო ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებულ ეკონომიკურ პროგრამებს არ გულისხმობს. "ამ რეგიონებიდან რისკს ვერ ვხედავ. ვიმეორებ, რომ მე იქ ვიყავი, საკუთარი თვალით ვნახე ყველაფერი და შემაშფოთებელი ვერაფერი ვნახე," - განაცხადა ევროსაბჭოს კომისარმა.

26 ივნისი 2006

ბაზარ & თაგგარტ სიქიურითის GALT & TAGGART SECURITIES

## საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 475,326 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 41,364,282 |

| | 23-ივნ-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.775 | ▲ | 0.20% | 0.98% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 574.4 | ▼ | -0.19% | 62.72% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 516.2 | ▼ | -0.39% | 61.13% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი




გაცვლითი კურსი GEL/US




| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 10,150 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 215,662 |

| მომავალ კვირას | |
|---|---|
| სსბ-ს სესია No. 51 | 27 ივნისი |
| სსბ-ს სესია No. 52 | 29 ივნისი |

საფონდო ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 0.39%-ით შემცირდა 516.2-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 475.3 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები რვა სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო სამი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი შემცირდა 0.05%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, დაიკლო 4.86%-ით), და უნივერმაღი თბილისი (UTB, ფლობა, ფასი არ შეცვლილა). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 98.7% მოდიოდა.

გასულ კვირას საქართველოს ბანკის (GEB) აქციის ფასი თითქმის არ შეცვლილა და 12.85 ლარი შეადგინა 432,508 ლარის ოდენობით ვაჭრობის მოცულობის შედეგად. გასულ კვირას ჯამში ბანკის 33,781 აქცია გაიყიდა.

პოლიტიკა/ეკონომიკა

**რუსეთის პრეზიდენტთან 13 ივნისს გამართული მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 5 ივლისს ამერიკის შეერთებულ შტატებს ორ დღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვევა** და პრეზიდენტ ბუშს შეხვდება. ორი ქვეყნის პრეზიდენტები განიხილავენ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას 2005 წლის მაისში ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, სეპარატისტული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობის მცდელობებს, თანამშრომლობას ენერგოუსაფრთხოების სფეროში და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, ასევე ერთობლივ ვალდებულებას იმუშაონ მსოფლიოს მასშტაბით თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა 18 ივნისს განაცხადა, რომ საქართველო გააძლიერებს თავის საერთაშორისო მცდელობებს ივლისის შუა რიცხვებში სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი დიდი რვიანის ლიდერების სამიტის წინ. მისი თქმით საქართველოს საკითხი არის მნიშვნელოვანი საკითხი, ვინაიდან ეს არის საკითხი თავისუფლებისთვის მებრძოლი ერის მიმართ სამართლიანი მოპყრობისა, ძველი საბჭოთა მემკვიდრეობიდან მიღებული კონფლიქტების სამართლიანად მოგვარებისა და სტრატეგიული მნიშვნელობისა ევროპისთვის და მთლიანად მსოფლიოსთვის, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან და რეგიონის ენერგორესურსებთან. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები ცდილობენ საქართველოსა და მოლდოვას საკითხები დიდი რვიანის სამიტის წინ 29 ივნისს მოსკოვში დაგეგმილი საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დღის წესრიგში ჩართონ, თუმცა არ არიან დარწმუნებულნი, რომ შეძლებენ რუსეთის წინააღმდეგობის გადალახვას.

პრივატიზაცია

**ჩეხურმა კომპანია Enero-pro-მ გაიმარჯვა პრივატიზაციის** ტენდერში და იგი აუქციონზე გამოტანილი ცხრა ენერგო ობიექტიდან რვის - 2 რეგიონალური გამანაწილებელი კომპანიისა და 6 ჰიდრო-ელექტრო სადგურის მფლობელი გახდება. ჩეხი ინვესტორი მზად არის მათში გადაიხადოს 312.3 მლნ. აშშ დოლარი. კომპანია Enero-pro ესპანეთში დაარსდა, მაგრამ ძირითადად ჩეხეთში ოპერირებს და ფლობს ობიექტებს ბულგარეთსა და სლოვაკეთში, ხოლო ახლახანს დაიწყო ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა თურქეთში.

Enero-pro-მ შეიძინა გაერთიანებული გამანაწილებელი კომპანია (რომელიც ელექტროენერგიით 700,000 მომხმარებელს ამარაგებს და საქართველოს ტერიტორიის 70%-ს მოიცავს) 85 მლნ აშშ დოლარად და გამანაწილებელი კომპანია აჭარაში 30 მლნ აშშ დოლარად. ჩეხურმა კომპანიამ აგრეთვე შეიძინა 6 ჰიდროელექტრო სადგური 197.3 მლნ დოლარად.

სს კახეთის ენერგო გამანაწილებელი კომპანია (რომელიც ახლახანს გაკოტრებულად გამოცხადდა) ქართულმა TBC Eergia-მ 5.1 მლნ აშშ დოლარად შეისყიდა.

მთლიანობაში ყველა ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 119 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა საქართველოს მთავრობა აღნიშნული ობიექტების პრივატიზაციის შედეგად 317.4 მლნ აშშ დოლარს მიიღებს.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.20%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 10.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ წინა კვირასთან შედარებით 10.8 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. ეროვნული ბანკმა ჯამში 3.8 მლნ. აშშ დოლარი გაყიდა.

26 ივნისი 2006

ბაზარ & თაგგარტ სიქიურითის GALT & TAGGART SECURITIES

## საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 50, 22 ივნისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 26 | 12.75 | 12.88 | 12.85 | 54.0 | 8,779 | 112,842 | 199,616,939 | - |
| UTC | 6 | 0.48 | 0.60 | 0.53 | 46.9 | 12,900 | 6,822 | 42,927,232 | ყიდვა |
| UTB | 33 | 27.00 | 27.00 | 27.00 | 50.0 | 522 | 14,094 | 26,172,909 | ფლობა |
| STSP | 1 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 42 | 210 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 168 | 612 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| TKH | 6 | 0.50 | 0.50 | 0.50 | na | 204 | 102 | 173,367 | რეკ. გარეშე |
| DILA | 7 | 0.18 | 0.18 | 0.18 | 80.0 | 29,572 | 5,323 | 72,819 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 140,005 | | |

სესია No. 49, 20 ივნისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 20 | 12.75 | 12.88 | 12.79 | 53.2 | 25,002 | 319,666 | 197,772,800 | - |
| UTC | 6 | 0.51 | 0.60 | 0.56 | 56.1 | 12,550 | 7,047 | 45,605,112 | ყიდვა |
| UTB | 20 | 27.00 | 27.00 | 27.00 | 50.0 | 300 | 8,100 | 26,172,909 | ფლობა |
| TABR | 2 | 0.40 | 0.41 | 0.41 | na | 1,253 | 508 | 787,861 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 335,321 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

19 ივნისი, 2006 – 23 ივნისი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 0.67 | 0.64 | 0.73 | 0.71 | 6.0 | 1,484,600 | 140.4 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 1.94 | 1.86 | 2.26 | 2.20 | 13.4 | 5,990,641 | 305.6 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.37 | 1.25 | 1.37 | 1.36 | -0.7 | 762,700 | 127.8 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.2 |
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 12.85 | -0.05 | 53.94 | 22-ივნ-06 | 432,508 | 199,616,939 | 22.0 | 59.7 |
| გაერთიანებული ქართული ბანკი | UGB | ფლობა | 2.44 | 0.00 | 110.34 | 15-ივნ-06 | 0 | 51,240,000 | 10.0 | 7.0 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ფლობა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 30-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.2 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 30-მაი-06 | 22,192 | 26,172,909 | 35.5 | 12.6 |
| გაერთიანებული სატელეკომუნიკაც. კომ | UTC | ყიდვა | 0.53 | -4.86 | 46.94 | 22-ივნ-06 | 13,869 | 54,612,206 | 9.4 | 6.9 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 7.51 | 0.00 | 200.40 | 22-ივნ-06 | 0 | 21,028,000 | 42.7 | 12.2 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 468,571 | 501,296,971 | | 100 |

საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები

19 ივნისი, 2006 – 23 ივნისი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | დაფარვის თარიღი | შაპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | გაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებულებებთან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/ S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 102 | 102 | 102 | - | 11.00 | -10 | 577 | 1.05 | B-/B3 |
| პროკრედიტბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.15 | - | 15.10 | -6 | 988 | 0.37 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

| სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის | ანალიტიკოსი |
|---|---|
| საქართველო, 0162, თბილისი | თამუნა ბიჭინაშვილი |
| ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა, | ტელ:+ 995 32 235 800 |
| ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804 | ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge |

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია სს "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" მიერ. "გალტ ენდ თაგგარტი" წარმოადგენს მომსახურების სრული სპექტრის მქონე საბროკერო კომპანიას, რომელიც დაკავშირებულია სს "საქართველოს ბანკთან" ("საქართველოს ბანკი" არის "გალტ ენდ თაგგარტის" უმსხვილესი აქციონერი და მნიშვნელოვანი კლიენტი). [illegible] ეს დოკუმენტი არ არის და არ უნდა იყოს გაგებული როგორც რომელიმე ფასიანი ქაღალდის გაყიდვის ან ყიდვის შეთავაზება. [illegible] "გალტ & თაგგარტი" არ ღებულობს პასუხისმგებლობას არანაირი, პირდაპირ თუ მოსალოდნელი, იმ დანაკარგებისათვის, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგად ან მისი შინაარსიდან გამომდინარე. ეს დოკუმენტი არ შეიძლება იყოს გამრავლებული, გავრცელებული ან გამოქვეყნებული რაიმე მიზნისათვის მესამე პირის მიერ. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიღებულ იქნეს "გალტ & თაგგარტის" ზემოთმოცემულ მისამართზე.

## თელავივში ალმასის გაიაფების საკითხებს განიხილავენ

მსოფლიოს წამყვანი ბრილიანტით მოვაჭრეები თელავივში გადაუმუშავებელი ალმასის გაიაფების შესახებ მსჯელობენ. ამის გარდა ისინი ყურადღებას "ძვირადღირებულ" ბიზნესთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებსაც დაუთმობენ. საერთაშორისო კონგრესზე, ალმასის ბირჟების წარმომადგენლებთან და ბრილიანტის მწარმოებლებთან ერთად, ალმასის მომპოვებელი ქვეყნების წარმომადგენლებიც აქტიურად არიან წარმოდგენილნი.

ისრაელის გაზეთ "მაარივის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრილიანტით მოვაჭრეები კომპანია De Beers-ისგან საქონელზე ღირებულების გაიაფებას მოითხოვენ. აღნიშნული კომპანია ალმასის მსოფლიო ბაზარს აკონტროლებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ღონისძიება გარკვეულ კომპანიებს იმ კრიზის დაძლევაში დაეხმარება, რომელიც მზა ბრილიანტების გაყიდვების შემცირებისგან არის გამოწვეული.

## ევროპელ ფარმაცევტებს არაკეთილსინდისიერ რეკლამაში ადანაშაულებენ

ევროპული ფარმაცევტული კომპანიები მეცნიერული კვლევების ნაცვლად თანხების დიდ ნაწილს მარკეტინგულ საქმიანობაში აბანდებენ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სამომხმარებლო უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები.

გასულ 2005 წელს ევროპულმა კომპანიებმა სამედიცინო პრეპარატების რეკლამირებაში 60 მილარდ დოლარზე მეტი დახარჯეს. ამის შესახებ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია Consumers International ავრცელებს. საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ განიკარგება სახსრები და ამასთან ერთად, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ მედიკამენტის პოპულარიზაცია - აცხადებენ მომხმარებლის უფლებათა დამცველები.

საერთაშორისო ბაზრების უმეტესობაზე, ამერიკის გამოკლებით, სამედიცინო პრეპარატების რეცეპტის მიხედვით გავრცელებული რეკლამები აკრძალულია.

დაახლოებით 20 ფარმაცევტული კომპანიის ტაქტიკის გამოკვლევის შედეგად Consumers International მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომპანიები თავიანთი პროდუქციის გასაღების გამო შემოვლით გზებს იყენებენ. ხშირ შემთხვევაში ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებლები თავს ახვევენ პოტენციურ მყიდველებს ამა თუ იმ პრეპარატებს, ექიმების მოსყიდვის გზით.

მაგალითად, ბრიტანული "Guardian"-ის ინფორმაციით, ფირმა AstraZeneca-მ თითქოსდა მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს სპეციალური ბრიფინგიც კი მოუწყო, რის სანაცვლოდაც ღონისძიებაში მონაწილე ექიმები ავიაბილეთებითა და სასტუმროს ფეშენებელური ნომრებით დაასაჩუქრეს.

## Jonson & Jonson-ს Pfizer-ის განყოფილებას ყიდულობს



ამერიკულ ბიოტექნოლოგიურ კომპანიას Jonson & Jonson ფარმაცევტული კომპანია Pfizer-ის სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი განყოფილების შეძენა სურს. სავარაუდოდ, გარიგების ღირებულება 16 მილიარდი დოლარი, ანუ, 2 მილიარდით მეტი იქნება, ვიდრე კიდევ ერთი პოტენციური მყიდველის GlaxoSmithKline-ს წინადადება.

აღსანიშნავია, რომ Jonson & Jonson-მა, რომელიც 100 წელზე მეტია სამედიცინო, პირადი ჰიგიენისა და კოსმეტიკურ პროდუქციას აწარმოებს, მიმდინარე წლის იანვარში ერთი მსხვილი შენაძენი უკვე გააკეთა. მაშინ ამერიკულმა გიგანტმა კარდიოსტიმულატორების მწარმოებელი კომპანია Guidant Corp 23,2 მილიარდ დოლარად შეიძინა.

# ისრაელი ბაქოს ნავთობ-გაზით დაინტერესდა



ისრაელი დაინტერესებულია იმით, რომ თავის ტერიტორიაზე გაატაროს აზერბაიჯანული ნავთობი, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით თურქეთში გადაიტვირთება. გარდა ამისა, ეროვნული ინფრასტრუქტურის მინისტრის ბენიამინ ბენ-ელიეზერის თქმით, კარგი იქნება, თუ თურქეთი დათანხმდება ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის ჯეიჰანამდე გაგრძელებას, საიდანაც ისრაელს გაზის მიღების პერსპექტივა ექნება.

"ჩვენ და აზერბაიჯანელები თანაბრად ვართ დაინტერესებულნი იმით, რომ აზერბაიჯანულმა ნავთობმა ჯეიჰანიდან, აშკელონის გავლით, ელოტამდე ჩამოაღწიოს. აშკელონიდან კი, წითელი ზღვის გავლით, ჩვენ საშუალება გვექნება, მათი ნავთობი მივაწოდოთ ისეთ დიდ ბაზრებს, როგორებიცაა ინდოეთი და ჩინეთი. აშკელონი-ელოტის მილსადენი სრულ წესრიგშია და მისი გავლით ნავთობი ხმელთაშუა ზღვიდან წითელ ზღვაში ყველაზე მოკლე და იაფი გზით მოხვდება, იქიდან კი მსოფლიოს ორი უდიდესი ბაზრისკენ გზა ხსნილი ექნება," - ამბობს ბენ-ელიეზერი.

ისრაელი წლიურად 12 მილიონ ტონა ნავთობს მოიხმარს. აქედან კი დაახლოებით 2 მილიონ ტონას აზერბაიჯანიდან ღებულობს. ბენ-ელიეზერის თქმით, ისრაელს სურს, რომ ამ ქვეყნიდან ნავთობის შეძენა 6 მილიონ ტონამდე გაზარდოს.

ცნობისათვის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სიგრძე 1.768 კილომეტრია და მისი მშენებლობა 4 მილიარდი დოლარი დაჯდა. ის გათვლილია წლიურად 50 მილიონი ტონა ნავთობის გატარებაზე. ისრაელმა სურვილი გამოთქვა, რომ ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენიც ჯეიჰანამდე გაგრძელდეს.

"ჩვენი მთავრობა ეცდება, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობა ამ გაზსადენის ჯეიჰანამდე მიყვანით დააინტერესოს. იქიდან კი ჩვენ იმდენი გაზის შეძენას შევძლებთ, რამდენსაც აზერბაიჯანი შემოგვთავაზებს. ეს საკითხი უკვე წამოვჭერი თურქეთის პრემიერ-მინისტრთან და ჩვენ ამ თემაზე მოლაპარაკებას მომავალშიც გავაგრძელებთ," - დასძენს ბენ-ელიეზერი.

აზერბაიჯანის შაჰდენიზის საბადოზე მოპოვებული გაზის მიღებას თურქეთი წელს დაიწყებს. თავიდან, მიწოდების მოცულობა მხოლოდ 400-500 მილიონი კუბური მეტრი იქნება, შემდეგ კი მიწოდება საგრძნობლად გაიზრდება და 16 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს.

# არაბებმა თურქმენულ გაზს დაადგეს თვალი

არაბეთის გაერთიანებული საემიროების პრინცი რას ალ ჰაიმ საუდ ბენ საყრ ალ ყასიმი აშხაბადს სთავაზობს, ერთობლივად დაამუშაონ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გაზის საბადო იაშლარი, რომლის დაზვერილი მარაგი 0,76 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

ისევე, როგორც დოვლეთაბადის გაზის საბადო, იაშლარიც მდინარე მურღაბის აუზში მდებარეობს. სწორედ ეს ორ საბადოა გამოცხადებული ახალი გაზსადენის წყაროდ, რომელიც ავღანეთის გავლით, თურქმენულ გაზს პაკისტანსა და ინდოეთს მიაწვდის.

"თუ პატივცემული პრეზიდენტი თანხმობას განაცხადებს, ჩვენ მზად ვართ, ადგილობრივ მწარმოებლებთან ერთად ავითვისოთ ეს საბადოები," - განაცხადა თურქმენეთის პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვთან შეხვედრისას პრინცმა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა პასუხს შეაგებებს ნიაზოვი არაბთა შეთავაზებას. სამაგიეროდ, ინდოეთმა უკვე მოიწონა პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია ინდოეთსა და თურქმენეთს შორის 1.400-კილომეტრიანი გაზსადენის მშენებლობა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დაჯდება ეს გრანდიოზული პროექტი. სამაგიეროდ, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ამ გაზსადენით მიმღები ქვეყნები წლიურად 30 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მიიღებენ.

სხვათა შორის, იაშლარის საბადო ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში იყო დაზვერლი და მაშინ მისი დამუშავების უფლება არგენტინულ კომპანია "ბრიდასს" მიენიჭა. მაგრამ 1995 წელს თურქმენეთმა ამ კომპანიასთან ცალმხრივად შეწყვიტა კონტრაქტი, რის მიზეზადაც დაასახელა, რომ ამ კონტრაქტით ქვეყანას არანაირი სარგებელი არ ექნებოდა.

თურქმენეთი შუა აზიის ქვეყნებს შორის გაზის ყველაზე დიდი მომპოვებელია. ის დამოუკიდებლად ახერხებს ხმელეთზე მდებარე საბადოების დამუშავებას. სამაგიეროდ, კასპიის ზღვის შელფზე არსებული საბადოების ასათვისებლად საჭირო ტექნოლოგიებს ვერ ფლობს და ამის გამო, სათანამშრომლოდ უცხოურ კომპანიებს იწვევს.

ემირატების პრინცის გარდა, თურქმენული გაზის ერთობლივი ათვისებით ასევე დაინტერესებულია არაბული ნავთობკომპანია "დრაგონ ოილი", რომელიც კასპიის თურქმენეთის შელფზე გაზის მომპოვებელ საქმიანობას 2000 წლიდან აწარმოებს.

თურქმენეთი ემირატების პრინცთან თანამშრომლობის დაწყებით დაინტერესებულია, და სანამ იაშლართან დაკავშირებით ნიაზოვი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, მანამ პრინცს კასპიის შელფზე სხვა საბადოების ერთობლივ დამუშავებას და ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ სეიდში არსებული, უკვე მოძველებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მოდრნიზებაში მონაწილეობას სთავაზობს.

თურქმენეთი თავისი გაზის დასავლეთში სასურველი რაოდენობით ესქპორტირებას ვერ ახერხებს, რადგან რუსული სახელმწიფო კომპანია "გაზპრომის" მილსადენებითაა შეზღუდული. ქვეყანა ინტენსიურად ეძებს გზებს, რათა თავისი გაზი და ნავთობი რუსეთის გავლის გარეშე გაიტანოს ევროპაში და უფრო ძვირადაც გაჰყიდოს, ვიდრე ამას "გაზპრომის" შუამავლობით ახერხებს.

გარდა ამისა, ქვეყანა აღმოსავლეთისკენაც იყურება - მან უკვე მიაღწია შეთანხმებას ჩინეთთან, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყანას ბუნებრივი გაზით 30 წლის განმავლობაში უწყვეტად მოამარაგებს.

# "როლს როისი" ინდოეთშიც გაიყიდება

უზომოდ მდიდარ ადამიანთა ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი, მაჰარაჯების და შეიხების თანამედროვე "ბედაური", სახელად "როლს როისი", ინდოეთსაც ეწვია. ქვეყანა დიდი ტემპით ვითარდება, იქ სულ უფრო იზრდება მდიდარ ადამიანთა რიცხვი, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისური მარკის მენეჯერთა ყურადღებაც მიიქცია.

ქალაქ მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) უკვე დაიწყო მუშაობა "როლს როისის" დილერმა, რომელიც იმედოვნებს, რომ ყოველწლიურად 10-12 ცალი "ფანტომის" გაყიდვას შეძლებს. თუ პროგნოზი გამართლდა, ინგლისური კომპანიისთვის ინდოეთი იმავე მოცულობის ბაზრად გადაიქცევა, როგორიც არის ავსტრალია და სინგაპური.

სხვათა შორის, "როლს როისი" ინდოეთის მეზობელ ჩინეთში, რომელიც ასევე ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, ყოველწლიურად 45-55 ცალ "ფანტომს" ჰყიდის, რასაც სამი დილერის ძალისხმევა სჭირდება.

"ინდოეთის ბაზარს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ბაზრებს, ჩვენ პრაგმატულად მოვეკიდებით. ეს ქვეყანა ყოველთვის მოქცეული იყო ჩვენი ხედვის არეში. ის აზიაში ჩვენი ერთ-ერთი ბოლო გაჩერებაა. უკვე 51 წელია, რაც ამ ბაზარს ჩვენი მარკა აკლია. ახლა კი ჩვენ იქ, ფაქტობრივად, პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და ვიმედოვნებთ, რომ აქედან აღარასოდეს წავალთ," - სადილერო პუნქტის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა "როლს როისის" აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონული სამსახურის დირექტორმა კოლინ კელიმ.

"როლს როისის" სადილერო პუნქტი მუმბაის ძვირფასეულობის სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნა. კელის თქმით, პირველ ხანებში, "როლს როისის" ავტომობილების მყიდველთა შორის უმეტესობა ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები იქნებიან (ეგრეთწოდებული ძველი ფულის მფლობელნი). მომავალში კი კლიენტთა არეალი საგრძნობლად გაფართოვდება და ელიტარულ მყიდველთა სიაში ბიზნესის სხვა სფეროს რჩეულებიც "ჩაეწერებიან".

"ჩვენი საშუალო კლიენტის უძრავ-მოძრავი ქონება დაახლოებით 20 მილიონი დოლარია. ეს ადამიანები აფასებენ საავტომობილო ხელოვნებას. მათ უყვართ და ესმით ტექნიკა, აფასებენ მოხდენილ დიზაინს და სიამოვნებას ღებულობენ შესანიშნავი ავტომობილების მართვით. ნებისმიერს, ვინც "როლს როისს" შეიძენს, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მან ფული დანიშნულებისამებრ გამოიყენა," - ამბობს კელი.

საინტერესოა, რომ უხარისხო გზების, მოუწესრიგებელი მოძრაობისა და ადეკვატური გაბარიტების პარკინგის ნაკლებობის გამო, მუმბაიში, ისევე როგორც მთელ ინდოეთში, ნაკლებად იყიდება პრემიუმ და ლუქსის კლასის ავტომობილები, რომლებზეც ქვეყნის ავტობაზარზე წლიურად გაყიდული ავტომობილების დაახლოებით 3 პროცენტი მოდის. თუმცა, მალე მოსალოდნელია სწრაფად განვითარებადი ქვეყნის ავტობაზრის მოცულობის გაორმაგება, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება როგორც გზების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე მოძრაობის დარეგულირება. რასაკვირველია, ამის შედეგად გაიზრდება მაღალი კლასის ავტომობილების გაყიდვები.



"როლს როისის" აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონული სამსახურის დირექტორი კოლინ კელი

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა რამდენიმე მეტად საინტერესო კორპორაციულმა ინფორმაციამ, რომელთა შორის აღსანიშნავია MIttal Steel-ს და Arcelor-ს შორის მიღწეული შეთანხმება, კომპანია Phelps Dodge-ს მიერ ორი კანადური კონკურენტის შთანთქმა და Jonson & Jonson-ის მიერ Pfizer-ის განყოფილების შეძენა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,14 პროცენტით, 11.004,62 პუნქტამდე გაიზარდა. 0,41 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.130.04 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,11 პროცენტით, 1.245,85 პუნქტამდე მოიმატა.










## Mittal Steel-მა თავისი გაიტანა

ევროპული მეტალურგიული კომპანია Arcelor-ის დირექტორთა საბჭომ აღნიშნული სფეროს ლიდერის Mittal Steel-ის ახალი წინადადება, რომელშიც თანხა წინანდელთან შედარებით 10 პროცენტით მეტია და 26 მილიარდ ევროს შეადგენს, მიიღო და მასთან შერწყმა გადაწყვიტა. ასე რომ, Arcelor-ს რუსული "სევერსტალისათვის" (რომელსაც, როგორც ითქვა, "პრივილეგირებული" სტატუსი მიენიჭება და Arcelor-Mittal-ის უპირველესი პარტნიორი იქნება) კონტრაქტის დარღვევის გამო 130 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს.

ახალი კომპანიის აქციების 50,5 პროცენტი Arcelor-ის აქციონერების მფლობელობაში იქნება. Arcelor-Mittal-ის დირექტორთა საბჭოში ოთხი ადგილი ევროპულ მხარეს დარჩება, სამი კი Mittal Steel-ს. დირექტორთა საბჭოს თამჯდომარე კი Arcelor-ის ამჟამინდელი თავკაცი ჯოზეფ კინში იქნება.

Arcelor-ს და Mittal Steel-ს შორის მოლაპარაკებებისას მიღწეული შეთანხმება ოფიციალურად Arcelor-ის აქციონერთა კრებაზე დადასტურდება, რომელიც 30 ივნისს გაიმართება.

"სევერსტალი" კი უკან არ იხევს და 30 ივნისამდე Arcelor-ისათვის ახალი წინადადებით მიმართავას აპირებს. რუსული მეტალურგიული კონცერნის თავკაცს ალექსეი მორდაშოვს დამატებით დაფინანსებაში დახმარებას ჩუკოტკის გუბერნატორი, რუსეთის უმდიდრესი ადამიანი, კიდევ ერთი რუსული მეტალურგიული კომპანიის "ევრაზის" მსხვილი აქციონერი რომან აბრამოვიჩი დაჰპირდა. მხოლოდ, აბრამოვიჩის მიერ წამოყენებული პირობის მიხედვით, თუ Arcelor-თან გარიგება მაინც არ შედგება, იგი "სევერსტალის" კაპიტალში წილს შეიძენს.

## Hyundai სახელს იბრუნებს



ცოტა ხნის წინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ორგანიზაცია დაარსდა, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ავტომობილების რეიტინგი შეადგინა.

ორგანიზაციამ რეიტინგი იმ ავტომობილების მფლობელების გამოკითხვის შედეგად შეადგინა, რომლებსაც ახლად შეძენილი მანქანების გამო, პრეტენზიებით სადაზღვევო კომპანიებისთვის არაერთხელ მიუმართავთ.

ამის შედეგად დადგინდა, რომ ამა თუ იმ კატეგორიაში ყველაზე "იდეალურ" ავტომობილებად ისევ და ისევ იაპონური ავტომობილები ითვლება. რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, "ყველაზე იდეალურ ავტომობილად" Hyindai დასახელდა. ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ კომპანიის მიერ გამოშვებული ავტომობილები ყველაზე ხშირად ანიჭებენ სიამოვნებას თავიანთ მფლობელებს.

## ჩინეთის ნავთობგიგანტის ექს-პრეზიდენტს მკაცრი განაჩენი ელის

ჩინური ნავთობგიგანტ Sinopec-ის ექს-პრეზიდენტ ლი ჟუნსინს გამოძიებამ ბრალი კორუფციის მუხლით წაუყენა. გამოძიების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელი ფინანსურ მაქინაციებსა და ქრთამის აღებ-მიცემობაში აქტიურად მონაწილეობდა. თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად კი მან 4,6 მილონი დოლარი უკანონოდ მიითვისა.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ 1994 წლიდან 2003 წლის ჩათვლით, ლი ჟუნსინმა უკანონო ოპერაციების განხორციელების შედეგად სხვადასხვა კომპანიების ანგარიშებიდან საკმაოდ მსხვილი თანხები მოხსნა და მიითვისა.

სამართალდამცავებმა ისიც დაადგინეს, რომ კომპანიის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ჟუნსინი ნახევარმილიონიანი საჩუქრებსაც სიამოვნებით იღებდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით ლი ჟუნსინს პოლიტიკური უფლებამოსილებაც ჩამოერთვა. ჩინეთში დამკვიდრებული იურიდიული კანონებიდან გამომდინარე Sinopec-ის ყოფილი შეფი დარჩენილ სიცოცხლეს ციხის კედლებში გაატარებს.







# საბაჟო კოდექსის განხილვაში ნინო ბურჯანაძეც ჩაერთო

პირველი გვერდიდან

ბიზნესის მარტივი წესებით რეგულირება, პრაქტიკულად, მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანამ უზრუნველყო. მაგრამ მოკლე დროში აღმოჩნდა, რომ საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად მიღებულ კანონებში აუცილებელია ცვლილებები, რათა თავის დროზე, დეპუტატების მიერ კენჭისყრის დროს მიღებული მცდარი გადაწყვეტილებები გამოსწორდეს. ასეთი ტენდენცია, შეიძლება ითქვას, პარლამენტში დღესაც გრძელდება, რასაც უმრავლესობის წევრებიც აღიარებენ.

გუშინ პარლამენტის ბიუროს მორიგ სხდომაზე, როცა რიგგარეშე სხდომების იმ საკითხთა ნუსხა იხილებოდა, რომელთა კენჭისყრაც მეორე ან მესამე მოსმენით უნდა ჩატარდეს, კამათი საბაჟო კოდექსის კანონპროექტმა გამოიწვია. დეპუტატები ფიქრობენ, რომ მთავრობამ მათი 20-მდე პრინციპული ხასიათის შენიშვნა არ გაითვალისწინა. ამის გამო რა შეიძლება მოხდეს?

პარლამენტის ვიცე-სპიკერ ჯემალ ინაიშვილის პროგნოზით, "როცა ხელისუფლება ბიზნესის ლიბერალიზაციის გზას ადგას და ამ კურსის შეცვლას არ აპირებს, მოხდება ისე, რომ კოდექსის ამჟამად არსებული ვარიანტის დამტკიცების შემთხვევაში, მას სამომავლოდ უამრავი შესწორება დასჭირდება." ასეთ პირობებში პარლამენტის სპიკერმა ნინი ბურჯანაძემ მთავრობისგან კანონპროექტის 2-3 დღიანი სამუშაო განხილვა მოითხოვა და, მისი თქმით, ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრას თავადაც დაესწრება.

რის შეცვლას მოითხოვს პარლამენტი მთავრობისგან? არსებული 20 შენიშვნიდან მთავარი შეუთანხმებლობა რამდენიმე საკითხშია. მთავრობის მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტში წერია, რომ საქართველოში დადგენილი უნდა იყოს ბუნებრივი დანაკარგების ნორმები, მაგრამ დღემდე ქვეყანაში ასეთი ნორმები არ არსებობს. დეპუტატები მოითხოვენ, კოდექსის გარდამავალ დებულებაში ჩაიწეროს დავალება მთავრობისადმი. მან გარკვეულ დროში ასეთი ნორმები უნდა შეიმუშაოს. სხვათა შორის, ამ ნორმების შემუშავებას ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსიც. დეპუტატების აზრით, მნიშვნელოვანი საკითხია დეკლარაციის წარდგენა. ვთქვათ, იმპორტიორმა დეკლარაციაში ყველაფერი სწორად მიუთითა, მაგრამ მას მებაჟე სთხოვს, გარკვეული ეჭვის საფუძველზე ტრანსპორტიდან საქონელი დათვალიერების მიზნით ჩამოცალოს, შემოწმების შედეგად კი იმპორტიორი მართალი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაშიც კი, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტით, ტრანსპორტიდან საქონლის ჩამოტვირთვისა და ხელმეორედ დატვირთვის ხარჯებს მეწარმე ფარავს და არა საბაჟო სამსახური. ეს ნორმა პარლამენტის წევრებს მიუღებლად მიაჩნიათ. მათი აზრით, პირიქით უნდა მოხდეს. მით უმეტეს, როცა არსებობს საბაჟო მოსაკრებელი და აქედან ბიუჯეტში შესული თანხები საბაჟო მომსახურებას ხმარდება. დანარჩენ შემთხვევაში პარლამენტში მთავრობას ეთანხმებიან იმაში, რომ იმპორტიორს, დეკლარაციაში მითითებული საქონლის ნაცვლად, ქვეყანაში სხვა დასახელების საქონელი შემოაქვს, მაშინ ის უნდა დაისაჯოს და აღნიშნული ხარჯები თვითონვე გადაიხადოს.

გუშინ მთავრობა პარლამენტისგან "საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღებას მოითხოვდა. მაგრამ მოულოდნელად, ნინო ბურჯანაძემ უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ ამ კანონის გაუქმებით მთავრობას სურს, "თავი დაიძვრინოს" პარლამენტის წინაშე. მისი აზრით, ამ ცვლილები შემდეგ, მთავრობა თავისი საქმიანობით პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული აღარ იქნება.

პარლამენტის დამოკიდებულების მიუხედავად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება პროგრესული ნაბიჯია მთავრობის მხრიდან ბიუჯეტის ხარჯვასთან მიმართებაში. კანონპროექტის ავტორთა მიზანია, ბიუჯეტს მიეცეს პროგრამული ხასიათი და იგი შედეგებზე ორიენტირებული გახდეს, ანუ ბიუჯეტი მხოლოდ შემოსავლების, ხარჯების და დაფინანსების წყაროების ბალანსი არ უნდა იყოს.

**-კოდექსის 71 მუხლი საკმაოდ ამძიმებს დეკლარანტის მდგომარეობას. გამოდის რომ ყველა ადამიანმა საბაჟო კოდექსი კარგად უნდა იცოდეს.**

-კოდექსის 71-ე მუხლით, თუ აღმოჩნდ რომ დეკლარაციაში დეკლარანტმა არასწორად მიუთითა რაღაც მონაცემები და ამან გამოიწვია გადასახადის შემცირება, მაშინ მას გარკვეული პასუხისმგებლობა დაეკისრება. ჩვენ მიგვაჩნია, ყოველთვის ასე არ უნდა მოხდეს. დოკუმენტის შევსებისას შესაძლებელია დეკლარანტს უნიებლიე შეცდომა მოუვიდეს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც ხშირად არ ახდენენ საქონლის იმპორტირებას. ასეთ მდგომარეობაში შიძლება ფიზიკურ პირიც აღმოჩნდეს, რომელიც ვადებულია დეკლარაცია შეავსოს და ამ დროს მან კანონმდებლობის მოთხოვნის შესახებ არაფერი იცის. ასეთ დროს დეკრანატს უფლება უნდა ჰქონდეს დაიბრუნოს საბაჟო დეპარტამენტში წარდგენილი დეკლარაცია, რათა მასში შეტანოს შესაბამისი ცვილებები. ყველა დეკლარანტში დამნაშავე არ უნდა ვეძებოთ. ჩვენი წინადადებაა აღნიშნული გარემოება კოდექსში გათვალისწინებული იყოს.

**-ექვმიტანილი იმპორტიორი ვალდებულია ტვირთი ჩამოტვირთოს, რაც გარკვეული საფასური ჯდება და თუ ის მართალი აღმოჩნდა ხარჯებს ვინ იხდის?**

-ეს არის საკითხი, რომელზეც კომიტეტშიც კი ჯერჯერობით შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. იმპორტიორმა დეკლარაციაში სწორად მიუთითა ყველაფერი, მაგრამ მას მებაჟე სთხოვს გარკვეული ეჭვის საფუძველზე ტრანსპორტიდან საქონელი დაათვალიერების მიზნით ჩამოცალოს. თუ შემოწმების შედეგად იმპორტიორი მართალი აღმოჩნდა, ამ შემთხვევაშიც კი მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტით, ტრანსპორტიდან საქონლის ჩამოტვირთვისა და ხელმეორედ დატვირთვის ხარჯებს მეწარმე ფარავს და არა საბაჟო სამსახური. ეს ნორმა მიუღებლად მიგვაჩნია და ჩვენი წინადადებით, პირიქით უნდა მოხდეს. მითუმეტეს, როცა ჩვენ გვაქვს საბაჟო მოსაკრებელი და აქედან ბიუჯეტში შესული თანხები საბაჟო მომსახურებას ხმარდება. დანარჩენ შემთხვევაში ვეთანხმებით მთვარობას, რომ თუ იმპორტიორს დეკლარციაში მითითებული საქონლის ნაცვლად, ქვეყანაში სხვა დასახელების საქონელი შემოაქვს, მაშინ ის უნდა დაისაჯოს და აღნიშნული ხარჯები თვითონვე უნდა გადაიხადოს.

# საერთაშორისო კონგრესზე ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებასაც განიხილავენ

საქართველო ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებას ცდილობს. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, დღეს ესპანეთში ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველწლიურმა კონგრესმა მუშაობა დაიწყო. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს ღვინისა და ვაზის დეპარტამენტ "სამტრესტის" თავმჯდომარე ვასილ მანაგაძე. სამინისტროს ინფორმაციით, ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების და სამომავლო პერსპექტივის საკითხებს განიხილავს. **ინტერპრესნიუსი**

# რუს დამსვენებლებს აფხაზეთის კურორტებზე სიიაფე იზიდავს

ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტის, ბონდო ზარნაძის თქმით, აფხაზეთის უკონტროლო ტურისტული ზონა დიდ დარტყმას აყენებს საქართველოს ეკონომიკას და ეს პრობლემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ვერ მოგვარდება.

ექსპერტის თქმით, რუს დამსვენებლებს აფხაზეთის კურორტებზე სიიაფე იზიდავთ. ამის გამო, საჭიროა, სახელმწიფომ აჭარის საკურორტო ზონაში ფასები დაარეგულიროს, რაც საკმაოდ ძნელია, რადგან იქ, ძირითადად, კერძო სექტორია წარმოდგენილი. "წარმოიდგინეთ, რა სიძვირე იქნება, როდესაც ყაზახები აჭარაში ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს ააშენებენ," - აცხადებს ექსპერტი.

მისივე შეფასებით, "ქართული კურორტების სიძვირეს კომპლექსური საკითხები განაპირობებს, მათ შორის უმთავრესი - ენერგომატარებლების სწრაფი ტემპებით გაძვირებაა." **მედიანიუსი**

# რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის დეფიციტია

რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის დეფიციტი სულ უფრო შესამჩნევი ხდება. იაფფასიანი ალკოჰოლური პროდუქცია მაღაზიებში, ფაქტობრივად, არ დარჩა. პირველი ივლისიდან კი რუსეთში იკრძალება ძველი სააქციზო მარკებით ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია. კანონის მიხედვით, ალკოჰოლური პროდუქციის სარეალიზაციო პუნქტებმა ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიარონ. კალინინგრადის სუპერმარკეტების მფლობელებმა საპირველივლისო პიარ-აქცია წამოიწყეს. ვიტრინებზე ასეთი შინაარსის სააგიტაციო წითელი ფურცლებია გამოკრული: "თუკი თქვენ გიყვართ ღვინო, ვისკი და კონიაკი, რეკომენდაციას გაძლევთ, შეიძინოთ იგი პირველ ივლისამდე." როგორც მარკეტების მფლობელები აღნიშნავენ, მომხმარებლები მოდიან არა ჩვეულებრივი პროდუქტებისთვის, არამედ მხოლოდ იმპორტული ალკოჰოლური სასმელისათვის. გასულ შაბათ-კვირას მოსკოვის მთელ რიგ "გზაჯვარედინებზე" მუშაობა, ფაქტობრივად, შეწყვეტილი იყო. "ფარდულებს" ალკოჰოლის არანაირი სახეობა არ ჰქონდათ. ამ ფონის გათვალისწინებით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ალკოჰოლური პროდუქცია რუსეთში საშუალოდ 20-30 პროცენტით გაძვირდება. "პირველი ივლისის მოვლენები", ზოგადად, მხოლოდ სააქციზო მარკების შემოტანის ნოვაციით არ ამოიწურება. ამ დროიდან ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებლები და საბითუმო მოვაჭრეები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ერთიანი სახელმწიფო ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის დამონტაჟება. პროდუქციის შესახებ ყველა ინფორმაცია ფედერალური საგადასახადო სამსახურის ცენტრალურ სისტემას გადაეცემა. თუმცა, სისტემის დამონტაჟება ძალიან ძვირი და რთული პროცესია. აღნიშნულის შესახებ ერთ-ერთი უსხვილესი კომპანიის "კრისტალ-ლეფერტოვოს" გენერალურმა დირექტორმა ვიქტორ ალექსეევმა "იზვესტიასთან" საუბარში განაცხადა. "უახლოეს ერთ კვირაში ალკოჰოლური მრეწველობა ერთ საათში გაჩერდება," - აცხადებს ნიჟნი ნოვგოროდის შამპანური ღვინოების დირექტორის მოადგილე ვლადიმირ ეგოროვი. რუსეთის ეკონომიკის სამინისტრომ უკვე მოამზადა დადგენილების პროექტი, რომელიც შეზღუდვებსა და "ნოვაციებს" წლის ბოლომდე გადაავადებს. მაგრამ ამის მიუხედავად, პირველი ივლისიდან ალკოჰოლურ პროდუქციას, ძველი სააქციზო მარკებით, სავაჭრო ქსელიდან მაინც ამოიღებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიმართვა მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერებისადმი

# დოჰას რაუნდი დასასრულს უახლოვდება

მიმდინარე კვირის ბოლოს მიღებული იქნება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რამდენად წარმატებულად თუ წარუმატებლად დასრულდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მრავალმხრივი მოლაპარაკებები ე.წ. დოჰას რაუნდის ფარგლებში. ჟენევაში (შვეიცარია) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეხვედრაზე ვაჭრობის მინისტრები ვალდებულნი იქნებიან, მიიღონ გადაწყვეტილება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის პროცედურების ლიბერალიზაციის შეთანხმების თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი მიმდინარე კვირის შეხვედრაზე შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრები მოლაპარაკებების 2006 წლის ბოლოსათვის დასრულებას, სავარაუდოდ, ველარ შეძლებენ. მიმდინარე წლის განმავლობაში შეხვედრის მონაწილეებს მოლაპარაკებების ვადების ურთულესი პირობების დაცვა უხდებათ. მონაწილეები კარგად ათვითცნობიერებენ, რომ მიმდინარე წელი არის გადაწყვეტილების მიღების ან შეთანხმების ჩაშლის წელი. შესაბამისად, დროის სიმცირის გათვალისწინებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა უწევთ, რათა დაძლეულ იქნას მათ შორის არსებული განსხვავებული მიდგომები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მინისტრების დონეზე ამგვარ შეხვედრებს, სადაც წინასწარ მრავალი საკითხია დაგროვილი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, წარმატების ნაკლები შანსი გააჩნია.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა, რომელიც უფლებამოსილია წარმოადგინოს 130 ქვეყნის ყველა ეკონომიკური სექტორის მცირე, საშუალო და დიდი კომპანიების გლობალური პოზიცია, მოუწოდებს მსოფლიო პოლიტიკურ ლიდერებს, ყველა ღონე იხმარონ, რათა არ დაუშვან აღნიშნული მოლაპარაკებების ჩავარდნა. დღიდან მოლაპარაკებების დაწყებისა, საერთაშორისო სავაჭრო პალატა 5 წლის განმავლობაში ერთმნიშვნელოვნად უჭერდა მხარს დოჰას რაუნდს. აღნიშნული გზით, საერთაშორისო სავაჭრო პალატა ხელს უწყობდა განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას მრავალმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად და, აგრეთვე, ახალ ბაზრებზე მათ შესაღწევად.

როგორც ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის 87-წლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, მრავალმხრივი სავაჭრო ლიბერალიზაცია და თანაბარ უფლებებზე დაფუძნებული გლობალური სავაჭრო სისტემა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, მომხმარებელს აძლევს მდიდარი არჩევანის საშუალებას და ამაღლებს ცხოვრების პირობებს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. მსოფლიო ბიზნესისათვის მრავალმხრივი, ეფექტურ წესებზე დაფუძნებული გლობალური ღია სავაჭრო სისტემა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინაპირობას მომავალში ინვესტიციების განსახორციელებლად დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად. მიმდინარე წელს დოჰას რაუნდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსოფლიო ბიზნესსამყარო მსოფლიო ეკონომიკის საიმედო მდგომარეობის შესახებ დადებით შეტყობინებას მიიღებს.

დოჰას რაუნდის მოლაპარაკებათა პროცესში არსებული წინააღმდეგობები უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე ტექნიკურის. აღნიშნულ წინააღმდეგობათა დაძლევა მოითხოვს პოლიტიკურ სიმტკიცეს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უნარს პოლიტიკურად მგრძნობიარე სფეროებში. მიუხედავად ყველაფრისა, გამოვხატავთ ღრმა რწმენას იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებულის განხორციელება დარჩენილ მცირე დროის მონაკვეთში შესაძლებელი იქნება.

საბოლოო დადებითი გადაწყვეტილების მიღების უუნარობამ, შესაძლებელია, ყველა ის შეთანხმება და ვალდებულება გააბათილოს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებების პროცესში. აღნიშნული ეხება სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქციაზე სუბსიდიების გაუქმებას 2013 წლისათვის, ნაკლებად განვითარებული 32 ქვეყნისათვის საექსპორტო საქონლის საერთაშორისო ბაზრებზე შესაღწევად საბაჟო გადასახადისა და კვოტების გაუქმებას 2008 წლისათვის, ასევე, მიმდინარე წლის ბოლოსათვის დაგეგმილი განვითარებული ქვეყნების მიერ ბამბის ექსპორტზე გაწეული სუბსიდირების გაუქმებას. უფრო მეტიც, სათუო გახდება ვაჭრობის ხელშეწყობისა და საერთაშორისო ტრანსაქციების ღირებულების შემცირების თაობაზე შემუშავებული სპეციალური პირობების შემოღება.

ყველაზე ღარიბი და მცირე ზომის ქვეყნები მნიშვნელოვან რისკებს დაექვემდებარებიან, ვიდრე საბოლოოდ არ დაფუძნდება თანაბარუფლებიანი მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა და ვიდრე არ მოიშლება პროტექციონისტური ბარიერები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩატარებულ მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების რვა რაუნდიდან მარცხით არც ერთი არ დასრულებულა. თუკი დოჰას რაუნდი იქნება მარცხის პირველი შემთხვევა, ზიანი იქნება უდიდესი, ხოლო შედეგები - მრავლისმომცველი. ამგვარი შედეგი განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს პროტექციონიზმის მომხრეებს, რომელთაც ახალი სავაჭრო ბარიერების აღსამართავად მეტი თავისუფლება და არჩევანი მიეცემათ.

ვინაიდან მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის მიმდევრებმა ნათლად აჩვენეს მსოფლიოს ამგვარი მიდგომის უპირატესობა, მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ უზრუნველყონ მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ზრდა და განვითარება მომავალი თაობების სასიკეთოდ. სხვა შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ რთულ, ორმხრივ სავაჭრო ხელშეკრულებებზე დაფუძნებულ ქსელს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თანაბარუფლებიან, გლობალურ სავაჭრო წესებთან.

მიუხედავად ბოლო დროის სირთულეებისა და იმედგაცრუებებისა, დოჰას მოლაპარაკებათა რაუნდის წარმატებული წარმართვა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მსოფლიო ბიზნესი განსაკუთრებით უჭერს მხარს აღნიშნულ მოლაპარაკებათა წარმატებით დასრულების მცდელობას, სჯერა რა, რომ მრავალმხრივ სავაჭრო გარემოში ბიზნესის კეთების ახალი პერსპექტივები დაამკვიდრებს ცხოვრების დონის უკეთეს სტანდარტებს მთელს დედამიწაზე.

*26, 2006-06*

***მარკუს ვალენბერგი*** *- საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, "სააბ"- ისა და "სკანდინავსკა ენსკილდა ბანკენ"-ის თავმჯდომარე*
***გი სებანი*** *- საერთაშორისო სავაჭრო პალატის გენერალური მდივანი*
***დიმიტრი ჯაფარიძე*** *- საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს კომიტეტის პრეზიდენტი*

# ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "თეცის" გაყიდვას მესამედ ეცდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ს/ს "თეცის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის გაყიდვას კიდევ ერთხელ შეეცდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "თეცის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის 8,4 პროცენტის გაყიდვის მიზნით, აუქციონი გამოაცხადა. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 1 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. "თეცის" საწესდებო კაპიტალი 1 595 244 აშშ დოლარს შეადგენს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება გუშინ დაიწყო და 27 ივლისს, 17.00 საათზე დასრულდება. აუქციონი კი 27 ივლისს, 17.30 საათზე გაიმართება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "თეცის" პრივატიზებას მესამედ ცდილობს, წინა ორივე შემთხვევაში საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტის შესყიდვით არავინ დაინტერესებულა. **ინტერპრესნიუსი**

# ზურაბ ტყემალაძე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდის წინააღმდეგია

ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 77 მილიონი ლარით გაზრდას არასწორად მიიჩნევს.

ზურაბ ტყემალაძე შიშობს, რომ შემოსავალი და ხარჯები მთავრობის მიერ არ დაიგეგმება და, შესაძლებელია, ქვეყანას ინფლაციის საფრთხე შეექმნას.

"მაქვს ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ეს თანხა სარეზერვო დეპოზიტზე გააჩერონ. ეს სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელს დაანგრევს, გამოიწვევს კურსის რყევას, რაც ცუდად იმოქმედებს შიდა წარმოებასა და ექსპორტზე," - განაცხადა ტყემალაძემ.

მან ფინანსთა მინისტრის მოადგილეს შესთავაზა, 77-მილიონიანი მატებით ჩაანაცვლოს ბიუჯეტში არსებული დეფიციტი, რითაც წონასწორობა აღდგება. თუმცა, ტყემალაძეს ეჭვი ეპარება, რომ მთავრობას ამის გასაკეთებლად პროფესიონალიზმი და გამოცდილება ეყოფა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ამინდი

| | 27/06 | 28/06 | 29/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 31 | 33 | 36 |
| რიგა | 28 | 23 | 18 |
| ვილნიუსი | 30 | 28 | 22 |
| მოსკოვი | 30 | 32 | 28 |
| მინსკი | 34 | 37 | 30 |
| პარიზი | 25 | 25 | 27 |
| რომი | 36 | 37 | 34 |
| ლონდონი | 21 | 22 | 23 |
| მადრიდი | 31 | 32 | 32 |
| ბონი | 22 | 21 | 26 |
| ვარშავა | 36 | 35 | 28 |
| ათენა | 31 | 32 | 33 |
| ბერნი | 30 | 27 | 25 |
| ამსტერდამი | 23 | 17 | 24 |
| ოსლო | 12 | 21 | 23 |
| ანკარა | 30 | 30 | 32 |
| ვარნა | 38 | 37 | 38 |
| დელი | 48 | 44 | 41 |
| ტოკიო | 30 | 31 | 30 |
| კოპენჰაგენი | 16 | 19 | 21 |
| ბაქო | 33 | 33 | 33 |
| ერევანი | 36 | 37 | 38 |
| ასტანა | 22 | 22 | 25 |
| ჰელსინკი | 18 | 20 | 20 |
| დუბლინი | 20 | 17 | 16 |
| ლისაბონი | 23 | 25 | 25 |
| პრაღა | 32 | 32 | 24 |
| სოფია | 30 | 35 | 35 |
| ბუდაპეშტი | 41 | 41 | 35 |
| ბუხარესტი | 39 | 37 | 42 |

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

შენ არ ხარ მარტო, ჩვენ სულ ერთად ვართ!




C2

მუნდიალი, ინგლისელები და განტევების ვაცი



C3

მუნდიალის რუსი „გმირი"



C4

## კოკაიმ წინ წაიწია

გამოქვეყნდა ივნისის ბანძუკე, ჩვენებურად სუმოისტთა რეიტინგი. ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ ან, უბრალოდ, კოკაიმ მაისის ბაშოს წყალობით ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და ახლა მეხუთე მაიგეშირას ტიტულს ფლობს.

იოკოძუნას ტიტული კი ასოშორიუმ შეინარჩუნა.

## ჩინეთში ყველა მუნდიალს უყურებს

ჩინეთში ჩატარებული ონლაინ გამოკითხვის თანახმად, ჩინელი ქალების 80%-ზე მეტი თვალყურს ადევნებს გერმანიაში მიმდინარე მუნდიალს. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი რეპორტაჟები ჩინეთში გამთენიისას იწყება, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს უდიდესი ტელეაუდიტორია ჰყავს.

## ბალაკი: ჩვენ არავისი არ გვეშინია

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მისი გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, გერმანელებს აღარავინ აშინებთ.

„რატომ უნდა გვეშინოდეს რომელიმე გუნდის? არა მგონია, ვინმემ უკეთ ითამაშოს, ვიდრე ჩვენ. ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია", - აცხადებს ბალაკი.

## ადვოკაატი რუსეთში

კორეის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ჰოლანდიელი პიმ ვერბეკი, რომელმაც ამ პოსტზე თანამემამულე დიკ ადვოკაატი შეცვალა. ადვოკაატი რუსეთში გადადის და სანქტ-პეტერბურგის „ზენიტს" ჩაიბარებს. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა კი, შესაძლოა, ნევისპირულ გუნდში მიუნხენის „ბაიერნისა" და ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი ზე რობერტოც გადაიყვანოს.

## ინტერს რიკელმეს შეძენა სურს

მილანის „ინტერი" დაინტერესებულია „ვილიარეალისა" და არგენტინის ნაკრების გამთამაშებლის ხუან რომან რიკელმეს შეძენით. მილანური კლუბი მზადაა არგენტინელ ფეხბურთელში 12,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. რიკელმეს შეძენის სურვილი რამდენიმე ინგლისურმა კლუბმაც გამოთქვა. რაც შეეხება თანხას, იტალიური მედიის ინფორმაციით, 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი მინიმუმად შეიძლება მივიჩნიოთ. სავარაუდოა, რომ თანხა კიდევ გაიზრდება.

## ტრაბელსი არსენალში

ტუნისის ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" მცველის ჰატემ ტრაბელსის აგენტის განცხადებით, ფეხბურთელის შეძენის სურვილი ლონდონის „არსენალმა" გამოთქვა. მეთოფეებს ტრაბელსის შეძენა ჯერ კიდევ გასულ სეზონში სურდათ, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი ყველაფერი უფრო რეალურია, რადგან ტრაბელსის ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტის ვადა ეწურება.

## ლაგერბეკი ნაკრებში რჩება

შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

„კონტრაქტის თანახმად, 2008 წლამდე უნდა ვიმუშაო ნაკრებში. გავიგე, რომ ჩემი მუშაობით საზოგადოება უკმაყოფილოა, მაგრამ გამოკითხვები ყოველთვის როდი გვაძლევენ რეალურ სურათს. ჩვენი სამწვრთნელო შტაბი, შვედური მედიისგან განსხვავებით, მუნდიალზე სრულიად რეალური გეგმით ჩამოვიდა. ჩვენი მთავარი მიზანი მერვედფინალში გასვლა იყო და ეს ამოცანა წარმატებით გადავჭერით", - აცხადებს ლაგერბეკი.

## ბრიტანული ინტერესი

მსოფლიო ჩემპიონატი დიდი საფეხბურთო ბაზარია. ფეხბურთელი, რომელიც მუნდიალზე თავს გამოიჩენს, შემდეგ ხელსაყრელ კონტრაქტსაც აწერს ხელს. დაახლოებით ასეთი ვითარება შეიქმნა განელ ფორვარდ ასამოა გიანთან დაკავშირებით. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ის მაინცდამაინც ცნობილი არ იყო, ახლა კი, რამდენიმე წარმატებული თამაშის შემდეგ, განელი ფეხბურთელით ბრიტანული კლუბები დაინტერესდნენ. ასამოა გიანის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს „ბლექბერნმა" და „ბოლტონმა".

## რონალდინიო: უკეთ ვითამაშებ

მსოფლიო ჩემპიონატზე რონალდინიოსგან ძალიან ბევრს ელოდნენ, მაგრამ ბრაზილიელი გენიოსი ჯერჯერობით მასზე გაცემულ ავანსს ვერ ამართლებს და ჩრდილშია მოქცეული. ამას თავად ფეხბურთელიც მშვენივრად ხვდება. ჟურნალისტებთან საუბარში რონალდინიომ აღნიშნა: „მე უკეთ შემიძლია თამაში. ის ფაქტი, რომ ხალხი ჩემგან გაცილებით მეტს ელის, მსიამოვნებს. შემიძლია გუნდს მეტი სარგებელი მოვუტანო, ვიდრე ახლა. პირობას გაძლევთ, რომ ამიერიდან ასეც იქნება, - ამბობს რონალდინიო და შემდეგ თავის პარტნიორ რონალდოზე საუბრობს, - რონალდო რონალდოა. ის პატივისცემას იმსახურებს ყველაფრისთვის, რაც უკვე გააკეთა. არ მესმის, რატომ აკრიტიკებენ. უნიკალური ფეხბურთელია".

# სანიმუშო მაგალითი



*უკრაინა საქართველოსთვისაც კარგი მაგალითი იქნება.*

უკრაინის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. ოლეგ ბლოხინის გუნდმა პენალტების სერიით სძლია შვეიცარიის ნაკრებს და მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდის მარაქაში გაერია.

დიდი გამარჯვებაა უკრაინული ფეხბურთისთვის და სანიმუშო მაგალითია საქართველოს ნაკრებისთვისაც. მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება კარგი ორგანიზაციით და გეგმაზომიერი ტაქტიკით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა და ამ მიზნების მიღწევაც.

უკრაინელებმა თამაში უაღრესად ხისტად დაიწყეს და თავიდანვე ნათელი გახდა, რომ შევჩენკო და კამპანია არაფერს დაუთმობდა მეტოქეს. ჯერ კიდევ მატჩის დებიუტში ანდრეი შევჩენკოს ჰქონდა კარის აღების კარგი შანსი, მაგრამ მის მიერ თავით დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია. ამას შვეიცარიელებმა ფრაის საჯარიმოდან სახიფათო დარტყმულით უპასუხეს, რომელიც ასევე ძელმა აისხლიტა. პრინციპში ეს იყო და ეს. ამის შემდეგ თითზე ჩამოსათვლელი ფრაგმენტები დაფიქსირდა, როცა სახიფათო შეტევა შეიძლებოდა განხორციელებულიყო. გუნდები უფრო ცდილობდნენ მეტოქის მოძრაობა ეკონტროლებინათ და მისთვის არ მიეცათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინების საშუალება. ამის გამო თამაში უაღრესად ნერვიული და დაძაბული გამოდგა. მსაჯიც ძალიან ფრთხილობდა საჯარიმო მოედანში ჯარიმის დაფიქსირების დროს და საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა თვითრეალიზება.

თამაში უგოლო ფრით დასრულდა. არც დამატებით დროში შეცვლილა მდგომარეობა და საქმე პენალტებამდე მივიდა სადაც უფრო იღბლიანი და მიზანმიმართული უკრაინელები აღმოჩნდნენ. საკმარისია ითქვას, რომ უკრაინელთა მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკიმ სამი პენალტი მოიგერია და განაპირობა კიდეც თავისი გუნდის ისტორიული გამარჯვება. მან დამსახურებულად მიიღო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება.

მეოთხედფინალში უკრაინის ნაკრები მარჩელო ლიპის იტალიას შეეჯიბრება და უნდა ვივარაუდოთ, რომ „სკუადრა აძურას" სულაც არ ექნება იოლი გასეირნება. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან.

**შვეიცარია - უკრაინა 0:0 (0:3, პენ)**

**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, ჯურუ (გრიჩტინგი, 34`), მანინი, ფოგელი, კაბანიასი, ვიკი, ფრაი (ლუშტრინელი, 117`), ბარნეტა, მიულერი, იაკინი (შტრელერი, 64`), დეგენი,
**მწვრთნელი:** იაკობ კუნი
**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, შევჩენკო, შელაევი, გუსევი, ვორონინი (მილევსკი, 111`), გუსინი, ვორობეი (რებროვი, 94`), ვაშჩუკი, კალინიჩენკო (როტანი, 75`).
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**გაფრთხილება:** ბარნეტა (59`)
**მსაჯი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)
**12 კარში დარტყმა 10**
**6 კარისკენ დარტყმა 2**
**24 ჯარიმა 20**
**5 კუთხური 6**
**0 თამაშგარე 1**
**55 ბურთის ფლობა 45**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ალექსანდრ შოვკოვსკი.



## დავით კოვზირიძის სვეტი

## შენ არ ხარ მარტო, ჩვენ სულ ერთად ვართ!

კვირას საქართველოს ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე დადგა. 25 ივნისს ფან-კლუბის შექმნით გაირკვა, რომ ამიერიდან ჩვენს ბიჭებს საშინაო თამაშებში მეთორმეტე, ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელი დაემატება. როდესაც ვალენტინ ივანოვმა დედა რუსეთს საქვეყნოდ მოჭრა თავი, სწორედ იმ საღამოს „ამირანში“, დაახლოებით ხუთასი ქართველი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, პარლამენტარი და არაპარლამენტარი, თვალზე ცრემლმომდგარი და ყელზე ძარღვდაჭიმული ყვიროდა სამშობლოს სახელს, ერთად მღეროდა ნაკრების ჰიმნს, იყო ამაყი და სჯეროდა იმის, რომ გამარჯვება მხოლოდ მაშინ მოვა, როცა ჩვენ ერთად ვიქნებით.

და აი - ჩვენ ერთი გუნდი ვართ!!!

ამიერიდან აღარ უნდა არსებობდეს მე, შენ, ის. უნდა დავივიწყოთ მხოლობითი ფორმა და გავიგოთ: თუ წავაგებთ, წავაგებთ ერთად და თუ მოვიგებთ, ამასაც ერთად გავაკეთებთ. ოღონდ ძალიან გთხოვთ, თავიდან ამოვიგდოთ სიტყვა „წაგება“, ეს კარგის მეტს არაფერს მოგვიტანს.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ - მეც, შენც, კლაუს ტოპმიოლერიც, კახა კალაძეც, მიხეილ სააკაშვილიც, ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, მწერალიც, მეეზოვეც და ის მილიონობით ადამიანიც, ვინც საქართველოში ცხოვრობს.

მინდა ვუთხრა საქართველოს ნაკრების თითოეულ წევრს - შენ არ ხარ მარტო, ჩვენ სულ ერთად ვართ!

ჩვენ გავიმარჯვებთ!
ჩვენ ძალიან მაგრები ვართ!
ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!
იმიტომ რომ - ერთი გუნდი ვართ!

■ ■ ■

მე ძალიან სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ 25 ივნისის საღამოს, ნიურნბერგში, ჰოლანდია-პორტუგალიის შესვენებაზე, ვალენტინ ივანოვი განმარტოვდა და ერთი ბოთლი არაყი ჩაყლურწა. არ გახსოვთ, რა ღაჟღაჟა და აგრესიული იყო? ფხიზელი კაცი ნამდვილად არ იკადრებდა იმას, რაც ამხანაგმა ივანოვმა აკეთა.

მთლად ფხიზელი არც გრემ პოლი უნდა ყოფილიყო, როცა სიმუნიჩს სამი ყვითელი ბარათი უჩვენა, ოღონდ ეს სიმთვრალეს არ ჰგავდა, უფრო ამსტერდამში გადასულ-გადმოსული კაცის საქციელი გახლდათ.

ანუ - როგორც ყოველ მსოფლიო ჩემპიონატზე, ახლაც წამოიჭრა მსაჯობის თემა და თან ძალიან ტრაგიკომიკური კუთხით. ერთი პირობა ვიფიქრე, ვალენტინის წინაპრებში ვინმე ინგლისელი ხომ არ ურევია და ერიქსონის გუნდს კოჭს ხომ არ უგორებს-მეთქი, მაგრამ როცა მისი სახე ახლოდან აჩვენეს, დავრწმუნდი: ის კლასიკური ივანოვია.

ისე, ინგლისის ნაკრებს დახმარება ძალიანაც რომ სჭირდება! როდესაც ამ გუნდის მეკარე ეკვადორთან დროის გაყვანისთვის ყვითელ ბარათს იღებს, ყველამ ერთად უნდა გავიხედოთ სათადარიგოთა სკამისკენ და იქ მჯდომ სათვალიან შვედს ვკითხოთ - რა გინდა, სვენ-გორან, რატომ ჩააგდე ამ დღეში ნაკრები, რომელიც ჩემპიონატის მშვენება უნდა ყოფილიყო? ეს ხომ ის გუნდია, რომელიც მუდამ ჯიგრიან, ლამაზ, მსუბუქ, ნამდვილ ფეხბურთს თამაშობდა და რომელსაც 20 წლის წინათ მთელი მსოფლიო ტაშს უკრავდა იმისთვის, რომ დიეგო მარადონას ფეხი არავინ წააგლიჯა იმ არაამქვეყნიური გოლის გატანისას. წმინდა ინგლისური სული - აი, რა აკლია დღეს ამ გუნდს. და მე რატომღაც მგონია, რომ სწორედ ამის გამო ბრიტანელები განახევრებულ პორტუგალიასთან დაისჯებიან.

ამას კიდევ ერთი მიზეზი შეუწყობს ხელს და ამ მიზეზის სახელია ლუიშ ფელიპე სკოლარი, ოდესღაც წინასწარმეტყველურად შერაცხული დიდ ფილად, კაცი, რომელმაც გუშინწინ ზედიზედ მეთერთმეტე თამაში მოიგო მსოფლიო ჩემპიონატებზე. ძალიან საინტერესო თამაში იქნება და კიდევ უფრო მაგარი იქნებოდა, ივანოვს სხვა პროფესია რომ აერჩია. და ერიქსონსაც, პრინციპში.

სკოლარიმ თავისი კლასი იმ ისტერიკაშიც დაამტკიცა, რომელიც ჰოლანდიასთან სუფევდა და რომელმაც გამოუცდელ მარკო ვან ბასტენს თავგზა აუბნია. ამ გენიალური ფეხბურთელისა და ქორფა მწვრთნელის კრიტიკა შეიძლება, მას აშკარა შეცდომები მოუვიდა, მაგრამ ფაქტია - მსოფლიო ჩემპიონატზე, სულ ცოტა, ერთხელ დგება მსგავსი კრიტიკული მომენტი და მწვრთნელმა ზუსტად ამ დროს უნდა იმოქმედოს იდეალური სიზუსტით. ვან ბასტენს კი ჯერ ძალიან ბევრი უკლია დიდ მწვრთნელობამდე და ეს ჰოლანდიაში ჩემზე კარგად უნდა სცოდნოდათ.

აი, გერმანიაში კი, როგორც წესი, ყველაფერი იმთავითვე ყურადღებით აწონ-დაწონეს და კლინსმანიც ჯერჯერობით მშვენივრად უბერავს. მართალია, სადიპლომო გამოცდები წინ აქვს, მაგრამ ალალად ვთქვათ, რომ ოთხმოცდაათიანების ერთ-ერთი საუკეთესო გამტანი ეროვნულ წნეხსაც კარგად უძლებს, ფსიქოლოგიურადაც მაგრად დგას და დამწყები მწვრთნელისთვის ურთულესი საქმეც მოგვარებული აქვს - გერმანიის ნაკრებში ზღაპრული ატმოსფეროა.

გერმანია - არგენტინა! ამ თამაშს მხოლოდ ჟღერადობა აქვს ისეთი, გაგაჟრიალებს. ეს ჟრიალი 1986 წელს დაიწყო, ოთხ წელიწადს გაგრძელდა და ახლა „კონტრაა.“ მასპინძლებს პრობლემები ჯერ საერთოდ არ ჰქონიათ, რასაც ვერ ვიტყვი არგენტინის ნაკრებზე, რომელსაც ტრადიციულად მძიმე მეტოქემ ზღვა ოფლი აღვრევინა. შეიძლება ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთელებმა ყველაზე ცუდი თამაში უკვე ჩაატარეს და მოიგეს, ხოლო გერმანელებს ეს ცუდი თამაში წინ აქვთ და ვერ მოიგონ. თუმცა ენციკლოპედიაში შესატან მატჩს აუცილებლად ვნახავთ და ეს პირველი კლასიკური ომი იქნება მსოფლიოს ამ პირველობაზე.

ოსკარები დარიგდა. გერმანიაში ვენეციის ფესტივალი იწყება!

მომავალ სამშაბათამდე

# იტალია მეოთხედფინალშია



ძამბროტა ბრეშიანოს წინააღმდეგ.

**იტალია - ავსტრალია 1:0**

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, მატერაცი, გროსო, პეროტა, პირლო, დელ პიერო (ტოტი 75), გატუზო, ჯილარდინო (იაკინტა 46), ტონი (ბარცალი 56)
**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი
**ავსტრალია**: შვარცერი, ნეილი, მური, ჩიპერფილდი, კულინა, გრელა, სტერკოვსკი (ალოიზი 81), კეჰილი, ბრეშიანო, ვიდუკა, უოლკშირი
**მწვრთნელი:** გუუს ჰიდინკი
**გოლი:** 1:0 ტოტი (90 პენ)
**გაფრთხილება:** გროსო, გატუზო, ძამბროტა - გრელა, კეჰილი, უოლკშირი
**გაძევება:** მატერაცი (51)
**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
**6 კარში დარტყმა 4**
**11 კარისკენ დარტყმა 8**
**17 ჯარიმა 26**
**2 კუთხური 2**
**2 თამაშგარე 2**
**41 ბურთის ფლობა 59**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯანლუიჯი ბუფონი

იტალია მეოთხედფინალშია. მარჩელო ლიპის გუნდმა საკმაოდ საეჭვო პენალტის წყალობით შეძლო ავსტრალიელთა დამარცხება და აგრძელებს ბრძოლას მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის.

ამბობენ, ძლიერს უმართლებსო. თითქოს იტალიამ დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ... ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ ამ მატჩისთვის არ გიყურებიათ და, მოდით, ფიფას ვებ-გვერდის სპეციალისტებს ვენდოთ. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მათ იტალიელთა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი დაასახელეს. ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

როდესაც იტალიის ნაკრები პენალტით უგებს ავსტრალიის ეროვნულ გუნდს, „სკუადრა აძურას“ გულშემატკივრებს დაფიქრება მართებთ. ამ ჩემპიონატზე იტალიამ ერთადერთი ნორმალური მატჩი ითამაშა - განის ნაკრების წინააღმდეგ. ეს იყო ჯგუფური ტურნირის პირველი შეხვედრა. ამის შემდეგ იტალიის ნაკრები საკუთარ აჩრდილს წააგავს. ლიპის გუნდი ფეხბურთს ნამდვილად არ თამაშობს და, ლუის მედინა კანტალეხოს მიერ დანიშნული პენალტი რომ არა, არავინ იცის, ვინ გავიდოდა მეოთხედფინალში.

ასეა თუ ისე, იტალია ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. ერთი კია: თუ იტალიელებმა ასევე ითამაშეს მეოთხედფინალში, შესაძლოა, მათთვის ტურნირი დასრულდეს. ხოლო თუ „სკუადრა აძურა“ ანალოგიური თამაშით მეოთხედფინალურ ბარიერსაც გასცდა (რადგან მეტოქე ძლიერი არ იქნება), ნახევარფინალში ლიპის გუნდს კარგი არაფერი ელის.

# კლოზემ ტრადიცია დაარღვია

გერმანიის ნაკრები უკვე მეოთხედფინალშია. კლოზე ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ბომბარდირია. პოპულარული გერმანული გაზეთის „კიკერის“ ჟურნალისტი მატჩის შემდეგ შეხვდა მიროსლავ კლოზეს. ფეხბურთელის ეს ინტერვიუ გუშინ გამოქვეყნდა გერმანულ გაზეთში.

**- ჰერ კლოზე, გერმანიამ 2:0 მოიგო. ორივე გოლი პოდოლსკიმ გაიტანა. თქვენ ორივე გოლში კი მიგიძღვით წვლილი, მაგრამ თავად არ გაგიტანიათ. რატომ აღნიშნეთ ეს გოლები ყველასთვის ცნობილი კლოზე კულბიტებით?**

- დიახ, ეს ალბათ სიახლე იყო. ჩემი კი არა, თანაგუნდელის გოლები აღვნიშნე კულბიტით. ძალიან გამიხარდა და სიხარული ასე გამოვხატე.

**- გუნდის ხელმძღვანელობას, ისევე როგორც გულშემატკივრებს, თქვენი საგოლე ალღოს იმედი აქვთ. თქვენ რას გვეტყოდით?**

- იცით, ვითარება შეიცვალა. თავადაც ნახეთ, რომ ასისტენტობაც კარგად გამომდის. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიტანს - მე, პოდოლსკი თუ ბალაკი. მთავარია გუნდმა მოიგოს.



ასე აღნიშნავს კლოზე გოლს.

**- თუმცა გოლის გატანა გარკვეულწილად ნიჭადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამას მართლაც დიდი ტალანტი სჭირდება?**

- ეს ჩემი უპირატესობაა. რა ვიცი, ისე გამოდის, რომ გოლის ალღო მაქვს. ამით ბედნიერი ვარ. იმედია, ჩემი ეს ნიჭი ნაკრებსაც გამოადგება.

**- გაძლებს თუ არა კლოზე ტურნირის ბოლომდე?**

- დარწმუნებული ვარ, რომ გავუძლებ. იმედიტა იურგენ კლინსმანიც ასე ფიქრობს.

**- ახლა ბევრს საუბრობენ კლინსმანის მომავალზე. დარჩება თუ არა ის ნაკრებში?**

- მწვრთნელი მთლიანად აკონტროლებს გუნდში არსებულ მდგომარეობას. ვფიქრობ, გერმანიის ნაკრების დამაჯერებელი თამაში მეტწილად სწორედ კლინსმანის დამსახურებაა. არადა, იყო დრო, როდესაც მას აკრიტიკებდნენ. დარჩება თუ არა იგი ნაკრებში, ეგ ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ვიცი, რომ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს მასთან კონტრაქტის გაგრძელება სურთ. ჯერჯერობით თავად კლინსმანი ყოყმანობს. რაც შემეხება მე, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ცხადია, კლინსმანს ნაკრებში დავტოვებდი.

**- შვედეთთან გამარჯვება ნიშნავს თუ არა იმას, რომ გერმანია ჩემპიონატის მთავარი ფავორიტია?**

- მე შვედეთთან თამაშამდეც დარწმუნებული ვიყავი, რომ გერმანია მთავარი ფავორტი იყო და ჩემპიონის ტიტულსაც მოიგებს. ვისაც არ სჯეროდა, ალაბთ შვედეთთან მატჩის შემდეგ დარწმუნდა.

**- ბოლო დროს არგენტინასთან ორჯერ ითამაშეთ და ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. რატომ გგონიათ, რომ ახლა შეძლებთ ამ გუნდის დამარცხებას?**

- როგორ გითხრათ. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე არგენტინა უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. მექსიკელებმა დაამტკიცეს, რომ ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში შეიძლება. რაც მექსიკის ნაკრებმა გააკეთა, ჩვენთვისაც შესაძლებელია. მეტიც: ჩვენ უფრო მეტი შეგვიძლია, ვიდრე მექსიკას. ამიტომაც მჯერა, რომ გავიმარჯვებთ.

**- ახლა გერმანია ეიფორიაშია. ეს ნაკრებს ხელს ხომ არ შეუშლის?**

- არა მგონია. ჩვენ სხვას არც არაფერს ველოდით.

**- შეძლებს თუ არა გერმანია ტიტულის მოგებას?**

- ამაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა ჩვენი გუნდის თითოეულ ფეხბურთელს სჯერა, რომ გავიმარჯვებთ. რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული მეტოქეები გვყავს, მაგრამ თუ ჩემპიონატის განვლილ მატჩებს გადავხედავთ, გერმანია ყველაზე კარგ და გააზრებულ ფეხბურთს აჩვენებს.

# ფაბიენ ბარტეზი:
# „ვისაც არ სჯერა, სახლში წავიდეს!“

ესპანელებთან მერვედფინალური მატჩის წინ საფრანგეთის ეროვნული ნაკრები ჟურნალისტებისა და გარესამყაროსგან, ფაქტობრივად, იზოლირებული არიან. ერთი მხრივ, გასაგებიცაა: მსოფლიო ვარსკვლავების ნაკრებმა, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გაჭირვებით დააღწია თავი ჯგუფურ ეტაპს და ახლა ამ სირცხვილის ჩამორეცხვას პირენეელებთან მატჩში შეეცდება.

პარადოქსია, მაგრამ „სამფეროვანთა“ საერთო იზოლირებისას ფრანგულ „ეკიპს“ ინტერვიუზე დათანხმდა ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზი, რომელიც მსგავს გულისხმიერებას იშვიათად იჩენს ჟურნალისტების მიმართ.

**- მუნდიალზე არასახარბიელო სტარტის შემდეგ, როგორ გგონიათ, საფრანგეთის ნაკრები კვლავინდებურად ფავორიტია?**

- ფავორიტობაზე უარის თქმა არც გვიფიქრია. ეჭვიც კი არ შეგვაქვს ჩვენს შესაძლებლობებში. ასე რომ არ იყოს, აქ არ ვიქნებოდით. მას კი, ვისაც ჩვენი წარმატებისა არ სჯერა, სახლში დაბრუნებას ვურჩევ.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა კორეასთან ფრე ითამაშეთ და ამით ჯგუფიდან გასვლის შანსი კიდევ უფრო შეამცირეთ?**

- რა თქმა უნდა, თამაშის შემდეგ ყველას იმედგაცრუება მოგვეძალა, თუმცა, იოლად მოვერიეთ



თავს და მერვედფინალში მაინც გავედით. ჯგუფურ ეტაპზე წაფორხილების მიუხედავად, საფრანგეთის ნაკრებს მაინც შესწევს ჩემპიონატის მოგების ძალა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

**- თქვენი უახლოესი მეტოქის - ესპანეთის შანსებს როგორ აფასებთ?**

- აშკარაა, რომ ესპანელები სერიოზულ წინააღმდეგობას გაგვიწევენ, მით უმეტეს, რომ ამის ყველა პირობა აქვთ. არაგონესის გუნდი მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტადაც სახელდება. ფეხბურთში მთავარია ბოლო წუთამდე გამოიყენო ხელსაყრელი მომენტები, რადგან უმნიშვნელო შეცდომაც კი შეიძლება ძვირად დაგიჯდეს. ასე იყო 1998 და 2000 წლებში, ოღონდ მაშინ პირიქით მოხდა: მეტოქეთა შეცდომები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენეთ. წელსაც იგივე უნდა გავიმეოროთ.

**- ამ ჩემპიონატზე მსაჯები ბევრ შეცდომას უშვებენ. ერთ-ერთი საკუთარ თავზეც გამოსცადეთ, როცა არბიტრმა პატრიკ ვიეირას გოლი არ ჩათვალა. როგორ ფიქრობთ, არ დადგა დრო, ფეხბურთში ვიდეოგამეორებები დაინერგოს?**

- კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს თამაშის დინამიკას შეაფერხებდა. მსაჯებს მაინც ვერ დავადანაშაულებ, რადგან მათ დიდი ჯაფა ადგათ მოედანზე. ხუმრობა ხომ არ არის, 90 წუთის განმავლობაში სირბილი. ჩემი აზრით, ვიდეოგამეორებებზე უფრო უპრიანი იქნებოდა მსაჯების რაოდენობის გაზრდა. კარგი იქნება, თუ თითო მსაჯს კარს უკან და მოედნის ცენტრში დააყენებენ. ფეხბურთის რეზულტატიურობის გაზრდის მიზნით ახალი ტექნოლოგიის ბურთებს იგონებენ. კარგი იქნება, თუ მსაჯების საქმის შემსუბუქებაზეც იზრუნებენ.

**- ოპტიმიზმის საბაბს რა გაძლევთ?**

- საკუთარ თავს ხშირად ვეუბნები, რომ ცხოვრება მშვენიერია; რომ მაქვს შესანიშნავი პროფესია; რომ ბედმა გაგვიღიმა და მსოფლიო ჩემპიონატზე გადავსებული ტრიბუნების თვალწინ ძლიერი ნაკრებების წინააღმდეგ ვთამაშობთ. საბოლოოდ ყველაფერი ძალას გვმატებს და ოპტიმიზმიც თავისით მოდის.

**- რას უნდა ველოდეთ საფრანგეთის ნაკრებისგან მერვედფინალურ მატჩში?**

- ლამაზ და ძლიერ ბრძოლას. დარწმუნებული ვარ, ესპანელები არაფერს დაგვითმობენ. ჩვენ კი, დროა, დავამტკიცოთ, რა შეგვიძლია რეალურად. გპირდებით, რომ ფრანგ გულშემატკივარს გერმანიაში ჩვენი ქომაგობა მეოთხედფინალშიც მოუწევს.

# მუნდიალი, ინგლისელები და განტევების ვაცი

მარი ჭავახიშვილი

შტუტგარტში, „გოტლიბ-დაიმლერ შტადიონზე“ გასამართი ინგლისი-ეკვადორის მერვედფინალური მატჩის წინ ინგლისელთა შვედმა თავკაცმა სვენ-გორან ერიქსონმა პირობა დადო, რომ ინგლისი იმაზე უკეთ ითამაშებდა, ვიდრე ჯგუფურ ეტაპზე. შვედი სპეციალისტი სიტყვის კაცი არ გამოდგა. მისმა შეგირდებმა მეოთხედფინალში მართლაც გააღწიეს, მაგრამ უკეთესი თამაშისა რა მოგახსენოთ...

იქ, სადაც ინგლისელი ფანები არიან, ვერ მოიწყენთ. ინგლისი-ეკვადორის მატჩამდე ორი დღით ადრე შტუტგარტის პოლიციამ ძველბიჭური გაწევ-გამოწევისთვის 122 გულშემატკივარი დააკავა, რომელთაგან უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ინგლისელები იყვნენ.

ერიქსონის გუნდის ვარჯიში რამდენიმე ათეული ტელეკამერის, ფოტოკორესპონდენტისა და ასობით ათასი ჟურნალისტის თანდასწრებით მიმდინარეობს. საკონფერენციო დარბაზში კი, სადაც ინგლისელთა თავკაცი ვარჯიშის შემდეგ მიდის, ბუზიც ვერ შეფრინდება.

რადიკალურად განსხვავებული სურათია ეკვადორელთა ბანაკში - ორმოცდაათამდე მთვლემარე რეპორტიორი, ოთხი კამერა და ამდენივე ფოტოკორესპონდენტი. ეკვადორელთა თავკაცის ლუის სუარესის პრესკონფერენციას პრესის თხუთმეტიოდე (!) წარმომადგენელი ესწრება.

იგრძენით განსხვავება?!

### რუნომანია

25 ივნისს გასამართ მატჩამდე ერთი დღით ადრე სასტუმრო „გრაფ ზეპელინის“ წინ სამასამდე ინგლისელი ფანატი იყრის თავს, საყვარელი გუნდის ჰიმნს ბოლო ხმაზე გაჰკივიან და ფეხბურთელებს ფანჯარაში გამოხედვას სთხოვენ. ჯიუტი ინგლისელები მიზანს აღწევენ! ფანების მოთხოვნას პირველი რიო ფერდინანდი დაჰყვა - ხელში ვიდეოკამერით ფანჯარაში გამოჩნდა.

- რიო! რიო! რიო! - მეგობრულად სკანდირებს სასტუმროს წინ შეკრებილი საზოგადოება.

ფერდინანდს ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემიც ბაძავს. ფანებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ბექზზე და ისიც კარგა ხანს არ მოშორებია ფანჯარას.



ინგლისის ნაკრების ყოველი მატჩის წინ ფანები გამარჯვებისთვის ლოცულობენ.

- სად არის რუნი? ჩვენ რუნი გვინდა! - არ ცხრებიან ფანები.

აშკარაა, ინგლისში ბექჰემომანია რუნომანიამ შეცვალა. თუმცა, ქომაგთა კერპი ფანჯარასთან მისვლას არ აპირებს. გულშემატკივართა შეძახილებით დამუხტული მისი თანაგუნდელები კი ფანჯრიდან მაისურებს, შორტებს, პირსახოცებს ესვრიან ფანებს. ისედაც გადარეულები სულ მთლად ჭკუიდან გადადიან...

გუნდისა და ქომაგთა ერთსულოვნებას შურით შესცქერიან შორიახლოს მოსიარულე შეზარხოშებული გერმანელები. რამდენიმე მათგანი ინგლისელთა პროვოცირებას ცდილობს. დროებით უშედეგოდ...

ორიოდე საათის შემდეგ პოლიციელთა მანქანების საყვირის ხმა ისმის. როგორც ჩანს, ინგლისელებმა ბოლომდე ვერ მოთოკეს ნერვები. შტუტგარტის ცენტრალურ მოედანზე ტევა არ არის, არის ერთი დიდი გაწევ-გამოწევა, ცემა-ტყეპა...

მწვანეუნიფორმიანი გერმანელი პოლიციელები სიტუაციის განმუხტვას ცდილობენ. ჰაერში ბოთლები, ქვები, პლასტმასის სკამები დაფრინავს.

- 30 წელიწადია, ინგლისელ გულშემატკივარს სხვადასხვა ქვეყნებში დავყვები და ყველგან ჩხუბის მომსწრე ვხდები, - იხსენებს ერთ-ერთი თვითმხილველი, ტელეკომპანია „სქაის“ რეპორტიორი, - საბედნიეროდ, ბოლო დროს ჩვენები შედარებით უფრო დამშვიდნენ: მსგავსი არეულობა, რაც 70-80-იან წლებში ხდებოდა, აღარ ხდება.

### გმადლობ, დევიდ!

ეგზალტირებული ინგლისელები მხოლოდ კვირა საღამოს, ხუთი საათისთვის მშვიდდებიან. წინ ფეხბურთია...

ეკვადორთან მატჩს ინგლისი 4-4-2-ის ნაცვლად, ახალი ტაქტიკური სქემით - 4-5-1 იწყებს. აშკარაა, რომ ერიქსონი მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის გუნდის წინა თამაშებით. ოუენის ტრავმამ სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა.

32-გრადუსიან სიცხეში გუნდებისგან მაღალ ტემპში თამაშს არავინ მოელის, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ ბრიტანელები საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს სტვენით აცილებენ.

ყველაზე საღად მოაზროვნე ადამიანსაც კი გაუჭირდებოდა იმის წარმოდგენა, რა მოხდებოდა მატჩის შემდეგ, რომ არა მეორე ტაიმში დევიდ ბექჰემის მიერ სრულიად ინგლისისთვის მირთმეული გოლი - უბრწყინვალესი საჯარიმო დარტყმა და ნანატრი 1:0! ტრიბუნაზე მჯდომი კაპიტნის მეუღლე, მისის ვიქტორია ადამსი-ბექჰემისა სიხარულისგან სკამიდან ხტება! მართალია, წინა დღით არგენტინელთა გამარჯვებით გახარებულ ჰაერში ამხტარ მარადონას ვერ აჯობა, მაგრამ მისის ბექჰემის შეკუნტრუშება თვალს მაინც უხარია...

გმადლობ, დევიდ! შენი გოლის შემდეგ შენივე ნაკრები უფრო დიდ ყურადღებას უთმობს თავდასხმას. საგოლე მომენტებს ეკვადორიც ქმნის და ტრიბუნაზე მჯდომ შენს მთვლემარე თანამემამულესაც ძილი აღარ ეკარება...

არადა, ეკვადორული მატჩის გმირი მატჩამდე რამდენიმე დღის განმავლობაში სამშობლოში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ნისლიან ალბიონზე „განტევების ვაცად“ მონათლულ ბექზს რვა წლის შემდეგაც არ პატიობენ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინასთან მერდვეფინალურ მატჩში მარცხს. ორი წლის წინანდელსაც უხსენებენ, როცა ინგლისის ნაკრები სწორედ მისმა ცუდად შესრულებულმა პენალტმა გამოთიშა ევრო 2004-ის გათამაშებას.

ორი წლის წინანდელის დარად, წლევანდელი მუნდიალის მეოთხედფინალშიც ინგლისი პორტუგალიას დაუპირისპირდება.

### სკეპტიკოსები და სტატისტიკა

„ერიქსონს ბექჰემის სათადარიგოთა შორის დაყენება ვურჩიე. ჰარგრივზმა შვედებთან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ ძირითადში ყოფნას ეკვადორთანაც იმსახურებს. კონკურენტის გარეშე არიან ლამპარდი და ჯერარდი. გამოდის, რომ ბექჰემი ზედმეტია“, - ამბობდა ეკვადორთან მატჩის წინ ინგლისელთა ექსნახევარმცველი მეთიუ ლე ტისიე.

მადლობა ღმერთს, ლე ტისიეს მცდარ რჩევას ყური არ ათხოვა სვენ-გორან ერიქსონმა, თუმცა ბექჰემს ამ უკანასკნელმაც გაჰკრა კბილი.

- კაპიტნის წოდება დევიდისთვის ძირითადში ადგილის გარანტია არ უნდა იყოს. მე ის ადრეც დამისვამს სკამზე და თუ საჭირო გახდება, ამას არც ამ მსოფლიო ჩემპიონატზე მოვერიდები, - განაცხადა შვედმა მერვედფინალური მატჩის წინ, თუმცა ეკვადორელებთან ბექჰემის სკამზე ჯდომა საჭიროდ არ მიუჩნევია.

ამ ყოველივეს ფონზე, სტატისტიკური სააგენტო „Opta Sport Data“ იტყობინება, რომ ინგლისის ნაკრებისთვის დევიდ ბექჰემი ყველაზე მეტად საჭირო ფეხბურთელია: ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამართულ უკანასკნელ თვრამეტ მატჩში კაპიტანმა საკუთარ ანგარიშზე ორი გოლი და 11 საგოლე გადაცემა მიითვალა.

გერმანიაში მიმდინარე მუნდიალზე ინგლისელთა ხუთი გოლიდან მის ანგარიშზე ერთი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი და სამიც საგოლე პასია.

## გიორგი ნემსაძე: „გერმანიამ მექანიზმი ჩართო“

პირველი ოთხი მერვედფინალიდან გამორჩეულად კარგად ითამაშა გერმანიის ნაკრებმა. ჯერ კიდევ ჯგუფურ ეტაპზე გამოჩნდა, რომ ეს გუნდი რეალურად აცხადებდა პრეტენზიას ჩემპიონის ტიტულზე. მაგრამ შვედებთან მატჩმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კლინსმანმა მანქანა ჩართო, რომლის მექანიზმმა გამართულად იმუშავა მთელი 90 წუთის განმავლობაში და მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაზე გამოირთო. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე სამხრეთული ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ, მასპინძელთა თამაშმაც არ დამტოვა გულგრილი.

აბსოლუტურად საპირისპირო შთაბეჭდილება მოახდინა არეგენტინის ნაკრებმა. ქვეჯგუფში შთამბეჭდავი გამოსვლის, განსაკუთრებით, სერბებთან ჩატარებული ფანტასტიკური მატჩის შემდეგ არგენტინელთა გამოსვლა მერვედფინალში უფერული და არადამაჯერებელი იყო. ორი რამ არის გასათვალისწინებელი: მექსიკა იმავე რაგიონის წარმომადგენელია, რომელსაც არგენტინა ეკუთვნის. ეს გუნდები კარგად იცნობენ ერთმანეთს. და კიდევ: მექსიკის დღევანდელი ნაკრები არავისთვის არ არის ხელწამოსაკრავი, რაც შარშან გამართულმა კონფედერაციის თასის თამაშებმაც ნათელყო. ასეა თუ ისე, არგენტინა მექსიკაზე მაღლა დგას რანგით, ტრადიციებით, ტიტულებით და კლასით. ამდენად, ლოგიკური და სამართლიანია, რომ თუნდაც უფერული თამაშით მეოთხედფინალის საგზური სწორედ არგენტინამ მოიპოვა. არგენტინის თემა რომ დავასრულო, იმასაც ვიტყვი, რომ ასეთ მოკლევადიან, მაგრამ დამღლელ ტურნირში, როცა თითქმის ყოველ მესამე დღეს გიწევს თამაში, ყველა მატჩის ერთ დონეზე ჩატარება წარმოუდგენელია. ამიტომ სწორი არ იქნება არგენტინელთა შესაძლებლობებზე მხოლოდ მექსიკასთან მატჩით ვიმსჯელოთ. როგორც გერმანიას, ისე არგენტინას პირველი სერიოზული გამოცდა ურთიერთშეხვედრაში, მეოთხედფინალში ელით და მათ შორის გამარჯვებული ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ვერც ინგლისმა დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, ოქროს მედლებისთვის მებრძოლ გუნდს რომ ეკადრება. ეკვადორიც არ არის ცუდი გუნდი, რაც თუნდაც იმით მტკიცდება, რომ სამხრეთ ამერიკის ამ პატარა ქვეყნის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. თუმცა, ეკვადორელთა ამბიცია რომ ამაზე შორს აღარ ვრცელდებოდა, ფაქტია. ამის მიუხედავად, ინგლისის ნაკრებს და მის გულშემატკივარს დიდი ნერვიულობა მოუხდათ ეკვადორული ბარიერის გადასალახავად. ასეთი თამაშით ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს წინ წაწევის იმედი, წესით, აღარც უნდა ჰქონოდათ, რომ არა ერთი სუბიექტური გარემოება, რომელსაც ვალენტინ ივანოვი ჰქვია.

როგორც არ უნდა დასრულდეს დარჩენილი მერვედფინალები, ახლავე შეიძლება ითქვას, რომ მერვედფინალური ეტაპის მთავარი მოვლენა და გმირი რუსი მსაჯი ვალენტინ ივანოვია. მან საფეხბურთო ზევსად მიიჩნია თავი და როგორც პორტუგალიელებს, ისე ჰოლანდიელებს საკუთარი რისხვა წითელ-ყვითელი ბარათების სახით დაატეხა თავს. ფიფას პრეზიდენტი უკვე გამოეხმაურა ამ ამბავს და, რბილად რომ ვთქვა, ივანოვს კვალიფიკაცია დაუწუნა. რუსმა მსაჯმა აშკარად გააფუჭა თამაში. პრაქტიკულად, ვინც არ უნდა გასულიყო მეოთხედფინალში, წინასწარ წასაგებად გაწირა. თავად განსაჯეთ: კოშტინიას რომ თავი დავანებოთ, პორტუგალიას მეოთხედფინალში არ ეყოლება დეკუ, ფეხბურთელი, რომელზეც აგებულია პორტუგალიელთა ნახევარდაცვაც და თამაშიც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ივანოვმა თავის მიერ ნამსაჯევ პირველ მატჩშიც ლამის გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა - არ დანიშნა პენალტი შვეიცარიის კარში, რასაც კინაღამ საფრანგეთის ნაკრების სამუნდიალო ამბიცია ემსხვერპლა, შეიძლება ითქვას, რომ ივანოვის ჩემპიონატზე მიწვევით ფიფამ დიდი შეცდომა დაუშვა.

ყველაფრის მიუხედავად, ინგლისი-პორტუგალიის მეოთხედფინალში პორტუგალია წინასწარ განწირულად არ მეჩვენება, რადგან ამ ეტაპზე გასული გუნდი, როგორი შესუსტებული შემადგენლობითაც არ უნდა იყოს, ნებისმიერი მეტოქისგან პატივისცემის ღირსია. თუმცა, ინგლისის შანსი რომ უფრო წონადია, ესეც ეჭვგარეშეა.

## ტელე-ფრაზები

**„რუნის ისეთი რეაქცია ჰქონდა, თითქოს ვინმემ ჩაის დასალევად დაუძახა“** - გარეთ საუთგეიტი შვედეთთან შეცვლის გამო რუნის მკვახე რეაქციაზე.

■ ■ ■

**„მეკარეს სახეზე ეტყობა, ერთი სული აქვს, როდის დამთავრდება თამაში“** - ბი-ბი-სის კომენტატორი ესპანელებთან მატჩისას უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ტუნისის მეკარე ალი ბუმნიჯელზე.

■ ■ ■

**„ბრაზილია იყო კაკა“** - გარი ლინეკერის კომენტარი ბრაზილიელთა ჯგუფური ეტაპის მატჩებზე.

■ ■ ■

დევიდ პლიტი: **„დღეს ამერიკელები 4-3-2 სქემით თამაშობენ“.**

პიტერ დრარი: **„ვერ დაგეთანხმები, მოედანზე მარტო რვა ამერიკელი ფეხბურთელი თამაშობს“** - „სქაის“ ტელეკომენტატორები ამერიკა-იტალიის მატჩისას.

■ ■ ■

**„მეორე ტაიმში სერბების ნაკრებში ცვლილება მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ არგენტინა ისევ არგენტინაა“** - ბი-ბი-სის კომენტატორი არგენტინა-სერბეთის მატჩზე.

■ ■ ■

**- დაინახე, ფეხი პირდაპირ სახეში ჩაარტყა?**

**- ფიფა მართალია, ამის აღკვეთას რომ ცდილობს?**

**- რისი? დე როსის ფეხის?**

ორი ესპანელი კომენტატორის დიალოგი იტალია-განას შეხვედრისას, როცა დე როსიმ განელი მიკაელ ესიენი ძირს დაანარცხა.

■ ■ ■

**„პოლ რობინსონი ყვითელ მორბენალ ბანანს ჰგავს“** - ბი-ბი-სის კომენტატორი ინგლისელთა მეკარე პოლ რობინსონზე.

■ ■ ■

**„ოჯახური პრობლემების გამო დღევანდელ მატჩს არ ესწრება საუდის არაბეთის მეფე. 30 ცოლი და 35 შვილი რომ მყავდეს, ალბათ, მეც შინ ვიჯდებოდი“,** - უკრაინელი ტელეკომენტატორი უკრაინა-საუდის არაბეთის შეხვედრისას.

■ ■ ■

**„თუ დღეს ამერიკა იტალიას დაამარცხებს, თამამად შეგვიძლია ამ მატჩს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ვუწოდოთ“,** - ამერიკის სპორტული არხის „ტვ ფუტბოლის“ ექსპერტი.

■ ■ ■

**„მოედანზე ისეთი ხელჩართული ბრძოლაა, კარგი იქნება ფიფამ ფეხბურთელებს ჩაფხუტით თამაშის ნება დართოს“,** - გერმანელი კომენტატორი პორტუგალია-ჰოლანდიის მერვედფინალური დაპირისპირებისას.

■ ■ ■

**„ფრანკფურტი ინგლისიდან ორი საათის სავალზეა. ასე რომ, შეგვიძლია ამ მატჩში ინგლისელები მასპინძლებად ჩავთვალოთ“,** - ამერიკული „ეი-ბი-სი სპორტის“ კომენტატორი ინგლისი-პარაგვაის მატჩის წინ.

■ ■ ■

**„ეს მსაჯი ნაყარ-ნუყარის ნაგვის გროვაა“,** - ალენ გრინი ზემოხსენებული მატჩის კომენტირებისას.

■ ■ ■

**„შეხვედრის დამატებითი ნაწილი უდავოდ ბურთი იყო“,** - იოჰან კრუიფი ჰოლანდია-სერბეთის მატჩზე.

■ ■ ■

**„მაიკლ ბექჰემი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია“,** - მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა კომენტატორმა ზუსტად არ იცის დევიდ ბექჰემის სახელი, ინგლისელთა კაპიტანი მაინც საუკეთესოდ მიაჩნია.

■ ■ ■

**„გერმანელების სათადარიგოთა სკამზე კურიოზია - ოლივერ კანი სკამზე ზის“,** - ინგლისელი კომენტატორი ჯონ მოტსონი.

■ ■ ■

**„მათ ვერ შეძლეს სტადიონამდე მისი მოყვანა. ბავშვს შუადღის ძილის დრო ჰქონდა“,** - ასე გამოეხმაურა გარი ლინეკერი იან რაიტის მიერ ერიქსონისთვის მიცემულ რჩევას, რომ მოედანზე 17 წლის თეო უოლკოტი შეეშვა.

**„გოოოოოოოოოოოოოოოოოოოოოოოოოლ! ერაყის, ფთუ, ირანის კარში გოლი გავიდა“,** - ბრაზილიელი კომენტატორი ირანი-მექსიკის შეხვედრისას.

# საფეხბურთო ინტერნაციონალი

ვასილ უდუმაშვილი

გლობალიზაციამ ფეხბურთიც მოიცვა. უკვე დიდი ხანია ეროვნული ნაკრები გუნდები თითქმის ინტერნაციონალურ ნაკრებებად იქცა. აღარვის უკვირის, რომ ევროპულ ნაკრებებში ეთნიკური აფრიკელები, აზიელები ან სამხრეთამერიკელები თამაშობენ.

ერთ-ერთ ყველაზე ინტერნაციონალურ ნაკრებად ყოველთვის ითვლებოდა ჰოლანდიის გუნდი. 70-იან წლებში ნარინჯისფერი მაისური მოირგო ანდამანელმა სიმონ ტაჰამატამ, 80-იან წლებში ჰოლანდიის ნაკრებში ბრწყინავდნენ სურინამელი გულიტი, რაიკაარდი, ვანენბურგი. 90-იან წლებში ნარინჯისფერთა ნაკრებში რასობრივ ნიადაგზე კონფლიქტი მოხდა, ჰოლანდიელთა მაშინდელ მწვრთნელს გუუს ჰიდინკს გუნდი ფაქტობრივად დაეშალა და შეიძლება ამის მიზეზიცაა, რომ დღევანდელი ჰოლანდიის ნაკრები თითქმის მთლიანად თეთრია. გუნდის ძირითად შემადგენლობას თუ გადავხედავთ, ერთადერთი მუქი ფერის ფეხბურთელი კალიმანტანის კუნძულების მკვიდრი ჯოვანი ვან ბრონუჰორსტია. მულატი ლანდზაატი მხოლოდ შეცვლებზე თუ შედიოდა მინდორზე. მარკო ვან ბასტენი დიდად არც რაიან ბაბელს სწყალობდა. ნუთუ გულიტისა და რაიკაარდის მეგობარს რასიზმი დასჩემდა და ნაკრებში ფეხბურთელები კანის ფერის მიხედვით შერჩია?

რა თქმა უნდა, არა. იალინსი, მადურო, იგივე ბაბელი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ვან ბასტენი არაეთნიკურ ჰოლანდიელებსაც ენდობა. უბრალოდ, ეტყობა, ამ ეტაპზე, მწვრთნელის აზრით, სწორედ ეთნიკური ჰოლანდიელები თამაშობენ უკეთესად. ისე კი, ვან ბასტენის ნაკრებში ვერ მოხვდნენ პატრიკ კლაივერტი, კლარენს ზეედორფი, ჯიმი ჰასელბაინკი, რომეო კასტალენი, კვინსი ოვუსუ აბეი, ედგარ დავიდსი და ჯორჯ ბოატენგი. თუმცა ვან ბასტენზე განაწყენების უფლება ალბათ მხოლოდ ბოლო ორს ჰქონდა. დანარჩენების წაყვანა ნაკრებში ისედაც არ იყო მიზანშეწონილი.



საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები.

ჰოლანდიელთა მიერ დაწუნებულ ოვუსუ აბეის განის ნაკრებში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა ისტორიული სამშობლოს ნაკრებში თამაში არ ისურვა და ნარინჯისფერთა გუნდში ელის თავის შანსს. განამ კი კიდევ უფრო განიმტკიცა ფეხბურთელთა ექსპორტიორი ქვეყნის რენომე. გახსოვთ საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი მარსელ დესაი? ისიც ოქროს სანაპიროს მკვიდრია. ამ მუნდიალზე კი გერმანიის ნაკრებში ორი განელი თამაშობს - ჯერალდ ასამოა და დავიდ ოდონკორი. გერმანელები განელებს ვალში არ დარჩნენ და ამ აფრიკულ გუნდში გერმანიაში აღზრდილი ორი ფეხბურთელი გაგზავნეს - ჰანს შარპაი და ოტო ადო.

გერმანიის ნაკრებიც საკმაოდ ინტერნაციონალურია. ორი განელის გარდა, კლინსმანის გუნდში ორი პოლონელიცაა - პოდოლსკი და კლოზე. საინტერესოა, რა განწყობით თამაშობდნენ ისინი ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრებს ჯერჯერობით ყველაზე მეტად პოლონელებთან გაუჭირდა თამაში. ზოგიერთი ხუმრობდა კიდეც, პოლონელმა აგენტებმა კლოზემ და პოდოლსკიმ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს თამაში გერმანიას არ მოეგოო. თუმცა, რად გინდა, კლინსმანმა კიდევ ერთი არაეთნიკური გერმანელი ოლივერ ნოივილი შეუშვა მინდორზე და ფრანკოშვეიცარელმაც, რომელსაც ბავშვობაში ოლივერის ნაცვლად ილივიეს ეძახდნენ, ბუნდესნკარებს გამარჯვება მოუტანა.

გერმანიის ნაკრები კიდევ უფრო ინტერნაციონალური იქნებოდა, კლინსმანს ჩემპიონატზე ნიგერიელი პატრიკ ომოვოიელა და გაურკვეველი წარმოშობს კევინ კურანიც რომ წაეყვანა. რაც შეეხება კურანის, იგი თავად არის ინტერნაციონალი: ცოტა უნგრელი, ცოტა ბოშა, ცოტა ბრაზილიელი და ცოტაც პანამელი.

თუ კლისმანმა მხოლოდ ოთხი არაეთნიკური გერმანელი იკმარა, შვეიცარიის ნაკრებში, ეტყობა, ყველა ჯურის ხალხს იღებენ. ესპანელები კაბანიასი და სენდეროსი, ალბანელები ბეხრამი და ჟემალი, თურქი იაკინი, კოტდივუარელი ჯორუ. მოკლედ, ადგილი ყველასთვის მოიძებნა.

ფეხბურთელთა მთავარ ექსპორტიორად კი ბრაზილია რჩება. ამ ვითარებაში, ცხადია, ბრაზილიის ნაკრებში მხოლოდ ბრაზილიელები თამაშობენ. სხვა გუნდებში კი ბრაზილიელებს ხშირად წააწყდებით. დეკუ პორტუგალიელებს ეხმარება, ალექსი იაპონელთა ლიდერი იყო, მარკოს სენა ესპანეთის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია, ზინია მექსიკის ნაკრებისთვის ირჯებოდა, ტრავმირებული ფრასელუნდო სანტოსი კი ტუნისის ეროვნულ გუნდს გულშემატკივრობდა. ბრაზილიელებს არც არგენტინელები ჩამორჩნენ. მარიანო პერნიამ ქორწილიც კი გადადო იმისთვის, რომ ესპანეთის ნაკრებში ეთამაშა, მაურო კამორანეზი ლიპის რჩეულთა შორის მოხვდა, დავიდ ტრეზეგე კი ფრანგების წარმატებისთვის ირჯება.

რა თქმა უნდა, როცა ასეთ თემას ვეხებით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ საფრანგეთის ნაკრებს. ამ გუნდის შემყურე ფეხბურთში არც ისე კარგად ჩახედულმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს კიდეც, რა უნდათ ბარტეზსა და სანიოლს ამ აფრიკული გუნდის შემადგენლობაში?

ევროპაში ტოლერანტობა უკვე ისწავლეს. ისტორიას ჩაჰბარდა ის დრო, როცა ინგლისელი ფანები ბანანებს ესროდნენ ვივა ანდერსონს და ლიუთერ ბლისეტს. ახლა ინგლისელ ქომაგებს მზე და მთავარე ამოსდით ეშლი კოულზე, რიო ფერდინანდზე, სოლ კემპბელზე, აარონ ლენონზე და ინგლისური ფეხბურთის იმედად შერაცხულ თეო უოლკოტზე. ყველა მუქკანიანი ინგლისელი ვესტ ინდოეთის მკვიდრია.

არავის უკვირს აფრიკელთა თამაში პორტუგალიის ნაკრებში. ყველა დროის საუკეთესო პორტუგალიელი ფეხბურთელი ხომ წარმოშობით მოზამბიკელი ეუსებიოა.

მოკლედ, გლობალიზაციამ მთლიანად შეაღწია ფეხბურთში. ზოგჯერ ვერც კი მიხვდები, მინდორზე რომელი ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიან. კარგია ეს თუ ცუდი, ძნელი სათქმელია. ეს, უბრალოდ, ფაქტია, რომელსაც უნდა შევეგუოთ.

## ფაბრეგასს თამაში სურს

მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში ესპანეთის ნაკრები საფრანგეთის გუნდს დაუპირისპირდება. უცხოური მედიის ინფორმაციით, ამ მატჩში ლუის არაგონესმა შესაძლოა, ძირითად შემადგენობაში ათამაშოს სესკ ფაბრეგასი. თავად ფეხბურთელი სწორედ ამაზე ოცნებობს.

„მინდა ყველა მატჩში ძირითადში მოვხვდე. რთული თამაშები გველის. ჯერ საფრანგეთი, შემდეგ კი ალბათ ბრაზილია“, - აცხადებს ფაბრეგასი.

## სიმბოლური ნაკრები

ყველა დიდ ტურნირზე მიღებულია სიმბოლური ნაკრების დასახელება. მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შემდეგ გერმანელმა ჟურნალისტებმა შეადგინეს ტურნირის სიმბოლური ნაკრები, რომელიც ასე გამოიყურება:

**მეკარე:** ბუფონი (იტალია)

**მცველები:** ძამბროტა (იტალია), სენდეროსი (შვეიცარია), მარკესი (მექსიკა), ლამი (გერმანია)

**ნახევარმცველები:** კაკა (ბრაზილია), რიკელმე (არგენტინა), ესიენი (განა), კიუელი (ავსტრალია)

**ფორვარდები:** კარლოს ტენორიო (ეკვადორი), კლოზე (გერმანია)

## იდეალური პენალტის ფორმულა

ლივერპულის უნივერსტიტეტ „ჯონ მურის“ მეცნიერებმა გამოიგონეს მათემატკიური ფორმულა, რომელიც დაეხმარება ინგლისელ ფეხბურთელებს მოიხსნან სტრესი თერთმეტმეტრიანების შესრულებისას.

((( +Y+S)/2) x ((T+I+2B)/4))))V(2/2)-1 - აი, ეს ფორმულა, რომლის თანახმად ბურთის დარტყმის იდეალური სიჩქარე 25-29 მეტრი წამში უნდა იყოს.

ფეხბურთელმა დარტყმისას გარბენისთვის 4-6 ნაბიჯი უნდა გადადგას. მაგალითად, ათნაბიჯიანი გარბენი იდეალური შედეგისთვის უვარგისია. ფეხბურთელი, რომელიც პენალტისთვის ემზადება, ძალიან სწრაფი უნდა იყოს. კერძოდ, მომზადებისთვის სამ წამზე მეტი არ უნდა დახარჯოს. მისცემს თუ არა მსაჯი ნიშანს, რომ პენალტის დარტყმა შეიძლება, ფეხბურთელმა სამ წამში უნდა შეასრულოს ეს სტანდარტი.

## მარკესი კონტრაქტს გააგრძელებს

„ბარსელონასა“ და მექსიკის ნაკრების მცველი რაფაელ მარკესი 2010 წლამდე გააგრძელებს კონტრაქტს კატალონიურ კლუბთან. „კლუბის ხელმძღვანელებს უნდა დაველაპარაკო. დასაზუსტებელია რამდენიმე დეტალი. კონტრაქტს კი აუცილებლად გავაფორმებ და „ბარსელონაში“ 2010 წლამდე დავრჩები“, - აცხადებს მარკესი.

## ტაციობა კლოზეზე

გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ ფორვარდი მიროსლავ კლოზე მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე გადაწყვეტს, თუ სად გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას.

გერმანელ ფორვარდს მეტად საინტერესო სამი შეთავაზება აქვს. მას „ჩელსი“, „მანჩესტერი“ და მადრიდის „რეალი“ იწვევენ. მირო კლოზეს განცადებით, ის 9 ივლისის შემდეგ გააკეთებს არჩევანს.

## მორიგი კომპიუტერული ვირუსი

მსოფლიო ჩემპიონატი ჰაკერებისთვის ნამდვილ სამიზნედ იქცა. ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ შექმნილია რამდენიმე კომპიუტერული ვირუსი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის თემატიკას უკავშირდება. ჰაკერები არ ისვენებენ. ახლა კიდევ ერთი ახალი ვირუსის შესახებ გახდა ცნობილი, რომელიც უფრო ქალ მომხმარებლებს ემუქრება. კერძოდ, ელექტრონული ფოსტით მოდის შეტყობინება, რომ ერთ-ერთ საიტზე შესაძლებელია ფეხბურთის ვარსკვლავების ფოტოების ხილვა, თანაც საუბარია საკმაოდ თამამ ფოტოებზე. გულშემატკივართა იმ კატეგორიას, რომლებსაც, ვთქვათ, დევიდ ბექჰემის ან მიროსლავ კლოზეს ასეთი ტიპის ფოტოს ნახვა მოუნდებათ, უსიამოვნო სიურპრიზი ელით - საიტზე შესვლისთანავე მათი კომპიუტერი ვირუსის მსხვერპლი გახდება.

## კურიოზული პრესკონფერენცია

მართალია, მუნდიალი საკმაოდ კარგად არის ორგანიზებული, მაგრამ გარკვეული შეცდომები მაინც არსებობს. ერთი კურიოზული შემთხვევა უკრაინის ნაკრების მწვრთნელის ოლეგ ბლოხინის პრესკონფერენციას უკავშირდება.

შვეიცარიასთან მატჩის წინ ბლოხინმა გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც ბევრი ჟურნალისტი ესწრებოდა, მაგრამ ოლეგ ბლოხინის ნალაპარაკევი რუსი და უკრაინელი ჟურნალისტების გარდა ვერავინ გაიგო. თუმცა, პრესკონფერენციაზე სხვა ეროვნების ჟურნალისტებიც იყვნენ. საბოლოოდ პრესკონფერენცია უფრო ბრიფინგს დაემსგავსა, რადგან ბლოხინს შეკითხვებს ვერ აძლევდნენ. საქმე ისაა, რომ ორგანიზატორებს თარჯიმნის მოყვანა დაავიწყდათ. ბოლოს ერთმა განრისხებულმა ჟურნალისტმა იყვირა, ჩვენ თარჯიმანი გვჭირდებაო, რაზეც ბლოხინის ლოგიკური პასუხი მიიღო: თარჯიმანი მეც ძალიან მჭირდებაო.

## რობინიომ შეიძლება მერვედფინალი გამოტოვოს

დღეს მუნდიალს მორიგ მერვედფინალურ მატჩში ბრაზილიის ნაკრები განის გუნდს დაუპირისპირდება. ეს შეხვედრა, შესაძლოა, გამოტოვოს რობინიომ, რომელსაც ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა.

# ცოტა დააკლდათ

ოვერნში დასრულებულ ახალგაზრდა (21 წლამდე) მორაგბეთა მსოფლიო თასზე დებიუტანტმა საქართველომ ქვედა ოთხეულის მცირე ფინალი ერთი კინკილა ჯარიმით წააგო თავის ჯუფთ იტალიასთან და ბოლო, მე-12 ადგილი დაიჭირა.

### საქართველო 9:12 იტალია

უკანასკნელი რაუნდი ორგანიზატორებმა ისე დაგეგმეს, რომ სათასო ფინალის ხილვა და ბანკეტზე დასწრება 12-ვე გუნდს შესძლებოდა. ამის გამო ქვედა ადგილთა პლეი-ოფები შუადღისას მოეწყო. ჩვენებმა წინა რაუნდებში უშანსოდ, 25:73 წააგეს უელსთან, 17:102 სამხრეთ აფრიკასთან, 0:47 ირლანდიასთან და 14:46 შოტლანდიასთან, მაგრამ ნაპატივებ აძურს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს და გამარჯვებამდე ცოტა დააკლდათ.

იტალიამაც წააგო ოთხივე მატჩი (ახალ ზელანდიასთან 16:75, შოტლანდიასთან 11:40, ფიჯთან 17:43 და 12:33). თანაბარ მეტოქეთა ბურთაობაში ლელო არ გასულა. იმათ გაიტანეს ოთხი ჯარიმა, ჩვენ კი - სამი. პირველი ტაიმი ზედ შესვენების წინ გაშვებული ერთი გოლით წავაგეთ, მეორეში კი მალევე გავათანაბრეთ ანგარიში და საათის თავზე წინაც გავედით, მაგრამ დასკვნით ათ წუთში ლათინებმა ორი ჯარიმა დაკრეს და მწარედ მოგვიგეს.

ბოლო ადგილის დაკავებით საქართველო არსად გავარდნილა, ისევე როგორც შარშან, ესპანეთში, ევროპის პირველობის მოგებით არ მიუღია საფრანგეთის საგზური. მსოფლიო თასის ორგანიზატორი ირბ დასს თავის ჭკუაზე არჩევს ხოლმე. ჰოდა, ბობოლათა მარაქაში მე-12 გუნდად იმადღა გაგვრია დუბლინის კანტორამ, რომ შარშან, ნოემბერში, ურუგვაის კაცთა გუნდის საქართველოში ჩამოუსვლელობით ჩვენი ვალი დაედო და კომპენსაციის ერთ-ერთ მუხლად ახალგაზრდების მსოფლიო თასზე დაშვება შემოგვთავაზა.

ამაზე ჩვენი რაგბის მამები დაყაბულდნენ, მომავალი ბორჯღალოსნები ერთი თვით საფრანგეთში გაისტუმრეს, უმოედნო საქართველოსგან განსხვავებით, იქ ბალახიან მოედნებზე ავარჯიშეს, მერე თავის ტოლა პროფესიონალებთან ხუთჯერ ათამაშეს და სერიოზულ საშეჯიბრო პრაქტიკას მოკლებული ბიჭები ძაან გამოაწრთეს. მოკლედ, ბითუმი მარცხის მიუხედავად, ჩიტი ბრდღვნად ნამდვილად ღირდა.

ირბ-ის კორესპონდენტ ანტუან ბერტენის თანახმად, ლელოს გატანის რეალური შანსი არც ერთ გუნდს არ ჰქონია. ხშირი იყო თერნოვერი (შეტევაში ბურთის კარგვა), რის გამოც დაცვის გარღვევა ვერ ხერხდებოდა. ვიდრე ლაშა მალაღურაძე პირველად გაათანაბრებდა ანგარიშს, ორი დარტყმა გასცუდებია. ჩვენი გოლები შერკინების მიძალების შედეგი იყო. ნამატჩევს მომავალ ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა თქვა, რომ ფრიად კმაყოფილია გუნდის გარჯით; რომ თამაში უნდა მოგვეგო და რომ მსაჯის რამდენიმე გადაწყვეტილება ერთობ საეჭვო იყო (საოცარია, რომ ირბ-ის ცენზურამ ოზი მსაჯის კრიტიკა არ ამოშალა).

**საქართველო:** 15 დავით გურგენიძე აკდ, 14 გიორგი მჭედლიშვილი ლელ, 13 ივანე სულამანიძე აკდ, 12 დავით კაჭარავა ყოჩ (კაპიტანი), 11 ირაკლი გეგენავა ყოჩ; 10 ლაშა მალაღურაძე უკრ/ყოჩ, 9 გიორგი მჟავანაძე არმ.

1 ბექა შეყლაშვილი ხულ (18 ბადრი ყალიჩავა ყოჩ 73), 2 გიორგი სოსელია არმ (16 ირაკლი ჭყონია ყოჩ 65), 3 გიორგი ჟღენტი რუმ/ლოკ; 4 მერაბ გაბუნია აია (19 მიხეილ არჩუაშვილი ყოჩ 39), 5 ლაშა აზალაძე დინ; 6 სიმონ მაისურაძე სფრ, 7 ოთარ მინაშვილი არმ, 8 ლაშა თავართქილაძე.

პს: მალაღურაძე

**იტალია** - 4ს: 15 რიკარდო რობუსკი

**რეფერი** ჯეიმზ ლექი (ავსტრალია). **კიდეებზე:** ლეიტონ ჰოჯისი (უელსი) და ბრუს რობერტსონი (ინგლისი)

**ტიერი, სტად ანტონენ შასტელი** - 0:3(1) 3:3(28) 3:6(39) / 6:6(45) 9:6(60) 9:9(72) 9:12(76)

ჩვენი რაზმის სხვა, იტალიასთან უთამაშებელი წევრები (აია ქუთაისი, აკდ აკადემია, აფრ სამხრეთი აფრიკა, არმ არმაზი, დინ დინამო, ლელ ლელო, ლოკ ლოკომოტივი, რუმ რუმინეთი, სფრ საფრანგეთი, უკრ უკრაინა, უნი უნივერსიტეტი, ყოჩ ყოჩები, ხარ ხარები რუსთავი, ხულ ხულიგანა)

(ბეკები) ვახტანგ ჩიხლაძე ლოკ, ირაკლი ყიასაშვილი ლელ, გიორგი ბეგაძე აკდ, ლუკა კილასონია აფრ/უნი; (ფორვარდები) დავით ქუბრიაშვილი ლელ, სოლომონ ქარუხნიშვილი ხარ, პაატა მაისურაძე ყოჩ, დიმიტრი ბასილაია არმ

**მენეჯერი** ზურაბ ზოიძე; **მთავარი მწვრთნელი** დავით ჩავლეიშვილი **მწვრთნელი** დავით კაკაბაძე **ექიმი** ზურაბ ხარშილაძე; **ფიზიო** თემურ მინდიაშვილი აია.

*მასალა მომზადებულია საიტზე*
*www.rugby.ge*

# „ჟოკეიკლუბმა“ იერიში დაიწყო

ნოდარ ებრალიძე

სპორტული თვალსაზრისით, ცხადია, ასეც უნდა მომხდარიყო და იერიშიც წარმატებით უნდა დასრულებულიყო. მართლაც, ყველაფერმა კანონზომიერად ჩაიარა. საქართველოს განათლების სამინისტროს მოზარდთა და ბავშვთა საცხენოსნო სპორტსკოლის ღია პირველობაზე ძირითადად „ჟოკეიკლუბის“ მხედრები ჩანდნენ. თვით სკოლის ხელმძღვანელობა, როდესაც ასეთ, ერთი შეხედვით პრეტენზიულ ასპარეზობას მართავდა, სულაც არ ვარაუდობდა ძალთა თანაფარდობის სასწაულებრივ შეცვლას.



*მხედარი დაბრკოლებას უტევს, „ჟოკეიკლუბი“ - ასპარეზსა და იპოდრომს.*

როგორც ჩანს, მას ამოძრავებდა ბუნებრივი სურვილი, რომ ეს სკოლა, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში საცხენოსნო სპორტის ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე იყო, კვლავ აქტიურად ჩართულიყო მხედრულ ცხოვრებაში, გაეზარდა შეჯიბრებათა რაოდენობა (რაც აუცილებელია გარკვეული დონის შენარჩუნებისთვის), თავისი წვლილი შეეტანა სატურნირო კულტურის დახვეწასა და დაცვაში.

ასეთი მისწრაფება მხოლოდ მისასალმებელია, ხოლო სასარგებლო რომ იქნება, სადავო არ უნდა იყოს. თუნდაც ერთი თვის წინ ჩატარებული „საქართველოს თასის“ გათამაშების შემდეგ გუშინწინდელი ასპარეზობის შემხედვარეს არ უნდა გაუჭირდეს სასიკეთო ნაბიჯის დანახვა. როგორც ვიცი, ასპარეზობას თანადგომა გაუწია კომპანია „ჯეოსელმა“. ამ კომპანიის გენერალური დირექტორი ახმედ თანიუ დიდად არის დაინტერესებული ქართული ხალხური სპორტით, კერძოდ, ცხენოსნობით და უკვე მოასწრო ქართული ხალხური ცხენოსნობის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად ფრიად შთამბეჭდავი საზეიმო-საჩვენებელი ასპარეზობის გამართვაც. ამ ფედერაციის პრეზიდენტი ალეკო ვადაჭკორია კი ახლა საცხენოსნო სპორტსკოლის დირექტორიცაა. და თუ მან გავლენიანი ბიზნესმენი კლასიკური სახეობებისკენ მიახედა, ასეთ მოძლიერებულ ასპარეზობებს კვლავაც უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ ალეკო ვადაჭკორია და მისი თანამოაზრეები ხალხური ცხენოსნობის დამკვიდრებას სკოლაშიც აპირებენ. ამდენად, „ჯეოსელის“ თანადგომაც საკმაოდ საფუძვლიანი იქნება.

ასპარეზობის პირველ დღეს „გახსნის პრიზი“ (სიმაღლე - 1 მეტრი) მოიგო ვანო ნორაკიძემ („ეროსი“), მეორე იყო შალვა გაჩეჩილაძე („გედი“), მესამე ადგილი გაიყვეს ფოთელმა მოსწავლემ გიორგი ჩხატარაშვილმა („ბაზალეთი“) და სპორტსკოლის მწვრთნელმა ირაკლი ჭაფოძემ („საფარი“). ძირითადი ცხენებით იმავე კონკურში (სიმაღლე - 110 სმ.) სამივე საპრიზო ადგილი „ჟოკეიკლუბის“ მხედრებმა მოიგეს: გაჩეჩილაძე (0 საჯარიმო ქულა, „ასპარეზი“), გიორგი აფციაური (-4, „სადაფი“), ცოტნე ლაბაშია (-4, „პაგი“). სკოლის დიდი პრიზი ახალგაზრდა ცხენებით (110 სმ.) კვლავ ნორაკიძემ მოიგო. მან დამატებით ხტომებში გაუსწრო გამოცდილ როინ მარგიანს (ცხენოსანი ესკადრონი, „ზეცა“). მესამე ადგილიც სკოლის ცხენით („ხედი“) მარგიანს დარჩა. ძირითადი ცხენებით (120 სმ.) ჯერ ნორაკიძესა და (-4, „ფლოქვი“) და გაჩეჩილაძეს (-8) შორის მიდიოდა ბრძოლა, მაგრამ წლევანდელი რამდენიმე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ლაბაშიამ კვლავ გამოავლინა თავისი უკვე ხნიერი „პაგის“ საიმედოობა და საკუთარი შასაძლებლობანი, როდესაც უჯარიმოდ გაიარა დაბრკოლებათა ზოლი.

„ჟოკეიკლუბის“ მხედართა ამ წარმატებისთვის შეიძლებოდა დაგვერქმია კიდეც იერიში, მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამეზე -შეტევაზე გვიწევს საუბარი. საქმე ისაა, რომ დღლისის იპოდრომის შესანიშნავმა საკონკურო მოედანმა შეიძლება მალე ველარც უმასპინძლოს თავისივე მხედრებს. „ჟოკეიკლუბის“ პატრონები, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ბრძოლის პლაცდარმს ამზადებენ: იპოდრომის ადმინისტრაციული შენობისა და სპორტსმენთა იმ საცხოვრებელი კოტეჯების უბანზე, რომლებშიც აფხაზეთიდან დევნილი ოჯახები ცხოვრობდნენ, უკვე დაწყებულია (სათანადო კომპენსაციის გადახდით) ტერიტორიის გამოთავისუფლება. ასე რომ, სულ მალე აქაურობა სამშენებლო კომპანია „აქსისის“ პოლიგონად იქცევა (როგორც ცოტა ხნის წინ აქვე, ყაზბეგისა და ანტონოვსკაიას ქუჩებზე, პურის ქარხნის მიდამოებში მოხდა). ეს „ადმინისტრაციული უბანი“ კი საკონკურო მოედანს 40-იოდე ნაბიჯითაა დაშორებული. აბა, წარმოიდგინეთ, აქ რომ მშენებლობა გაჩაღდება, შესაძლებელი იქნება იმ ადგილას საცხენოსნო ასპარეზის არსებობა? ასევე უფუნქციოდ რჩება მოსათელავი მოედანიც (უფრო ზუსტად - ცხენის გაწვრთნილობის ღია მანეჟი). შენებას კი, ცხადია, ხეების ამოძირკვა (ფაქტობრივად, განადგურება) უნდა მოჰყვეს. აქ ასეულობით დიდტანიანი ხე დგას (ჭადრები, ვერხვები, ცაცხვები, ფიჭვები, კედრები...). დღლისის ტყეპარკს სწორედ ასეთი მონაკვეთები ქმნიან. ტყე-პარკი მხოლოდ ნაციხრის სერის კორომები როდია! ამ სპორტულ ინფორმაციას ახლა „ჟოკეიკლუბის“ წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტაციად ვერ გადავაქცევთ. ეს რთული სამართლებრივი პრობლემაა, რაშიც ჩართულია სპორტულ-გამაჯანსაღებელი, ეკოლოგიური, ქალაქის განაშიანების საკითხები. ჩვენ ამ დიდი შეტევის გადამწყვეტ ნაბიჯებზე ვსაუბრობთ. ნუთუ ასე ადვილად შეელევა ქალაქი თავის მხედრულ ისტორიას და მომავალს, თავისი შვილების სიჯანსაღეს, უბრალოდ, სუფთა ჰაერს, თბილისის მიწაზე გაზრდილ ხეს? იტყვით, არ არის ამდენიო? დათვლილი მაქვს! სხვის ჯიბეში ფულის დათვლაა დასაძრახი, თორემ ხეების თვლა ვის აუკრძალავს?!

# მუნდიალის რუსი „გმირი“

მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯობაზე ბევრს საუბრობენ. ზოგს მოსწონს არბიტრების საქციელი, ზოგს - არა. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი, რაც ჰოლანდია-პორტუგალიის მატჩამდე ხდებოდა, გარკვეულ ჩარჩოებში მაინც ჯდებოდა. კვირა საღამოს კი ვალენტინ ივანოვის შოუ დაიწყო. ეტყობა, რუსმა არბიტრმა ჩათვალა, რომ მინდორზე მთავარი მოქმედი პირი თვითონაა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მატჩი სრულ აბსურდს დაემსგავსა.



*ივანოვმა რეკორდი დაამყარა.*

ივანოვმა ჯერ კიდევ ჯგუფურ ეტაპზე „გამოიჩინა“ თავი, როდესაც შვეიცარიის ნაკრების კარში პენალტი არ დანიშნა. მაშინ რუსმა არბიტრმა თავი იმართლა: შვეიცარიელმა კი არ ითამაშა ხელით, არამედ ბურთმა იპოვა შვეიცარიელი მცველის ხელიო. ფიფაში ეს ახსნა-განმარტება მიიღეს და ივანოვის მსაჯობაც მოიწონეს. ის კი, რაც ჰოლანდია-პორტუგალიის თამაშში მოხდა, ლოგიკურ ახსნას აღარ ექვემდებარება.

„მიმაჩნია, რომ დღეს არბიტრი არ შეესაბამებოდა მატჩის მონაწილეთა დონეს. ყვითელი ბარათი თავად არბიტრმა უნდა მიიღოს“, - განაცხადა მატჩის შემდეგ ზეპ ბლატერმა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსი არბიტრის საერთაშორისო კარიერა დასრულდა.

იმსაჯებს თუ არა ივანოვი მომავალში საერთაშორისო მატჩებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფეხბურთის ისტორიაში ადგილი უკვე გარანტირებული აქვს.

ივანოვმა მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა. აქამდე არასდროს მომხდარა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ერთ მატჩში მსაჯს ამდენი ყვითელი ბარათი ეჩვენებინოს ფეხბურთელებისთვის.

საინტერესოა, რომ ივანოვს რუსებიც კი არ გამოექომაგნენ. გუშინ რუსულ ვებგვერდებზე ივანოვის შესახებ ისეთ კომენტარებს წააწყდებოდით, რომ ამის გაზეთში გამეორება უხერხულია. ინტერნეტ-ფორუმებზე რუსი ფანები ივანოვს ლამის ეროვნულ სირცხვილად მოიხსენიებდნენ, ოღონდ ამას მეტისმეტად მკვახე და უცენზურო გამონათქვამებით აკეთებდნენ.

შესაძლოა, ივანოვზე ბუნებრივმა კატაკლიზმებმა იმოქმედა. კვირას ხომ გერმანიაში მსაჯობასთან ერთად ამინდიც აირია. გერმანიის მთელ ტერიტორიაზე ქარბუქი იყო, რის გამოც რამდენიმე ქალაქში მატჩების პირდაპირი ტრანსლაციაც კი შეწყდა.

ერთი რამ კი აშკარაა: ივანოვის უგუნურმა მსაჯობამ ყველაზე მეტად პორტუგალიის ნაკრები აზარალა. ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი ჰოლანდიელებთან მატჩში გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდა და შემდეგ ეტაპზეც დამსახურებულად გავიდა. მეოთხედფინალში კი პორტუგალიელებს ძალიან გაუჭირდებათ. დეკუ არ ითამაშებს. დისკვალიფიცირებულია კოშტინიაც. შესაძლოა, დისკვალიფიკაცია მისცენ ლუიშ ფიგუსაც, რომელმაც მატჩის დროს ვან ბომელს ურქინა, რაც ივანოვს გამორჩა. ასე რომ, მეოთხედფინალში სკოლარი ფაქტობრივად ნახევარი გუნდით გავა ინგლისელთა წინააღმდეგ სათამაშოდ.